CMYK

# საერთო გაზეთი

№55 (184) ● 28.XII, 2011 წელი ● ოთხშაბათი ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## sasamarTlom ivaniSvilis meuRles saqarTvelos moqalaqeoba daubruna, biZina ivaniSvils _ ara!



**ვიქტორ დოლიძე:**



minda Sevaxseno xelisuflebas, biZina ivaniSvili `Tavisufali demokratebis~ dafinansebamde qarTul jars, gorisa da saCxeris batalionebs, patruls da sxva saxelmwifo struqturebs, anu mTlianad qarTul saxelmwifos afinansebda!

## kaxi kaxiSvili: saarCevno kodeqsSi Setanili cvlilebebiT xelisufleba cdilobs biZina ivaniSvili alyaSi moaqcios




**ვაჟა ლორთქიფანიძე:**

biZina ivaniSvili ar aris is pirovneba, vinc `nacionalebis~ zewolis gamo SekrTeba



**ზაზა შათირიშვილი:**



saqarTvelos fsiqiatriuli respublika anu qveyana moulodneli warsuliT

**ირინა სარიშვილი:**



vfiqrob, saxalxo gadatrialeba gardauvalia

**გოგი ხუციშვილი:**



iseTi saarCevno garemo iqmneba, romelic Tavisufal arCevnebs gamoricxavs

## რედაქტორის სვეტი

რამდენიმე დღე და ახალი წელი დადგება...

სიმართლე გითხრათ, ახალი წლის მოსვლა მაინცდამაინც არ მიხარია.

რომ წარმოვიდგენ, რა ყალბი ჟრიამული და ვითომ ბედნიერი სიცილ-კისკისი ატყდება ახალი წლის დღეებში, უსიამოვნო განწყობა მეუფლება.

არაფერი არ არის უფრო შემაძრწუნებელი, ვიდრე ყალბი, დადგმული დღესასწაული, ვიდრე ხელოვნური, მოგონილი მხიარულება და უზრუნველობის და უდარდელობის იმიტაცია.

ვიცი, ამ ახალი წლის დღეებში ხელისუფლება უამრავ ზიზილ-პიპილოებს აგვიბრჭყვიალებს თვალწინ, უამრავ კონცერტს გამართავს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში, რომ დაგვარწმუნოს, რა ლაღ, რა წარმატებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და როგორი ბედნიერია ქართველი ხალხი.

ყოველივე ამას რომ ვუყურებ, გული სევდით მევსება — ასე მგონია, ისევ უკან, საბჭოთა კავშირში დამაბრუნეს და კვლავ იმ გრანდიოზული დღესასწაულების კოშმარში მიკრეს თავი.



ასეთი რა წყევლა გვჭირს — თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს აშენება რომ გვინდა და ხელიდან მაინც საბჭოთა საქართველო რომ გამოგვდის?

* * *

2011 წელი თუ რაიმეთი იყო მნიშვნელოვანი, პირველ ყოვლისა, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლით, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ დიდი გადატრიალება ქართულ პოლიტიკაში, რასაც ხელისუფლების მხრიდან უმკაცრესი რეპრესიები მოჰყვა.

როგორც მოგვიანებით ხელისუფლების წარმომადგენელთა რეპლიკებიდან გაირკვა, ივანიშვილს უფლება ჰქონდა მილიონები დაეხარჯა ქართული სახელმწიფოს გასაძლიერებლად, მაგრამ მას თურმე უფლება არ ჰქონია აქტიურად ჩართულიყო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ივანიშვილის განცხადებიდან სამ თუ ოთხ დღეში ხელისუფლებამ მას საქართველოს მოქალაქეობა წაართვა. არადა, ამ რამდენიმე დღეში მას არ შეეძლო რაიმე დაეშავებინა, რაიმე გაეფუჭებინა, გარდა ერთისა — მან პოლიტიკაში მოსვლის სურვილი გამოთქვა, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ მის წინააღმდეგ მასირებული შეტევა დაწყებულიყო.

2011 წელი დიდი იმედის დაბადების წელი და ასევე ხელისუფლების დიდი სირცხვილის წელია, ეს სირცხვილი კი ყველა ჩვენთაგანზე, საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე არის მეტნაკლებად გადანაწილებული.

ჩვენ კვლავ შერცხვენილნი და ღირსებააყრილნი ვხვდებით ახალ წელს, რადგან კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავიცვათ არც საკუთარი ღირსება და არც ის, ვინც ამ ღირსების დასაბრუნებლად ჩვენს ნაცვლად და ჩვენს მაგივრად ყველაფერს სასწორზე დებს.

* * *

ვაცლავ ჰაველმა თავისი პრეზიდენტობის პირველი ახალი წელი ასე მიულოცა ჩეხ ხალხს: — თქვენ აქამდე ყოველ ახალ წელს გატყუებდნენ და გეუბნებოდნენ, რომ საქმე ძალიან კარგად არის, ქვეყანა ჰყვავის, იფურჩქნება და სულ მალე კომუნიზმში შევალთ და, აი, ახლა, პირველად ამ ხნის განმავლობაში, ამ ახალი წლის ღამეს გეუბნებით, რომ საქმე ძალიან კარგად კი არა, ძალიან ცუდად არის.

ვაცლავ ჰაველამდე დიდი ხნით ადრე იგივე უთხრა ილიამ ქართველ ხალხს — რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

მართლაც რა გითხრათ და რით გაგახაროთ, როცა ჰაველისა არ იყოს საქმე ცუდად არის.

ისღა დამრჩენია, ბედნიერება და გამარჯვება გისურვოთ ამ ახალ წელს, მილოცვით კი, აბა, რა უნდა მოგილოცოთ, როცა მოსალოცი ჯერჯერობით არაფერია.

**ვახტანგ ხარჩილავა**

## სასამართლომ ივანიშვილის მეუღლეს საქართველოს მოქალაქეობა დაუბრუნა



თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე შოთა გეწაძის გადაწყვეტილებით, ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლის, ეკატერინე ხვედელიძის სარჩელი რომელიც მათთვის, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მოქალაქეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით გამოცემული განკარგულების გაუქმებას ითვალისწინებდა, მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, პრეზიდენტის განკარგულების ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ეკატერინე ხვედელიძეს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა, ბათილად იქნა ცნობილი. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილის მეუღლეს საქართველოს მოქალაქეობა დაუბრუნდა. ხოლო რაც შეეხება თავად ბიძინა ივანიშვილს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, პრეზიდენტის განკარგულებით ეს ნაწილი არ გაუქმდა, შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობის კვლავ არ ექნება.

აღსანიშნავია, რომ ივანიშვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით შემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების 14-დღიანი ვადა აქვს.

## თბილისის საქალაქო სასამართლო ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინე ხვედელიძისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საქმეზე გამოტანილი განაჩენის შესახებ განცხადებას ავრცელებს




სასამართლომ ბათილად სცნო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ეკატერინა ხვედელიძისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ნაწილში, ხოლო ბიძინა ივანიშვილისათვის მოქალაქეობის შეწყვეტის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

განცხადების მიხედვით, სასამართლომ დადგენილად სცნო, რომ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილის მიერ საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღება წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის კანონისმიერ საფუძველს, რადგან ,,საქართველოს მოქალაქეობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის ,,დ'' პუნქტის თანახმად, პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას.

ეკატერინა ხვედელიძესთან მიმართებაში კი სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების დროს იგი უკვე იყო, როგორც რუსეთის ფედერაციის, ასევე საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის ფაქტის მოგვიანებით შეტყობინება სამართლებრივად ვერ გაუთანაბრდება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემდეგ, ეკატერინა ხვედელიძის მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას და ამდენად, ბიძინა ივანიშვილისაგან განსხვავებით, ეკატერინა ხვედელიძისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა არ შეესაბამება კანონმდებლობას.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით მართებულად არ მოხდა ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინა ხვედელიძის ინფორმირება და მათი აღნიშნულთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა, რადგან, ამგვარი ვალდებულება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და საქართველოს პრეზიდენტს კანონმდებლობით არ გააჩნიათ.

“საქმის არსებითი განხილვისათვის მოსარჩელეთა (მათი წარმომადგენლების) სათანადოდ მომზადების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შესაბამისად, 2011 წლის 5 დეკემბერს ჩატარდა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა, ხოლო სასამართლოს მთავარი სხდომები ჩატარდა 2011 წლის 12, 20 და 22 დეკემბერს. თბილისის საქალაქო სასამართლო მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ.თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. 7ა)თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) 14 დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან“, - აღნიშნულია განცხადებაში.

## ივანიშვილი სასამართლოს გადაწყვეტილებას სავარაუდოდ, ევროსასამართლოში ასაჩივრებს



ადვოკატ ეკა ბესელიას განცხადებით, ამჟამად ბიძინა ივანიშვილის იურიდიულ ჯგუფს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 25 ოქტომბერს გამოტანილი განაჩენის ევროსასამართლოში გასაჩივრების უფლება აქვს.

როგორც ცნობილია, ივანიშვილი და მისი მეუღლე იმ პერიოდში ძირითადი სარჩელის განხილვამდე დროებითი ღონისძიების სახით, მოქალაქეობის შეჩერებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის სადავო ბრძანებულების შეჩერებას ითხოვდნენ, თუმცა მოსამართლემ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა. მოგვიანებით, იურისტებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს, თუმცა უშედეგოდ.

“ახლა ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, რომ ეს გადაწყვეტილება ევროსასამართლოში გავასაჩივროთ”, - განაცხადა ბესელიამ და დასძინა, რომ ამჟამად ივანიშვილის იურიდიული ჯგუფი ევროსასამართლოში გასაგზავნი სარჩელის ირგვლივ თათბირობს.

## შალვა თადუმაძე: ივანიშვილთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება აბსოლუტურად პოლიტიკურია



ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი შალვა თადუმაძე აცხადებს, რომ მოსამართლე შოთა გეწაძის მიერ დღეს გამოტანილი გადაწყვეტილება ნაწილობრივ თავისუფალი იყო, რადგან მოსარჩელეთა მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა — ეკატერინე ხვედელიძეს საქართველოს მოქალაქეობა აღუდგა, ბიძინა ივანიშვილის კი — არა.

,,ბიძინა ივანიშვილს არ დაუკმაყოფილეს სარჩელი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური საფუძვლით, რადგან სამართლებრივი საფუძველი ორივე შემთხვევაში იგივე იყო.

დარღვეული იყო მე–40 მუხლი, რომლის საფუძველზეც სასამართლოს სრულად ჰქონდა შესაძლებლობა, დაეკმაყოფილებინა სარჩელი, მაგრამ დააკმაყოფილა ნაწილობრივ. ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება აბსოლუტურად პოლიტიკურია,“ — განაცხადა ადვოკატმა შალვა თადუმაძემ, სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას. ◆

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# saqarTvelos fsiqiatriuli respublika anu qveyana moulodneli warsuliT

**გვესაუბრება ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი:**

**— ზაზა, ბოლო დროს ხელისუფლება გაურკვეველი კურსით „დაატარებს“ ქვეყანას. ბევრი რამ არაადეკვატურად ფასდება, თუნდაც ხელისუფლების დამოკიდებულება წარსულთან. როგორ შეაფასებთ შექმნილ ვითარებას, როგორია თანამედროვე საქართველო?**

— საქართველოზე როცა ვსაუბრობთ, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ აღვიქვამთ, რას წარმოადგენს თანამედროვე საქართველო — ეს არის საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მიღებული 3000-წლოვანი, თუ 200-წლოვანი პროდუქტი. ჯერ გავაანალიზოდ რა წარმოდ-



გენა აქვს ამ საკითხზე ხელისუფლებას — იგი ამ თემაზე ღიად არ საუბრობს, მაგრამ იკვეთება საინტერესო სურათი, თუ როგორ უყურებს იგი საქართველოს, როგორც მოვლენას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა აგვისტოს ომის შემდგომი მოვლენები. კერძოდ, რუსეთთან დამოკიდებულება. ვნახოთ, როგორი დამოკიდებულებაა წარსულთან. არსებობს აქტუალური და ნაკლებად აქტუალური წარსული. აქტუალური წარსულია, რაც 20-25 წლის წინ იყო. არააქტუალურია, რაც 50 წლის წინ იყო. აქვე, აქტუალურია, რაც 800 წლის წინ იყო, ანუ ხელისუფლება ხშირად ადრის თავს დავით აღმაშენებლის ეპოქას. მეორე მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია 1917-21 წლები, დამოუკიდებლობის პერიოდი და დაპირისპირება რუსეთთან. თუმცა, ისტორიიდან ამოშლილია ისეთი პერიოდები, როგორიცაა 1924 წელი. ხელისუფლებას ისტორია ორ ნაწილად აქვს გაყოფილი — კარგი და ცუდი მკვდრები. კარგი მკვდრები არიან, ვინც 1801-07-12 წლებში დაიხოცნენ, ცუდი მკვდრები არიან, ვინც 1950-იან წლებში დაიხოცნენ. ეს უნდა დავივიწყოთ. თურმე უნდა გვახსოვდეს 1921-24 წელი და შემდეგ პირდაპირ 2003-2008 წელი. ფილოსოფიური თვალსაზრისით, ეს ძალიან დიდი პრობლემაა თვითანალიზის და თვითრეფლექსიის დროს, რამეთუ არ ხდება ამის გაანალიზება.

მაგალითად, რუსეთი არის ქვეყანა მოულოდნელი წარსულით. ჩვენც სწორედ ასეთი მოულოდნელი წარსული გვაქვს, ყოველ 10 წელიწადში ჩვენი წარსული იცვლება. ეს, რა თქმა უნდა დიაგნოზია. ეს არის სიმპტომები, რასაც მკურნალობა სჭირდება. ჩემთვის, როგორც ფილოსოფოსისთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მომენტი იმისა, რომ საზოგადოება ჩამოყალიბებული არ არის და მას არ აქვს თვითშეფასების, თვითანალიზის უნარი, არის სწორედ ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრე. მაგალითად, საუბრობენ პოსტკოლონიალურ სინდრომზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ამას ვიღაც მემარცხენე დისკუსის მეშვეობით იაზრებს. ჩნდება კითხვა — რამდენად აქვს პოსტკოლონიალისტური სინდრომი ისეთ ქვეყანას, რომლის წარმომადგენელიც — სტალინი 30 წლის განმავლობაში მართავდა საბჭოთა კავშირს და მოგვწონს ეს თუ არა არსებული ქართული ნაციონალიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია. სტალინის ძეგლების აღებით არაფერი იცვლება, ისევე როგორც, სუბტიტრებით ინგლისურს ვერ ასწავლი, ისე სტალინის ძეგლის აღებით მას ისტორიიდან ვერ ამოშლი იმიტომ, რომ ეს არის ქართული ნაციონალური იდენტობის, შემადგენელი ელემენტი. თუ ეს ასეა, მაშინ პოსტკოლონიალიზმზე საუბარი აბსურდია. ვხედავ ლოგიკურ წინააღმდეგობას — როცა პოსტკოლონიალიზმზე საუბრობენ, მაშინ ისიც უნდა დავინახოთ, რომ პოსტსტალინისტური ეპოქა საქართველოში დადგა მაშინ, როცა სტალინი არის უცხო. ხოლო თუ სტალინი არის შენი, როგორ შეიძლება კოლონია იყო?! სტალინი უარყოფითი მოვლენაა, მაგრამ ეს უარყოფითი მოვლენა თუ ქართული იდენტობის ნაწილია, მაშინ როგორ შეიძლება ასეთი ტოტალიტარული ცენტრალისტური იდეოლოგიით აღბეჭდილი ადამიანი კოლონიური სინდრომით შეპყრობილი იყოს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ გამოდის, რომ პოსტსტალინური სიტუაციაა და ქართველ ხალხს სტალინი დავიწყებული ჰყავს. ამ შემთხვევაში შეგვიძლია პოსტკოლონიურ სინდრომზე ვისაუბროთ.

**— ზაზა, სააკაშვილი მოსახლეობას არ აწყენს — ხან ანაკლიაში გრძელ ხიდს აშენებს, ხან ახალი ქალაქის მშენებლობის პროექტით იწონებს თავს. ამ დროს კი გვერდზე რჩება მთავარი საკითხი — თუ რა დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას ქართული ენის მიმართ.**

**— ანაკლიის ხიდი თავიდან ბოლომდე შესანიშნავად ასახავს ხელისუფლების სტრატეგიას და ყველა მათ მიერ გაკეთებულ საქმეს. ხიდი, რომელიც თავიდანვე საჭირო არ იყო, გამოდგა დეკორაცია, აღმოჩნდა რომ გაკეთებულიც კი არ იყო, მეორე დღეს აიღეს და წაიღეს. ასევე გაქრება ყველაფერი, რაც სააკაშვილმა გააკეთა ერთი დღისთვის შეთითხნილი ფასადების ჩათვლით.**

ზუსტად იგივეა, ჩემი თვალსაზრისით, ის რომ 2008 წელს აღმოვაჩინეთ — ჯარი არ გვყავს. არ გამიკვირდება ასეც მოხდეს — თუ პოლიცია დაკარგავს თავის სადამსჯელო ფუნქციას, აღმოჩნდება, რომ პოლიციაც არ გვაქვს. არ გამოვრიცხავ, პოლიცია, პატრული და სხვა დანარჩენი, რაც მიშას „მიღწევებია“ თავიდან ბოლომდე ანაკლიის ხიდად იქცეს.



**ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თქვა — ხალხი არის ბნელი მასა და აქედან ახალი ადამიანი უნდა გამოიძერწოსო. სწორედ ეს არის პრობლემა, საქმე არამხოლოდ ისტორიაში, არამედ გარკვეული სახის იდენტობებშია, რომლის ხელოვნურად დანგრევა, შეცვლა არ ხდება. არ ვამბობ, რომ ეს იდენტობები მარადიულია, რა თქმა უნდა ისინი იცვლება. მაგრამ ქართული ენა ქართველური ენების რიცხვში უნდა იყოს, რადგან იგი არ არის ევროპული. ამათ იციდ რა უნდათ? — ქართული ენა შეცვალონ და გადაიტანონ ინდოევროპული ენების ოჯახში, რაც შეუძლებელია, ან თუნდაც სემიტური ენების ოჯახში, ეს წარმოუდგენელი აბსურდია.**

ერთ რამეს გეტყვით — ინგლისური ენა აუცილებელია, ამ ფაქტს ვერ გავექცევით, მაგრამ გეტყვით რა არის პრობლემა — პრობლემა იწყება იქედან, რასაც ჩვენი ხელისუფლება აკეთებს, თუნდაც უცხოურ ფილმებზე ტიტრების დადებით, რის შედეგადაც აბსოლუტურად საპირისპირო შედეგს ვიღებთ. ცოტა ხნის წინ ჩატარდა კვლევა, რითაც გაირკვა მოსახლეობის 95 პროცენტს არათუ არ მოსწონს უცხოურ ფილმებზე ტიტრები, მათთვის ეს აბსოლუტურად მიუღებელია. ამ ქმედებას სულ სხვა მიზანი ჰქონდა და უკუშედეგი აჩვენა. ხალხმა ტელევიზორები უბრალოდ სხვა არხებზე გადართო. ხელისუფლებას აქვს ნაჯახის პოლიტიკა, უნდა რომ რუსული ენა ამოძირკვოს და მის ნაცვლად ინგლისური დათესოს. რუსული ენა ისედაც გადიოდა ბუნებრივად და ინგლისური ენა შემოდიოდა. მაგრამ ხელისუფლებამ ესეც ანაკლიის ხიდად აქცია.

**— რაც შეეხება სახელმწიფოებრივ მშენებლობას, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი საქართველოში?**

— დღევანდელი რეჟიმის მთავარი განმსაზღვრელია შემდეგი — ამ რეჟიმის სახე ანაკლიის ხიდია. სააკაშვილიც ისევე გაქრება როგორც ეს ხიდი, როგორც ყინულის სასახლეები დნება — დაახლოებით ასეთ ფენომენთან გვაქვს საქმე. ამ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც დღეს ხდება ასეთი შეგრძნება მეუფლება — მახსენდება ნაბოკოვის ერთ-ერთი რომანი, რომელიც ასე სრულდება — მთავარი გმირი დაინახავს, რომ ყველაფერი დეკორატიულია, ქაღალდებს შეუბერავს სულს და ქრება. აი, ასეთი რამ ხდება დღეს საქართველოში. ეს კარიკატურაა, გეგონება ნაბოკოვმა საქართველოზე დაწერაო. ყველაფერი, რაც გაკეთებულია, ქრება, ქაღალდისაა, ანუ ცინცინატი — საქართველო მიდის იქითკენ, რომ ერად სხვა ერთა შორის დადგეს.

**— ზაზა თქვენ საქართველოს ფსიქიატრიული უწოდეთ. რით იყო ეს შეფასება განპირობებული? და როგორ ხედავთ საზოგადოების როლს ამ პროცესებში?**

— სხვათაშორის უნდა გითხრათ, რომ თავის დროზე ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც ფსიქიატრია ასეთი ტერმინი იხმარა — საქართველო ფსიქიატრიული რესპუბლიკაა. ამას აბსოლუტურად ვეთანხმები და ხშირად ვიყენებ ამ ტერმინს.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# goga xaindrava:

# trufaldino TargamaZe da daviT gamyreliZe 30 vercxlis gamo axldnen saakaSvils londonSi



**რეჟისორსა და პოლიტიკოსს გოგა ხაინდრავას მიაჩნია, რომ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ტექტონური ძვრა მოახდინა ქართულ საზოგადოებაში და საქართველოს გადარჩენის შანსი გაუჩინა. ამის შესახებ გოგა ხაინდრავამ „საერთო გაზეთთან" საუბარში აღნიშნა.**

**— პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა გარკვეულ ძალებთან წყალგამყოფი გაავლო, რამაც ზოგიერთების გაღიზიანება გამოიწვია. ასეთი პირდაპირობა პოლიტიკაში მისთვის მომგებიანი იქნება?**

— ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა, ამის მომხრე ვიყავი ყოველთვის. ერთმანეთთან ზედმეტმა პრანჭიაობამ მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, სადამდეც მივედით. დღევანდელ ვითარებაში ახალ მემარჯვენეებსა და ქრისტიან-დემოკრატებს თუ ვინმე თვლის ოპოზიციად, აღარ ვლაპარაკობ თორთლაძეზე და დანარჩენებზე, ეს ჩემთვის სასაცილოა, რადგან როგორც მკვდარზე გვირგვინი, ასე ახლდნენ ეს ტრუფალდინო თარგამაძე და დავით გამყრელიძე ლონდონში სააკაშვილს. რას აჩვენებდნენ მთელ ევროპას, რომ, აი, ოპოზიცია და ხელისუფლება თანხვედრაში არიან და ერთიან დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებენ?! რა თქმა უნდა, — არა. ეს გახლდათ პირადი გამორჩენა — 30 ვერცხლი, აი, ეს იყო ამ ნაბიჯების ძირითადი საფასური.

**— ქართველი ამომრჩეველი ქარიზმატულ ლიდერებს მიეჩვია. აქვს ეს პრიორიტეტი ბიძინა ივანიშვილს და საჭიროებს კი ქარიზმას?**

— ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილს ქარიზმატულობა ნამდვილად არ აკლია, არც საქართველოში, არც მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი, როგორც ფინანსისტი, ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა და ამას მთელი მსოფლიოს საფინანსო წრეები აღიარებენ. ახლა პოლიტიკოსად ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. ჩვენ ყველაფერი გვეჩქარება, პოლიტიკაში კი რაღაც გზაა გასავლელი, ჩამოსაყალიბებელია სტრუქტურები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სერიოზულ შედეგზე საუბარი.



**— რას მოუტანს საქართველოს პოლიტიკური ორპოლუსიანობა?**

— თვითონ ის ფაქტი, რომ საქართველოში ორი პოლუსი გაჩნდა და გაჩნდა მყარად, ყველასთვის ნათელია. თუ გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილს თავისი საარჩევნო გზის 70 % გავლილი აქვს და ბიძინა ივანიშვილს ჯერ არც დაუწყია, ვფიქრობ, ძალთა თანაფარდობა ძალიან შეიძრა ოპოზიციის მხარეს და არა — ხელისუფლების მხარეს. საქართველოში ახალი ძალის გამოჩენა დიდ იმედს აძლევს ქართულ საზოგადოებას, რომ ჩვენ შევძლებთ იმ გზით სიარულს, რა გზითაც მივდიოდით; მიუხედავად იმისა, რომ რადიკალურ ოპოზიციას გვეძახდნენ და გვეძახიან, ჩვენი რადიკალობა სასაცილოა, რადიკალობა ალბათ ის არის, რაც ათენში, პარიზში, ბერლინში ხდებოდა, თორემ თბილისში რაც ხდებოდა, რადიკალური არასდროს არ ყოფილა. ჩვენგან ძალადობა არავის მიუღია, პირიქით, ძალადობის მსხვერპლნი ვიყავით მუდამ. ამის მიუხედავად, მაინც ამ გზით მივდიოდით. პოლიტიკური ოპოზიციისადმი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, აქამდე რეალური შანსი არ ჩანდა, არჩევნების საშუალებით ამ მონსტრის დამარცხების რეალობას ვერ ვხედავდი. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ კი ტექტონური ძვრა მოახდინა ქართულ საზოგადოებაში. დღეს საქართველოს შანსი გაუჩნდა. ამიტომ მივმართავ პოლიტიკური ოპოზიციის ყველა წარმომადგენელს, ნებით თუ უნებლიედ, დავანებოთ იმ ტოტის ჭრას თავი, რომელზეც ყველანი ვსხედვართ. საკუთარი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებისა და ერთმანეთის ცოდვების ჩიჩქნის დრო არ არის.

**— ოპოზიციის ნაწილი განაწყენებულია, რომ ივანიშვილის რეზიდენციაში მათაც არ უხმობენ...**

— არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენ ორგანიზაციულად ვიქნებით გაერთიანებული თუ არა, არც იმას აქვს მნიშვნელობა, ახლა იქ, შუშის შენობაში, დაგპატიჟებენ თუ არა. ჩვენ ჩვენი გზა, ჩვენი ამოცანა გვაქვს და წლების მანძილზე ამ გზით მივდივართ. ოპოზიციის ერთობა შეუძლებელია. ოჯახიც არ მეგულება საქართველოში, ერთი მიმართულებით რომ ფიქრობდეს. ყველგან არის მსოფმხედველობრივი განსხვავება. ბუნებრივია, პოლიტიკურ ოპოზიციაშიც ეს თავისთავად იქნება. მაგრამ ეს არ არის საბაბი, საკუთარი გზა ჩავხერგოთ და ერთმანეთთან ურთიერთობები ვარკვიოთ.

**— არჩევნების გაყალბების დიდოსტატური გამოცდილება ხელისუფლებას აქვს. თუ არჩევნები მაინც გაყალბდება, რა გზას დაადგება ბიძინა ივანიშვილი?**

— არჩევნები ვეღარ გაყალბდება, ჩემო კარგო. არჩევნების გაყალბება შეიძლებოდა მხოლოდ იმ აბსოლუტურად გულგრილ და სამმაგი სტანდარტების პირობებში, რაც მსოფლიო საზოგადოებას ჰქონდა საქართველოში ჩატარებული არჩევნების მიმართ. 2008 წლის 5 იანვრის არჩევნების ტოტალური გაყალბების ბედი გადაწყვიტა ბუშმა, რომელმაც 2008 წლის 6 იანვარს მიულოცა გამარჯვება სააკაშვილს. მაშინ, როდესაც თარხნიშვილმაც კი ვერ გაბედა ამის თქმა და თქვენ კარგად გახსოვთ, სამი დღის განმავლობაში საერთოდ ვერ აქვეყნებდნენ შედეგებს. რაზე დაყრდნობით მიულოცა ბუშმა გამარჯვება სააკაშვილს? — მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესების განხორციელების მიზნით. სხვათაშორის, პუტინმაც იმავე დღეს მიულოცა. არანაირი დემოკრატია, არანაირი ფასეულობები, ღირებულებები არ ყოფილა, არამედ იქ იყო პრაგმატული გათვლა, მათ სჭირდებათ პრაგმატული გათვლა, როგორც ერთ იმპერიას, ისე მეორეს და ეს პრაგმატული გათვლაა, რომ პლაცდარმია საქართველო. ამ პლაცდარმის ბატონ-პატრონი კი დღეს არის ადამიანი, რომლისთვისაც არანაირი ფასეულობები, ღირებულებები, ღირსებები არ არსებობს, საკუთარი კეთილდღეობის გარდა. ეს ადვილად გამოსაყენებელია, ამიტომ იყო ის უკიდეგანო მხარდაჭერა როგორც ამერიკის, ისე რუსეთის მხრიდან. რა თქმა უნდა, დღესაც ინტერესები აქვს ამერიკას, მაგრამ შეიცვალა გარემოება. ჯერ ერთი, ობამა არ არის ბუში და ?ემოკრატები არ არიან ?ესპუბლიკელები. ამასთან, 2008 წელს მსოფლიოში ვითარება შეიცვალა. ყველას ესმის, რომ დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ირანის პრობლემა მთელ მსოფლიოზე. ამ პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებლად პლაცდარმია საჭირო, საქართველოს სახით. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენ ბევრად მეტად უნდა ვიფიქროთ საკუთარ ბედსა და ქვეყანაზე, ვიდრე მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტაზე. დღეს ძირითადად ქართული ძალაუფლება (და არა ხელისუფლება, რადგან არავის მიუცია ნაციონალებისთვის ლეგიტიმიზაცია), გადასულია იმაზე, თუ როგორ ჩაეწეროს მსოფლიო გლობალური პოლიტიკის წიაღსვლებში. ამ დროს კი ჩვენი თავი გვყავს გადასარჩენი, უმძიმეს კრიზისშია ქვეყანა. პრაქტიკულად, ბიუჯეტი არ არსებობს. ის, რომ ბიუჯეტის 16 % გაწერილია ე.წ. სხვა ხარჯებზე, რაც დაახლოებით მილიარდს ნიშნავს, მიუთითებს, რომ ბურუსითაა მოცული, თუ რა გველოდება უახლოეს მომავალში. ჩვენ იმ ადამიანებთან გვაქვს საქმე, ვისთვისაც არც ნათესავი, არც ახლობელი არ არსებობს. ამაში არაერთხელ დავრწმუნდით, ბოლოს, 26 მაისი, ამის დაუფარავი მაგალითი იყო, რომ ჩვენ არ დაგინდობთ არცერთს, რადგან თქვენ არ ხართ ჩვენი ინტერესების სფერო. ჩვენი ინტერესები შემოიფარგლება მხოლოდ ათეულ ან ასეულობით ადამიანებით. ვფიქრობ, ივანიშვილი საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული მოქალაქეა. ჩვენთვის, ყველასთვის, ის საქართველოს მოქალაქეა და ის ფარატინა ფურცელი, რასაც თვითმარქვია ადამიანი უშვებს, ჩემთვის არაფერს ნიშნავს. ბევრს აინტერესებს, პოლიტიკურად ბიძინა ივანიშვილთან ვიქნები თუ არა. მართალი გიხრათ, ჩემს თავს ყოველთვის საზოგადოების წევრად ვთვლიდი და არა პოლიტიკური გაერთიანების ნაწილად. ამიტომ იმ გზას გავაგრძელებ, რა გზითაც მივდიოდი. თუ მოხდება ჩვენი თანხვედრა და ჩვენი გზები გაიკვეთება, ეს ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ პატივი იქნება.

**მარიამ მაჭავარიანი**

## „ქართული ოცნების" კონფლიქტების საკითხზე მომუშავე თემატური ჯგუფის პრეზენტაცია გაიმართა

**დღეს საზოგადოებრივი მოძრაობა "ქართული ოცნების" კონფლიქტების საკითხზე მომუშავე დარგობრივი ჯგუფის პრეზენტაცია გაიმართა.**

**"ქართული ოცნების" აღნიშნულ მიმართულებას რესპუბლიკელი პაატა ზაქარეიშვილი, ექსპერტი გია ვოლსკი, პოლიტოლოგი გოგი ხუციშვილი, ზურაბ ბენდიანაშვილი, ლევან ლორთქიფანიძე და გიორგი ჩიქოვანი უხელმძღვანელებენ.**

**როგორც "ქართული ოცნების" ოფისში გამართულ პრეზენტაციაზე ვოლსკიმ აღნიშნა, დარგობრივი ჯგუფი აპირებს ითანამშრომლოს სხვადასხვა ქართულ თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან, აითვისოს კონფლიქტების მოგვარების დარგში არსებული ინტელექტუალური რესურსი და გარკვეული პერიოდის შემდეგ შექმნას კონცეფცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აშშ-ს, ევროკავშირის და ნატოს მიერ საქართველოსთვის მიცემული ოფიციალური რეკომენდაციები.**

**"იანვრისთვის ჯგუფი შეაჯამებს იმ დროისთვის არსებულ შედეგებს და გეგმებს განსაზღვრავს", - განაცხადა ვოლსკიმ და დასძინა, რომ 'ქართული ოცნების" ახალი დარგობრივი ჯგუფი მოწადინებულია, რომ ინფორმაცია მიაწოდოს აფხაზურ და ოსურ საზოგადოებასაც.**

**მისივე თქმით, "ქართული ოცნების" ოფისში რამდენიმე ათასი ადამიანის განცხადებაა დაფიქსირებული სხვადასხვა პრობლემური საკითხის, მათ შორის კონფლიქტების მოგვარების მიმართულებითაც. ვოლსკის მტკიცებით, მისი თემატური ჯგუფი ამ განცხადებებს განიხილავს და საქართველოს მასშტაბით კონფერენციებს სისტემატიურად მოაწყობს.**

**ცნობისთვის: კონფლიქტების თემატური ჯგუფი "ქართულ ოცნებაში" რიგით მეორე მიმართულებაა. ცოტა ხნის წინ, ივანიშვილის მიერ დაფუძნებულმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ სამართლის დარგობრივი ჯგუფიც შექმნ. ამ ჯგუფს იურისტი მინდია უგრეხელიძე ხელმძღვანელობს.**

**„მედიანიუსი"**

# `biZina ivaniSvilis mxardaWeras `nacmoZraobis~ wevrebic ki ucxadeben~

ძველი თბილისის რაიონი, ერეკლე მეორეს შესახვევი №2. ორ სართულიანი შენობა, ადგილი სადაც ხალხი ქართული ოცნების ასახდენად ერთიანდება. დილის ათი საათია. „ქართული ოცნების" შტაბ ბინამ მუშაობა განაახლა. დაახლოებით 50 კვ.მ. ფართის ოთახში ათი რეგისტრატორი მხარდამჭერთა დასახმარებლად მზადაა. ოპერატორებმა სამსახურის დაწყებამდე გადამზადების კურსები გაიარეს და კომპეტენტური ადამიანებისგან მიიღეს რჩევები საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხში. 10:35 წუთზე ქართული ოცნების ასახდენად კიდევ ერთი ქართველი გამოჩნდა. ქალბატონი მაყვალა იმ იმედით მოვიდა, რომ საქართველოში უახლოეს მომავალში ბიძინა ივანიშვილის დახმარებით ქვეყნის მდგომარეობა გაუმჯობესდება. მმიზნის მისაღწევად მან პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა, თანაც საკმაოდ მარტივად, მხოლოდ სპეციალურ ბლანკზე პირადი მონაცემების განთავსებით „ქართული ოცნების" წევრი გახდა.

**მაყვალა ბლიაძე, „ქართული ოცნების" წევრი** — უკვე დიდი ხანია უკეთესობის იმედი დავკარგე. ასაკის გამო გამათავისუფლეს სამსახურიდან. იგივე ბედი გაიზიარა ჩემმა მეუღლემაც. ახლა ორივე ვზივართ სააკაშვილის სანაქებო პენსიაზე, რომელიც ხელმომჭირნედ გამოყენების შემთხვევაშიც, 15 დღე ძლივს გვყოფნის. ამიტომ ბიძინას გამოჩენამ იმედი გამიჩინა, ყველა შრომისუნარიან ადამიანს, ვისაც საკუთარი შრომით ფულის გამომუშავება შეუძლია, დაასაქმებს.

**გივი სერგია, „ქართული ოცნების" წევრი** — პროფესიით პედაგოგი, რუსულის სპეციალისტი, პროფესორი გახლავართ, თუმცა დიდი ხანია პროფესიით აღარ ვმუშაობ. სააკაშვილის გადამკიდე რუსული ენა აღარავის სჭირდება, ამიტომ უმუშევარი დავრჩი. ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ იმედი გამიჩინა: ძალიან მალე საქართველო იქნება ძლიერი, ერთიანი და გაბრწყინებული. ხელისუფლება ყველანაირად ეცდება ხელი შეუშალოს ივანიშვილს, მაგრამ ხალხმა მის მხარდასაჭერად ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ.

**დავით მუტიკაშვილი, „ქართული ოცნების" წევრი** — ბიძინა ივანიშვილი, დარწმუნებული ვარ, საქართველოსთვის და ქართველებისთვის ცუდს არაფერს გააკეთებს. იგი წლების განმავლობაში უანგაროდ ეხმარებოდა ჩვენს სახელმწიფოს, ბევრ გაჭირვებულს და ვფიქრობ, დღესაც იგივე გზას გააგრძელებს. ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლას არჩევნების საშუალებით აპირებს და მნიშვნელოვანი სწორედ ესაა. დავიღალეთ ვითომ ოპოზიციის აქციებით, ხელისუფლების რევოლუციური მეთოდებით შეცვლით. ძალადობას და სისხლისღვრას კარგი შედეგი არასოდეს მოუტანია, ამიტომ მშვიდობიანი, დემოკრატიული მეთოდებით, უნდა შევცვალოთ სააკაშვილი და სამუდამოდ გავთავისუფლდეთ ავტორიტარული რეჟიმიგან.

**თინათინ კაკაბაძე, „ქართული ოცნების" წევრი** — სამწუხაროდ, არსებული ხელისუფლების პირობებში საზოგადოებაში შიშის სინდრომი ჯერ კიდევ არსებობს, ეშინიათ სამსახურის დაკარგვის, ოჯახის წევრების დაშინების, ამიტომ ივანიშვილისადმი თანადგომას ღიად ვერ გამოხატავენ. თუმცა ივანიშვილს მხარდაჭერას თავად „ნაცმოძრაობის" წევრები უცხადებენ და მზად არიან, შესაძლებლობის ფარგლებში დაგვეხმარონ. იმედი მაქვს ბევრი წინაალმდეგობის მიუხედავად, სამართლიანობა გაიმარჯვებს.

უკვე შუადღეა. საათი 12:00 უჩვენებს, მხარდამჭერთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა, გაიზარდა რეგისტრატორების დატვირთვაც. აქ მოსულ ახალგაზრდას, ხანში შესულსა თუ მოხუცს უკეთესობის იმედი აქვთ. სჯერათ, ბიძინა ივანიშვილი დანაპირებს აუცილებლად შეასრულებს და ქართველებს „ქართულ ოცნებას" აუხდენს.



**ლუიზა სერგია, „ქართული ოცნების" წევრი** — ივანიშვილის გამოჩენამ რწმენა გამიჩინა აფხაზეთში დაბრუნების. თუმცა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი ვერაფერს შესძლებს, თუ ხალხი გვერდში არ დავუდგებით. მას დღეს სჭირდება ჩვენი დახმარება და იმედი არ უნდა გავუცრუოთ.

**რუსუდან გვარამიძე, „ქართული ოცნების" წევრი** — ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ ძირეულად შეცვალა პროცესები, ხალხს იმედი გაუჩინა, რა თქმა უნდა, უკეთესობის. ერთ მაგალითს მოვიტან, სახლი სადაც ვცხოვრობ იყო ფართი რომელიც ოჯახის წევრების დახმარებით მოვაწესრიგეთ და სამი ოთახი ავაშენეთ. ერთი წლის შემდეგ ზედამხედველობის სამსაურმა შენობა მიწასთან გაასწორა და მატერიალური ზარალის ანაზრაურებაზეც საუბარი ზედმეტია. არ შეიძლება ასე უხეშად ადამიანების გადათელვა, ნუთუ არ არსებოს რაიმე სანქციები? იმედი მაქვს ბატონი ბიძინა საკუთარ მოქალაქეებს ასე უხეშად მოექცევა.



საზოგადოებრივ მოძრაობაში პარალელურ რეჟიმში ყალიბდება სხვადასხვა თემატური ჯგუფები და „ქართულ ოცნებაში" გაწევრიანებულ ადამიანებს ინდივიდუალურად შეეძლებათ ჩაებან სხვადასხვა პრობლემური საკითხების გადაჭრაში. საზოგადოებრივ მოძრაობაში უკვე შეიქმნა დარგობრივი მიმართულება — „სამართლის სისტემა, ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება". მმის მიზანს წარმოადგენს შესაბამის სფეროებში შექმნილი ვითარების ანალიზი, ხოლო შემდგომ დემოკრატიული განვითარებისა და იურიდიული ინსტიტუტების რეკონსტრუქციის პროექტის მომზადება. თემატურ ჯგუფში არიან აკადემიური წრეების, ადვოკატთა გაერთიანების, მედიისა და საზოგადოებრივი მოძრაობის წარმომადგენლები, რომელიც ჯგუფებში სპეციალიზაციის მიხედვით გაწევრიანდნენ.

„ქართული ოცნების" ასრულებაში აქტიურად ჩაერთვნენ სტუდენტებიც. ბევრი მათგანი განათლების სისტემის უუნარობასა და უმაღლეს სასწავლებლებში არასათანადო პირობებზე ღიად საუბრობს. ახალგაზრდებს იმედი აქვთ, რომ ბიძინა ივანიშვილი მათ ხელმისაწვდომ და ხარისხიანი განათლებისთვის აუცილებელ პირობებს შეუქმნის.

**ლელა სანიკიძე, „ქართული ოცნების" წევრი** — დღეს რაც განათლების სფეროში ხდება, სრული უუნარობისა და არაკვალიფიციურობის შედეგია. პრეტენზია ევროპული სტანდარტების განათლებაზე აქვთ, სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა, უნივერსიტეტებში არ არსებობს სათანადო ლიტერატურა, ტექნიკა და ა.შ. ამიტომ იმედი გვაქვს, ბიძინა ივანიშვილი აღნიშნული პრობლემების გადაჭრაში დაგვეხმარება. ვისაც ევროპული განათლების მისაღებად სოლიდური თანხები არ გაგვაჩნია, ხარისხიანი განათლება ჩვენსავე ქვეყანაში მივიღოთ.

საღამოს ხალხის ნაკადმა თანდათანობით იკლო. დღის ბოლოსთვის „ქართული ოცნების" წევრი დამატებით 654 ადამიანი გახდა, მთლიანობაში მათი რაოდენობა 14 000 აღწევს. 18:00 საათზე „ქართული ოცნების" შტაბბინამ მუშაობა დაასრულა. ხვალიდან შაბათკვირის ჩათვლით მუშაობა ქართული ოცნების ასახდენად კვლავ გაგრძელდება.

**მირანდა ნაბახტეველი**

23 დეკემბერი 2011 წელი

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს საქართწელოს პარლამენტის ფრაქციებს, კომიტეტებს, წევრებს

# მიმართვა

ქალბატონებო და ბატონებო,

ბატონო დავით, 2008 წლის 21 იანვარს ჩვენმა კავშირმა საქართველოს პარლამენტს მიმართა საზოგადოებრივი ინიციატივით, საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბებულიყო შემდეგი რედაქციით: „პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხიოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთაინებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების ხმების 3% მაინც. მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში პარლამენტის წევრთაა მანდატების განაწილების წესი განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით".

ჩვენი კავშირი გთხოვთ აღნიშნული საზოგადოებრივი ინიციატივა აცნობოთ საქართველოს პარლამენტის ყველა წევრს და მხარი დაუჭიროთ მის მიღებას.

მზად ვართ შეგხვდეთ სათანადო არგუმენტების გასაცნობად.

**P.S. აღნიშნული მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ფრაქციებისა და კომიტეტების სახელზე უკვე მეორე თვეა, რაც გაცემულია, მაგრამ პასუხი არ ჩანს. განა ყველასთვის ნათელი არაა, რომ ეს ინიციატივა ბოლოს მოუღებს პოლიტიკურ მონოპოლიას პარლამენტში და უზრუნველყოფს ყველა სოციალურ-პროფესიული ფენის წარმომადგენლობას და დემოკრატიას.**

**განათლების ეროვნული კავშირის გამგეობა**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# saarCevno kodeqsSi Setanili cvlilebebiT xelisufleba cdilobs biZina ivaniSvili alyaSi moaqcios

„საერთო გაზეთს“ “საარჩევნო და პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის” ხელმძღვანელი **პაატა პაიჭაძე** ესაუბრება.

*— კახა, ხელისუფლებას საარჩევნო კოდექსზე მუშაობა დაწყებული აქვს. ბუნებრივია, რომ ნაციონალური მოძრაობა ისეთ კოდექსს მიიღებს, როგორიც თავად აწყობს. რა ვითარებაა საარჩევნო კანონმდებლობის თვალსაზრისით და რა შეიცვალა ჩვენთვის — ამომრჩევლების სასარგებლოდ?*

— საარჩევნო კოდექსზე მუშაობა დიდი ხნის დაწყებულია. ნაწილი ოპოზიციური პარტიებისთვის დამთავრდა მაშინ, როდესაც 2011 წლის მარტში საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებაზე მომუშავე რამოდენიმე ოპოზიციურ პარტიასთან 12 პუნქტიან შეათანხმებას მოაწერეს ხელი. ამავდროულად, ყველასთვის მოულოდნელად გაგრძელდა, როდესაც პარლამენტის ვებგვერდზე ნაციონალურმა მოძრაობამ გამოიტანა სრულებით ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტი, რომელიც თავისი პრინციპითა და არსით არაფრით განსხვავდება მოქმედი საარჩევნო კოდექსიდან. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტიდან ამოღებულია ძალიან ბევრი რეგლამენტაცია. ფაქტობრივად, ხელისუფლება გადავიდა ისეთ გზაზე, როდესაც ის მისთვის არასახეირო რეგლამენტაციას მაქსიმალურად ხსნის და ფართო მანევრირების საშუალებას იტოვებს.

*— მართალია, რომ გამგებლის ადმინისტრაციულ რესურს ახლა გუბერნატორისაც დაუმატეს?*

— გუბერნატორთან ერთად გამგებელიც უპრობლემოდ მიიღებს მონაწილეობას საარჩევნო აგიტაციაში. ამასთან გაჩნდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ძალიან ბევრი შესაძლებლობა. რაც შეეხება თვით არჩევნების სისტემას, ის არანაირად შეცვლილა. არ შეცვლილა არც საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი და არსობრივად უცვლელია საარჩევნო დავებთან დაკავშირებული საკითხებიც.

**მივიღეთ ისეთი კოდექსი, რომელიც შეამცირებს დამკვირვებლების, პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან საარჩევნო ადმინისტრაციაში საჩივრების შეტანას. ხელოვნურად ამოიღეს მოხელეების მოქმედებების რეგლამენტაცია, იმისთვის, რომ თუ კანონი არ არეგულირებს მოქმედებას, ასეთ შემთხვევაში საჩივარსაც ვერაფერზე დაწერთ. ეს კი იმისთვის გაკეთდა, რომ შემცირდეს არჩევნებზე დაფიქსირებული საჩივრების რაოდენობა. მარკირებაც იმისთვის ამოიღეს, რომ მოსალოდნელ დარღვევებზე საჩივრები არ შევიდეს.**

ყველაფერია მზად იმისთვის, რომ საბოლოოდ ისეთი არჩევნები მივიღოთ, რა დროსაც, ხელისუფლებას სუბიექტების მხრიდან დიდი რაოდენობის საჩივრების შესვლისას, **იმის განცხადების შესაძლებლობა მიეცეს, რომ ძალიან სერიოზული არჩევნები ჩაატარა,**



**სადაც ფაქტობრივად, არარანაირი საჩივარი არსებობს.**

დღევანდელი პროცესებიდან გამომდინარე სწორედ ეს მივიღეთ.

*— ტელევიზიით გამოცხადდა, რომ კონტროლის პალატა, ანუ სახელისუფლებო სტრუქტურა არჩევნების მონიტორინგს მოახდენს. რატომ არ ატარებინებინებენ მონიტორინგს თქვენისთანა — კომისიაში მონაწილე არასამთავრობო სექტორს?*

— იქ არა მხოლოდ კონტროლის პალატაზეა საუბარი. **ძირეულად შეიცვალა, როგორც პოლიტიკური პარტიების, ისე საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების მექანიზმები და მე ამას მხოლოდ ერთი ფულადი რესურსით აღჭურვილი კანდიდატის გამოჩენას ვუკავშირებ.**

ხელისუფლებამ გადახედა ამ ფიგურას, რომელსაც აქვს ფული და იფიქრა, როგორ შეიძლება მისი განეიტრალება: **მას აქვს ფული, როგორც ოპონენტს. ხელისუფლებას აქვს როგორც ფული, ისე ადმინისტრაციული რესურსიც. ამიტომ, შეეცადა, არჩევნების პერიოდში ფული საერთოდ გამოეტანა არეალიდან. თავად კი, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით ძალიან სერიოზული უპირატესობა და სასტარტო პირობები შეიქმნა.**

რაც შეეხება კონტროლის პალატას, დამეთანხმებით ალბათ, რომ ფინანსები პარტიაში აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს. ადრე ასეთ ფუნქციას ''ცესკო'' ასრულებდა. კონტროლის პალატაში სპეციალისტები არაინ, თუმცა ასეთი ტიპის კომისიაში, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლობა ურიგო არ იქნებოდა ქვეყანაში, ერთხელდასამუდამოდ სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად.

*— თქვენნაირი ადამიანები და არასამთავრობოები რატომ არ შეჰყავთ ასეთ კომისიაში?*

— ჩემნაირი ადამიანები, არც ერთი და არც მეორე მხრიდან, არც ასეთ კომისიებში და არც ამ პროცესებში არ სჭირდებათ. მე ასეთ მიდგომებს მიჩვეული ვარ და პრობლემას ვერ ვხედავ. ჩემთვის მთავარია, ქვეყანაში რაღაც დემოკრატიული გარდაქმნები მართლა მოხდეს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ **ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს ამ არჩევნებზე ფული სამართლებლივი სივრციდან, არასამართლებრივ სივრცეში გადაიტანოს, ვინაიდან, ფულის გარეშე არჩევნების ჩატარება ფაქტობრივად, შეუძლებელია და პარტიები მაინც შეეცდებიან ფულის გამოყენებას. ბოლო დროს მიღებული საკანონმდებლო რეგულაციებით კი არჩევნების პერიოდში შავი ფულის გამოყენება კანონის დარღვევად შეფასდება და შესაძლებელია, სისხლის სამართლებრივი დევნის საგანიც კი გახდეს, პოლიტიკურ მექრთამეობას ვგულისხმობ და ეს უკვე ხელისუფლების სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეცსამსახურების სფეროა.**

*— ნაციონალებისგან ოცდაათლარიანი ვაუჩერების დარიგება “საარჩევნო მექრთამეობასა და სისხლის სამართლის კოდექსის” მიხედვით როგორ მოქმედებს?*

— ეს ძალზე მნიშვნელოვანი თემაა, რადგან ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსს ფაქტობრივად უკვე წლის დასაწყისიდან იყენებს. საამისოდ კოდექსში შეგნებულად ჩადებულია რეგულაცია, რომელიც სერიოზული საკანონმდებლო ხარვეზად შეგვიძლია განვიხილოთ. მოგეხსენებათ, რომ **საარჩევნო კოდექსის მოქმედება მხოლოდ მას შემდეგ იწყება, რაც პრეზიდენტი ოფიციალურად ნიშნავს არჩევნებს.**

ეს კი მოქმედი კანონმდებლობით, არჩევნებამდე არაუგვიანეს სამოცი დღისა უნდა მოხდეს. **მხოლოდ პრეზიდენტის მიერ არჩევნების დანიშვნის შემდეგ იწყება საარჩევნო კოდექსის რეგლამენტაცია. საარჩევნო პრაქტიკაში ჩვენ გვახსოვს, რომ ამ ბრძანებულებამდე ბევრად ადრე მმართველი პარტია ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით ამომრჩეველთან ურთიერთობას ამყარებდა, რასაც სოციალური პროგრამებით ხსნიდა. ამომრჩეველთა მოსყიდვის თაობაზე საჩივრის შეტანის შემთხვევაში კი სასამართლო განმარტავდა, რომ ნაციონალური მოძრაობა საარჩევნო კანდიდატად ჯერ რეგისტრირებული არ არის და მასზე “ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების” შესაბამისი მუხლი არ ვრცელდება, ხოლო ის, რაც ხდება, მიჩნეულია, რომ მთავრობა ასრულებს სამთავრობო პროგრამებს.**

ვფიქრობ, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობაში უსერიოზულესი ხარვეზია დაშვებული. **უმჯობესი იქნებოდა, რომ საარჩევნო მონიტორინგი საარჩევნო წლის დასაწყისიდან ყოფილიყო და არა მას შემდეგ, რაც მას პრეზიდენტი დანიშნავს.**

*— მკითხველს მარტივად რომ განვუმარტოთ, ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ამომრჩევლის მოსყიდვად და კანონდარღვევად არ ეთვლება, ვინაიდან პრეზიდენტი ამ 'მოსყიდვის'' დასრულებამდე არჩევნებს არ ნიშნავს. არჩევნებიც მაშინ დაინიშნება, როდესაც ნაციონალები ჩათვლიან, რომ “მოქრთამვა საკმარისია”. ყველა დანარჩენი სხვა სუბიქეტები კი ანალოგიური ქმედებისთვის სისხლის სამართლის დანაშაულით — “ამომრჩევლის მოქრთამვის ბრალდებით”, პასუხიმგებლობაში იქნებიან მიცემულნი?*

— ის სოციალური დახმარება და ვაუჩრების თემაც, ერთმნიშვნელოვნად იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლებამ საარჩევნო კამპანია ძალიან აქტიურად დაიწყო და ვფიქრობ, რომ თავად ოპოზიციამაც, რომელსაც ამის რესურსი ნამდვილად გააჩნია, ახლა პარალელურად უნდა დაიწყოს საარჩევნო კამპანიის წარმოება და არა მაშინ, როდესაც ოფიციალურად დაინიშნება არჩევნები, მაგრამ ბოლო ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა ორგანულ კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, შესაძლო რისკების თავიდან აცილების მიზნით საჭიროებს სიფრთხილეს და ყველა ნაბიჯის სტრატეგიულ გათვლას.



*— გამოდის ხმები, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციების მიღებას ხელისუფლების მხრიდან შერჩევითი ხასიათი აქვს. იღებენ იმას, რაც თავად აწყობთ. 190 დეპუტატი ისევ დარჩა?*

**— ვენეციის კომისიის დასკვნები ყოველთვის ასახავს მთელ პრობლემატიკას, მაგრამ ეროვნულ კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაცია შერჩევით ხდება. შერჩევითობის**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**პრინციპს ხელისუფლება განსაზღვრავს პრინციპით, რომ მისაღებია ის, რაც ძალიან დიდ გავლენას არ იქონიებს არჩევნების შედეგებზე მმართველი პარტიის გამარჯვების პრინციპით. ვენეციის კომისიის საქართველოში სტუმრობისას, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერც მე და ვერც ჩემი ორგანიზაცია ვერ შევხვდით.**

*— აბა, ვინ შეხვდა?*

— კომისია შეხვდა რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს. როგორც მმართველს, ისე ოპოზიციურ გუნდს. სავარაუდოდ, მათ რაღაც წინადადებები მიაწოდეს ამ კომისიას. დარწმუნებული ვარ, რომ სამმა არასამთავრობო ორგანიზაციამ სერიოზული რეკომენდაციები მიაწოდა, მაგრამ ასეთი ტიპის (ვენეციის კომისიის) ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო. რამოდენიმე დღის წინ იურიდიული კომიტეტისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების თავმჯდომარეები ვენეციის კომისიასთან სასაუბროდ გაემგზავრნენ. იქ ადგილზე გაეცნენ მათ დასკვნებსა და გაიარეს კონსულტაციები. ურიგო არ იქნებოდა, რომ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებსაც აელოთ იგივე გეზი და ასეთი ტიპის კომისიებთან ადგილზე ემუშავათ აქტიურად. ძალზე ცუდია, რომ ოპოზიციური პარტიები ნაკლებად არიან დაკავებულნი ასეთი ტიპის კომისიებთან ადგილზე მუშაობით და მხოლოდ იმით შემოიფარგლებიან, რომ მათი ჩამობრძანების შემდეგ, ერთსაათიანი შეხვედრების დროს ახდენენ ფოკუსირებას იმ პრობლემატიკაზე, რა სეიროზულის პრობლემებიც არსებობს არჩევნების სამართლებრივად ჩატარებასთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში ნაციონალური მოძრაობა უფრო პრაქტიკულად იქცევა და ბოლომდე მიჰყვება თავის წინადადებებს, როგორც ადგილზე ისე საზღვარგარეთ.

*— ამიტომ ყოველ ჯერზე იგებენ კიდეც არჩევნებსაც? კაბა, მართალია, რომ პრობლემები, საარჩევნო სუბიექტებს, არჩევნების დროსაც, ნარკოლოგიურ შემოწმებასთან დაკავშირებითაც შეიძლება შეექმნათ?*

— კოდექსის პროექტში, "ტერმინთა განმარტებაში"— მეორე მუხლში, არის პუნქტი, რომელიც შეეხება ხელახალი არჩევნების ჩატარების საფუძვლებს.

**დამატებულია ქვეპუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, რომ ხელახალი არჩევნების დანიშვნა და სუბიექტისთვის ხმების გაბათილება შესაძლებელი თუ ნარკოლოგიური დაწესებულება კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობას ცესკოს დროულად არ მიაწვდის.**

ძველი რეგულაციის თანახმად, გამარჯვებულ კანდიდატს ნარკოლოგიური შემოწმების გავლა და შესაბამისად, ცნობის ცესკოში წარდგენა ევალებოდა და ვადებიც, საკმარისი იყო. დღეს კანონმდებელმა დაამატა დათქმა, რომ თუ ნარკოლოგიურმა დაწესებულებამ ცესკოს ეს ცნობა დროულად არ წარუდგინა, ასეთ შემთხვევაშიც კი როცა კანდიდატი არაფერ შუაშია, მისი ხმები ბათილდება.

**ანუ თუ ერთი სახელმწიფო დაწესებულება მეორე სახელმწიფო დაწესებულებას დროულად არ გადაუგზავნის მესამე პირის შემოწმების შესახებ საჭირო ცნობას, მესამე უდანაშაულო პირი იჩაგრება. ეს ბერკეტი, შესაძლოა, გამარჯვებული კანდიდატისთვის გამარჯვების ოქმის შეგნებულად დაგვიანებისთვის იქნას გამოყენებული.**

*— კაბა, "კუზიანს სამარე გაასწორებსო". მუდმივად ცაცხლებს შეჩვეული ხელისუფლება უარს ამაზე ახლაც არ იტყვის. „ცაცხლების კიდევ რა ხერხებს შეიძლება მიმართოს ხელისუფლებამ?*

— მე, საერთოდ, ყველა რჩევა უფასო მაქვს და რჩევებში ფულს არ ვიღებ. ვიმედოვნებ, რომ ამ რჩევებს ცოტა მაინც გაითვალისწინებენ პარტიები საარჩევნო კამპანიის დაწყებისა და ჩატარების დროს მაინც. წვაიდა ის დრო, როდესაც საარჩევნო უბანზე ვიღაც შევარდებოდა, ათას ხმას ჩაყრიდა ან საარჩევნო ყუთს გაიტაცებდა. გაყალბების სულ სხვა, იმდენად წყნარი და მშვიდი მექანიზმები არსებობს, რომ კენჭისყრის დღეს დამკვირვებელს, ფაქტობრივად, საფუძველიც კი არ ექნება, შემდგომში განაცხადოს, რომ რაღაც პროცესი არასწორად წარიმართა. როდესაც ჩვენ გაყალბებაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ ის, რომ გაყალბება ხდება უკვე საკანონმდებლო დონეზე, როდესაც ხელისუფლება კანონს თავის თავზე ისე ირგებს, რომ არჩევნების დღეს მას არანაირი პრობლემა აღარ ექმნება.



*— ანუ პრაქტიკულად, რაც უკვე ხდება?*

—პრაქტიკულად, არის ის, რომ საარჩევნო სისტემა არის დარჩენილი ისევ ისეთი, როგორიც იყო. ამავდროულად ვფიქრობ, რომ დღევანდელი პოლიტიკური ვითარებისთვის 5%-იანი ბარიერი ძალიან მაღალია და ჯობდა ეს ბარიერიც დაწეულიყო. 30%-იანი მაჟორიტარული ბარიერიც 50%-მდე უნდა აიწიოს, ვინაიდან ეს ბარიერი უკვე ტექნიკურად არის მორგებული იმაზე, რომ ორი ან რამოდენიმე ოპოზიციური პარტია ერთმანეთთან კონკალობის პერიოდში ერთმანეთს ართმევს ხმას. ნაციონალური მოძრაობის ამრჩეველი კი, ყოველთვის მოტივირებულია დაარჩევნების დღეს 100%-ით ცადდება საარჩევნო ყუთთან. ხოლო იმ დანარჩენ ოპოზიციურად განწყობილ პროცენტთან მიმართებაში ხელისუფლების ამოცანას მათი ხმების რამოდენიმე ცენტრზე გახლეჩა წარმოადგენს, რასაც ადვილ კარგად ახერხებდა და სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ახლაც მოახერხებს.

*— ანუ თქვენ თვლით, რომ ერთიანი დიდი ცენტრი უნდა შეიქმნას?*

— როდესაც საუბარია ძლიერ ოპონენტზე და დამეთანხმეთ, რომ არსებული კანონმდებლობითა და რესურსით ნაციონალური მოძრაობა ასეთი ძლიერი ოპონენტი გამოდის. ნებისმიერი მათი ოპონენტისთვის კი, რომელსაც რეალური ცვლილების მიღწევა სურს, ასეთი ძლიერი ოპონენტის დასამარცხებლად, ერთიანი ფრონტით გამოსვლაა საჭირო. ნებისმიერ ძლიერ ლიდერს, მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობის სურვილი არ უნდა ჰქონდეს. მე რომ ოპოზიციური ლიდერი ვყოფილიყავი,

**ამოცანას ორ ეტაპად დავსახავდი. პირველი ეტაპი იქნებოდა აბსოლუტურად ყველა პოლიტიკური ფიგურის გაერთიანება. იმ კუთხით, რომ შემცირებული ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერა და ზეგავლენა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე და იქვე პირობას დავდებდი, რომ ზუსტად ამ არჩევნების ჩატარების შემდეგ, დაახლოებით, სამიდან ექვს თვეში ჩავატარებდი ხელმეორე საპარლამენტო არჩევნებს, დემოკრატიულ საარჩევნო გარემოში, სადაც ყველა პოლიტიკურ სუბიექტს მიეცემოდა შესაძლებლობა უკვე სიმპატიების მიხედვით ეყარა კენჭი პარლამენტში და ვინც გაიმარჯვებდა- გაიმარჯვებდა.**

მაგრამ დღეს, როდესაც მთელი სახელისუფლებო სისტემა იმაზეა გათვლილი, რომ რამოდენიმე ოპოზიციური ცენტრი შეიქმნას. პრაქტიკამაც გვაჩვენა, რომ ასეთ შემთხვევაში ოპოზიცია ყოველთვის აგებს, რადგან ასეთ შემთხვევაში მხოლოდ პოლიტიკურ სიმპატიებზე აქცენტის გაკეთება, ისევ და ისევ ხელისუფლების ინტერესში ჯდება. ვფიქრობ, რომ ხელისუფლება კიდევ რამოდენიმე პოლიტიკურ ცენტრს შექმნის, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა ერთმანეთს წაართვან ხმები. დანარჩენი ოპოზიციური ამომრჩეველი კი, ნიპილოზმში ჩავარდება და შესაძლოა, საარჩევნო ყუთთან ისევ არ მივიდეს. აი, ეს არის ხელისუფლების მთავარი კოზირი, რომლის გამოყენებასაც აქამდეც შესანიშნავად ახერხებდა და არ მინდა ვისურვო, რომ ახლაც იგივე მოახერხოს.

*— ჩვენი საუბრიდან გამომდინარე, არცთუ კარგი პერსპექტივა გვაქვს, იმიტომ, რომ ოპოზიცია ამ ვერაგული კანონის წინააღმდეგ არაფერს თუ ვერაფერს აკეთებს.*

— ოპოზიცია აკეთებს იმას, რომ ერთმანეთს უფრო აკრიტიკებენ, ვიდრე ყველა ერთად ხელისუფლებას. ეს, ვიმეორებ, მხოლოდ ხელისუფლების ინტერესებში ჯდება. მეტიც, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის განსხვავებული აზრებია, მაგრამ ეს განსხავებული აზრები მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაფიქსირდეს, რაც ძლიერი მეტოქე საბოლოოდ იქნება განეიტრალებული. დღეს კი, როდესაც ამხელა ბერკეტებთან გვქვს საქმე, ცალკე გახვიდე ამ სისტემასთან და მონოლიტურ ორგანიზაციასთან საბრძოლველად, არც პოლიტიკურად არც სტრატეგიულად – არასწორია.

*— ნაციონალური მოძრაობაც, ფაქტობრივად სწორედ ასე არ მოვიდა?*

— ყოველთვის ვიძახი, რომ ნაციონალურ მოძრაობას ძალიან ტექნოლოგებიცა ჰყავთ, კარგი ორგანიზატორებიც არიან და დღემდე კარგ ორგანიზებას უწევენ თავის პარტიულ ვერტიკალს. ის მოლოდინი, რომ ერთი ძლიერი ადამიანის გამოჩენის შემთხვევაში მთელი ნაცმოძრაობა დაიშლებოდა, არ გამართლდა და არც გამართლდებოდა. აქედან გამომდინარე, სანამ გვიან არ არის, სტრატეგია დროზეა შესაცვლელია.

**ბაია ამაშუკელი**

# replika



— სპორტსმენის ადგილი სპორტშია და არა პოლიტიკაში, — თქვა ლადო ვარძელაშვილმა. მაშინ ვეკითხები ვარძელაშვილს, ასანიძეს რა უნდა პოლიტიკაში, ფულის კეთების მეტს რომ არაფერს აკეთებს? წავიდეს, ბავშვებს შტანგის აწევა ასწავლოს. ფეხბურთის ფედერაცია რომ გვყავს უსაქმურობის კანტორა, რას აკეთებენ, ერთი მითხარით. ეს არის ქართული, ამას ჰქვია ფეხბურთის ჩემპიონატი?

თქვენ ვინც გაწყობთ, მათთვის ყველაფერი შეიძლება. ეხლა რომ გამოეხმაურეთ კახა კალაძის წასვლას, ვითომ ძალიან გეწყინათ, ვენაცვალე ლევან ყიფიანს, ყველაფერი ლამაზად მოგახსენათ. კახის მეგობარი კაცი დიდი ფეხბურთელი, რომელმაც რუს და უკრაინელ გულშემატკივრებს თავი შეაყვარა, რომელიმემ ხმა ამოიღო, კახის დაუდექით გვერდში, თქვე კურდღლებო, კუდები აგეწვათ ეხლა, ხალხი ციხეებში რომ კვდება და კვლავთ — ეს არ ყოფილა დანაშაული და დემეტრაძე დამნაშავეა? რახან კახი მმაკაცს გვერდში დაუდგა, ამიტომ აფორიაქდა მთავრობა. კალაძე თავისი ოფლით, შრომით მიაღწია ყველაფერს, თქვენ კი, ხელისუფალნო, წართმევა გინდათ. სირცხვილია, ერთი ჩაბრძანდით იტალიაში და ჰკითხეთ გულშემატკივარს, როგორ უყვარს კახი კალაძე ხალხს. განა იმდენი არ გაუკეთებია ქართულ ფეხბურთში, თუნდაც საზღვარგარეთ, რომ თავისი უდანაშაულო მეგობარ დემეტრაძეს უდანაშაულოსთვის ეპატიებინა. მაგრამ თქვენ ვაჟკაცობა ვინ მოგცათ, ერთი ხმა არ ამოგიღიათ, და კაცი ტყუილუბრალოდ ზის ციხეში, კახა ვაჟკაცი კაცია, მეგობრული, საოცრად თბილი. მე მაშინ დავრწმუნდი, როცა საქართველოს ნაკრები ჩემთან ჩამოვიდა სავახშმოდ „ნიკალაში", „ნიკალა" მაშინ ჩემი საკუთრება იყო. როგორც კი დაამთავრეს ვახშამი, გარეთ გამოვიდნენ ნიკალას წინ, უნდა გენახათ კახი როგორ სუყველას ეფერებოდა, ესიყვარულებოდა, მოვიდა გიგუშა დემეტრაძე და კახის უთხრა — ეს მამაჩემის მეგობარია. გადამეხვია, გადამკოცნა, მე ამ კაცში ვიგრძენი სითბო. ეს არის დიდი კაცი და დიდი ფეხბურთელი. მე ვუსურვებდი კახის წინ სვლასა და ჯანმრთელობას საყვარელ ოჯახთან და მეგობრებთან ერთად, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

**ირაკლი — (იგო) დოლიძე**
**ფეხბურთის გულშემატკივარი**
**60 წლის სტაჟით**

# irina sariSvili fiqrobs, rom saxalxo gadatrialeba gardauvalia

***რას ურჩევს ბიძინა ივანიშვილს და რაში მდგომარეობს სარიშვილის ე.წ. სცენარის სირთულე? ამ და სხვა საკითხებზე „საერთო გაზეთს“ პოლიტიკური პარტია „იმედის“ თავმჯდომარე ირინა სარიშვილი ესაუბრა:***



—რაც შეეხება ივანიშვილის პრიორიტეტულ მდგომარეობას და პროცესებს ოპოზიციაში, მე საკითხს ასე დავსვამდი: ივანიშვილს ან საერთოდ უარი უნდა ეთქვა, დღემდე აქტიურად მოქმედ ყველა ოპოზიციურ პარტიაზე, რომელმაც ამ წლების განმავლობაში მოსახლეობაში დიდი იმედგაცრუება გამოიწვია, ან არ უნდა გაეკეთებინა მათ შორის, ასეთი „რეიტინგული“ არჩევანი, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყველაზე ნაკლებად პოპულარულ და ყველაზე მცირე რიცხოვან პარტიაზე შეაჩერა არჩევანი. ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს არც თუ ისე სახარბიელო პროცესებს, რაც, საბოლოო ჯამში, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილის წისქვილზე ასხამდეს წყალს.

კიდევ ერთხელ ვამბობ, არაერთიანობის სინდრომის გაქრობა ივანიშვილს ორი გზით შეეძლო: პირველი გზა, რაც ჩემთვის ყველაზე უფრო მისაღები იქნება-მას თვითონ შეექმნა თავისი ორგანიზაცია, უარი ეთქვა აი, ასეთ ოფიციალურ პარტნიორობაზე ნებისმიერ ოპოზიციასთან, თუმცა კონსულტაციები მათთან უნდა გაემართა, ან ყველასთან ერთად შეექმნა რაღაც გაერთიანება.

ოპოზიციაში ისედაც არ მიდიოდა გაერთიანების ტენდენციის მატარებელი პროცესები, დღეს ეს კიდევ უფრო გაღრმავდება. თუმცა შესაძლებელია ველოდოთ მეორე პროცესს, ანუ ივანიშვილისგან უარყოფილი პოლიტიკური ორგანიზაციების ერთად და ივანიშვილისთვის ე.წ. ბალასტის შექმნას, მოინდომონ-ესეც გვინდა, თუ არა უკვე სააკაშვილის წისქვილზე წყლის დასხმა იქნება, თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, სახელისუფლებო სტუქტურების რესურსი გაყალბების გარეშეც სადღაც 25-30%-ია და იმასაც დავუმატებთ, რომ ეს ხელისუფლება არ გამოსწორდება მომავალ, კარსმომდგარი არჩევნების წინ და ის საკმაოდ მაღალ პროცენტს გაყალბებისა აჩვენებსაი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, ეს პროცესი კარგი არ არის.

**— ქალბატონო ირინა,ივანიშვილის გამოჩენით პოლიტიკაში გაჩნდა რუსული ფაქტორების დამკვიდრების ტენდენცია, ანუ ის პარტიები, რომელიც ადრე კატეგორიულად გამორიცხავდნენ მსგავსი რეალობის დადგომას, ახლა ამაში პრობლემას ვეღარ ხედავენ: როგორც პრორუსულად ცნობილი პოლიტიკოსი, ამ პროცესში საკუთარ თავს როგორ ხედავთ, ივანიშვილთან თუ ითანამშრომლებთ?—**

— **დავიწყოთ იქედან, რომ საერთოდ ვერ ვხედავ რუსული პოლიტიკის ნიშნებს. აბსურდულად მეჩვენება საერთოდ ამის განცხადება, რომ ივანიშვილის შემოსვლა, რუსულ პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, ისევე როგორც ჩემ პრორუსულობაზე საუბარი.**

პრორუსული, არასახელმწიფოებრივი, არამედ ჩინოვნიკური გარიგების ნიშნები, სწორედ ამ ხელისუფლებას აქვს და სწორედ ამ ხელისუფლებას უნდა დაუდგას ძეგლი დღევანდელი რუსეთის ხელისუფლებამ იმისათვის, რაც მან მოახერხა ერთი მხრივ-სააკაშვილის მხრიდან ვერბალურად ძალიან ანტირუსულ გამოსვლებში და მეორე მხრივ, მისივე მხრიდან და მისივე ხელისუფლების ნებითვე, თითქმის ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის გასხვისება-გაყიდვა სახელმწიფო, ან ნახევრად სახელმწიფო რუსულ კომპანიებზე. რაც შეეხება, ივანიშვილს, მე მასთან აბსოლუტურად სხვა პრობლემას ვხედავ — ეს ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ არის უდიდესი ბიზნესმენი მე, პირადად, მას ძალიან დიდი პატივს ვცემ, როგორც ქველმოქმედს და ბიზნესმენს, მაინცდამაინც, კარგად ვერ ერკვევა პოლიტიკაში და გვერდით სწორედ ის ადამიანები დაიყენა, სამწუხაროდ, რომელიც მას ამის გარკვევაში, ნამდვილად, არ დაეხმარებიან. მხედველობაში მყავს „რესპუბლიკელები“ და ბევრი სხვა ადამიანი, რომელიც ადამიანური თვისებებითაც და პოლიტიკურადაც, საზოგადოებაში სრულიად სამართლიანად არ სარგებლობენ კარგი სახელით. პრობლემას ვხედავ იმაშიც, რომ ივანიშვილი შეიძლება ყველაზე მძიმე შემთხვევაში მახეში გაბმული აღმოჩნდეს.

**— ამ ბოლო დროს ოპოზიცია, ფაქტობრივად, შეთანხმდა, რომ ხალხის მოთხოვნა რუსეთთან ურთიერთობების დალაგებაა. თქვენი პლატფორმის პარტიას ეს ტენდენცია რამდენად გაუხსნის მოქმედების არეალს?**

—ისევ და ისევ ვუბრუნდები იმ საკითხს: მე არ ვიცი, რას გულისხმობთ ჩემი პლატფორმის პარტიაში, ანუ, „იმედში“, რომელიც „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ წევრთა უმრავლესობისგან შედგება.

ჩვენ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება არ მიგვაჩნია რუსულ ორიენტაციად, პირიქით, რუსეთთან, როგორც სახელმწიფოსთან, ურთიერთობის ისეთი არევა, რომელიც ყველაზე მეტ მოგებას სწორედ რუსეთის მხარეს ანახებს და არა საქართველოს-ეს მიგვაჩნია, სწორედ, არა რუსეთის როგორც სახელმწიფოს, არამედ რუსი ჩინოვნიკების ინტერესების სამსახურად, რითაც დაკავებულია დღევანდელი ხელისუფლება.

დღევანდელმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც გუშინ ჩვენ რუსეთის აგენტებს გვეძახდნენ ერთადერთი ფრაზის გამოც თუნდაც, რომ ნეიტრალიტეტის მომხრეები ვიყავით, დღეს თვითონ დაიწყეს ამაზე საუბარი. ღმერთმა ჰქნას, მათი მხრიდან გულწრფელი სურვილი იყოს, მაგრამ მე მაინც მგონია: ეს ადამიანები უბრალოდ, მედროვეები არიან და ასეთ განცხადებებს აკეთებენ, რადგან თვლიან, ყველაზე კარგი სავიზიტო ბარათი იქნება ხელისუფლებაში მოსასვლელად.

ხოლო ხალხს რომ რეალურად ჰკითხონ და მათი აზრი მართლაც გაითვალისწინონ, ნეიტრალიტეტს ემხრობა საზოგადოების უდიდესი ნაწილი. უფრო კონკრეტულად კი იმდენი, რამდენიც მოწინააღმდეგეა მიხეილ სააკაშვილის.

ჩვენი პარტიისთვის და კონკრეტულად, ჩემთვის, სამწუხაროდ, არც ერთ ამ ვითარებაში მოქმედების არეალის გახსნა არ ხერხდება, იმდენად რამდენადაც, როგორც ჩანს, გულწრფელად ასეთი პოზიციის მატარებელი პოლიტიკოსი (მხედველობაში მაქვს დაბალანსებული საგარეო პოლიტიკა, ანუ ნეიტრალიტეტი. იმდაგვარი ვითარება, რომელიც თუნდაც აზერბაიჯანს აქვს და ის ამ შემთხვევაში, საქართველოსთვის ბუნებრივად მინიჭებულ გეოპოლიტიკურ უპირატესობას თვითონ იყენებს...)აი, როგორც ჩანს, ასეთი პოლიტიკოსები, არც ერთ და არც მეორე მხარეს არ სჭირდება და სწორედ ეს მიჩენს ეჭვს, რომ საუბარი საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება იყოს სახელებისა და გვარების ცვლილებაზე, მაგრამ იგივე პოლიტიკის გაგრძელებაზე. გავიხსენოთ, „რესპუბლიკელების“ იდეოლოგია, რომ არაფრით განსხვავდება ნაციონალების იდეოლოგიისგან. სააკაშვილი უნდა წავიდეს. იდეოლოგიურად, ვიმეორებ, მას ვინც ებრძვის „რესპუბლიკელების“ სახით, არაფრით მისგან არ განსხვავდება.

აი, სააკაშვილმა გამოთქვა სურვილი პარლამენტის თავმჯდომარეობაზე. ეჭვი არ მეპარება, დღესვე ექნებათ მათ მცდელობა ოპოზიციის იმ ნაწილთან გარკვეული მოლაპარაკებაზე, რომელიც დაუკავშირდა ივანიშვილს და თვითონ ივანიშვილთანაც ცდიან.

აი, ასეთ ვითარებაში როგორ შეიძლება პოლიტიკურმა ლიდერმა, თუნდაც გუშინ აღმოცენებულმა პოლიტიკოსმა, კატეგორიული უარი განაცხადოს ქუჩის აქციებზე, ამით რეალურად უკვე წინასწარვე დაამშვიდოს ხელისუფლება და წინასწარვე განაწყოს მოსახლეობა იმისთვის, რომ ამ ე.წ. მშვიდობას შეიძლება შეეწიროს ის, რისთვისაც ამ ხალხმა ამდენი იბრძოლა წლების განმავლობაში.

**— თუმცა არც ისე პრიმიტიულ მიდგომებს გვთავაზობს ბიძინა ივანიშვილი და მისი კოალიცია, ისინი არჩევნების შემდგომი სახალხო მღელვარებით იმუქრებიან. ასე რომ, პროცესები წინ გვაქვს...—**

— იცით რა? მღელვარება მოსალოდნელია ნებისმიერ შემთხვევაში, არჩევნების შემდგომ, ანუ ლოგიკური იქნება ეს მღელვარება. მთავარია, ვინ რას გეგმავს და ეს ჩვენ არ ვიცით. ანუ მღელვარება აწყობს სააკაშვილსაც, თუ ის რაოდენობა ხმების ვერ გაინაღდა პარლამენტში, რაც მას სჭირდება და მღელვარებით დაინტერესებული უნდა იყოს ასევე ოპოზიცია, თუ ის უკმაყოფილო იქნება შედგებით. მაგრამ აქ საკითხი დგას სხვანაირად—ხალხი გამოვა საკუთარი ხმების დასაცავად, ანუ ამ ლოგიკით და ამ მოთხოვნით, საკუთარი ხმების დაცვას მოინდომებენ თვითონ ამ ხმების პატრონები, ისინი, ვისაც ეს ხმები მისცეს. ამიტომ კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვიმეორებ, რა ლოგიკით, რის საფუძველზე გამორიცხავს კატეგორიულად ივანიშვილი ქუჩის აქციებს? მეორე-თვითონ ის გარემოცვა, რომელიც ახლა გარს არტყია ივანიშვილს... არც გამოცდილება აქვთ ამ ქუჩის აქციების და არც დიდი სურვილი არ დატყობიათ არასდროს, ანუ მთელი ამ ხნის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ჩნდება შეკითხვა: ვთქვათ, ივანიშვილიც რომ განზე გავწიოთ, ეს პარტიები რამდენად მოახერხებენ ამის გაკეთებას? რა თქმა უნდა, ვერ მოახერხებენ. იბრძოლებენ თუ არა სხვა პარტიები, რომ „რესპუბლიკელების“ და ივანიშვილის სხვა ბლოკის წევრების ხმები იქნას დაცული? აქ მე მგონი, შეკითხვაც არ უნდა დავსვათ.

**ძალიან დიდი საფრთხე არსებობს იმისა, რომ ქაოსში გადავიდეს ე.წ. პროცესები-გარკვეულმა დაჯგუფებებმა ადამიანების, ჩვეულებრივი მოქალაქეების, უკვე ყველა პოლიტიკოსის უარყოფით თვითონვე დაიწყონ საპროტესტო მოქმედებები და თუ ამას ორგანიზატორი დროზე არ გამოუჩნდება, ნამდვილად არ მოუტანს სიკეთეს ქვეყანას.**

არც ერთი ის ვარიანტი, რაც ჩამოვთვალე, კარგი არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მოცემულობით სხვა არაფერი ჩანს. ერთადერთი შეიძლება გამოჩნდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აი, ამ ყველაფრის ფონზე აღმოჩნდება, რომ კონკრეტული ძალა მზად არის თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა. ერთხელ და სამუდამოდ, უარი უთხრას იმ უსამართლობას, რაც ხდება ქვეყანაში და... გარკვეული თვალსაზრისით, ისევ სახელმწიფო გადატრიალებამდე მივდივართ. მოახდინოს სახელმწიფო გადატრიალება და ამის შემდეგ დაინიშნოს



უკვე არჩევნები. ამ ჯადოსნური წრიდან რომ გამოვიდეთ ერთხელ და სამუდამოდ, საბოლოოდ რომ წერტილი დაესვას ამ გადატრიალებების თემას და რეალურად უკვე ნორმალურ გზაზე დავდგეთ: იმ წელს უნდა მივუბრუნდეთ, როდესაც მოხდა წყვეტა ლეგალური ხელისუფლების და რის შემდეგაც დაიწყო ეს გაუთავებელი სახელმწიფო გადატრიალებები, გაუთავებელი სახალხო მღელვარებები პოლიტიკური ნიშნით. ნებისმიერ სახელმწიფო გადატრიალებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს იმ უზენაესი საბჭოს ორი თვით აღდგენა, რომელმაც შეწყვიტა თავის დროზე მოქმედება და სწორედ იმ უზენაესი საბჭოს მიერ ახალი არჩევნების დანიშვნაა აუცილებელი ყველა საარჩევნო სუბიექტის გათვალისწინებით, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების კანონიერი უფლება ექნება. ამ გეგმის არარეალურობა მდგომარეობს არა იურიდიულ მხარეში, არამედ ადამიანურ რესურსებში. სამწუხაროდ, ამ ადამიანურ რესურსებს ყოფილ უზენაესი საბჭოს წევრებშიც ვერ ვხედავ. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეს ასეა.

**ნათია ნოდია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

***გვესაუბრება კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის თავმჯდომარე, პროფესორი გოგი ხუციშვილი:***

— მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში ნორმალური არჩევნების ჩატარების სერიოზული პრობლემა არსებობს. ეს, უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენით შეშინებული ხელისუფლება ისეთ ნაბიჯებს დგამს, საკანონმდებლო ცვლილებებს იღებს, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება როგორც ნორმალური ქვეყნის კანონმდებლობას, ისე დემოკრატიულ ქვეყანაში დასაშვებ ნორმებს. უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში შესულ ცვლილებებს, რაც პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო. ეს მოხდა ახალი წლის წინა პერიოდში დაჩქარებული წესით, რათა საკითხს ნაკლები მსჯელობა და წინააღმდეგობა გამოეწვია და იგი დროულად დაემტკიცებინათ. ეს ცვლილებები არ ეტევა არცერთ ჩარჩოში და ძალიან ცუდად იმოქმედებს საარჩევნო გარემოზე. ამით მივიღებთ იმას, რომ არ გვექნება ნორმალური საარჩევნო გარემო. მოგახსენებთ, თუ რას ვგულისხმობ — ძალიან ფართოდაა ინტერპრეტირებული პოლიტიკური გაერთიანებებისადმი დახმარების გაწევის საკითხი. ძალიან ფართოდ და ორაზროვნადაა ჩამოყალიბებული ის სუბიექტები, რომლებიც შეიძლება დახმარების გამწევად ჩაითვალონ პოლიტიკური ორგანიზაციებისადმი. უამრავი საზოგადოებრივი არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს, რომელთაც კანონმდებლობით პარტიის წევრის ყოლა არ ეკრძალებათ და ჰყავთ კიდეც, მაგრამ კანონში ცვლილების შედეგად, ეს შეიძლება, როგორც პირდაპირ გაწეული მხარდაჭერა ისე ჩაითვალოს. შედეგად ამ ორგანიზაციას უფლება არ აქვს გრანტი ან დაფინანსება მიიღოს სამუშაოს განსახორციელებლად. აღშფოთებული ვარ, რადგან ეს დემოკრატიული ვითარების საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯია. არ შეიძლება ასეთი ბუნდოვანი კანონპროექტის მიღება იმისათვის, რომ მერე კანონის ფართო ინტერპრეტირება მოხდეს და გავრცელდეს დაშინების სინდრომი, მიღებულ იქნას აგრესიული ზომები ყველა ორგანიზაციის მიმართ, რათა ხალხს შეეშინდეს — ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერად არ ჩამთვალონო. ეს პროცესი ყველა ფარგლებს სცილდება, ვფიქრობ საერთაშორისო ორგანიზაციების, ვენის კომისიის განსჯის, სერიოზული გარჩევის საგანი გახდება. ეს მართლა დაუშვებელია. გარდა ამისა, დაფინანსების წესი ისეთ ჩარჩოებშია მოქცეული, წინა კანონმდებლობისგან განსხვავებით, აშკარად იგრძნობა, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის გაკეთდა, რომ გაჩნდა სერიოზული რესურსის მქონე ოპონენტი, რომელსაც ჟანგბადი უნდა გადაეკეტოს, მოესპოს ყველანაირი მოქმედების საშუალება. ეს იმდენად ცხადია რომ უკვე წინასაარჩევნოდ არანორმალურ გარემოს ქმნის. ანუ წინასაარჩევნო გარემო საარჩევნო სუბიექტების თანაბარ პირობებში ჩაყენებას, რაც კანონში ცვლილებების შემთხვევაში, გამორიცხავს. ადამიანს არჩევნებზე მისვლა უნდა უხაროდეს და დარწმუნებული იყოს, რომ მის თავისუფალ არჩევანს არაფერი ემუქრება. ჩვენ კიდევ პირიქით, წინასაარჩევნო პერიოდში ისტერიულ ვითარებას ვქმნით. სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი? — ეს სერიოზული განსჯის საგანია. ამიტომ საარჩევნო გარემოზე როცა ვსაუბრობთ, კანონმდებლობა, ქვეყნის ვითარება უნდა შეესაბამებოდეს ნორმალურად არჩევნების ჩატარებას და არა პირიქით. ამჯერად, ვხედავ სერიოზულ საშიშროებას, რომ ჩვენ ასეთი გარემო არ გვექნება. როგორი კოდექსიც არ უნდა იქნას მიღებული, თუნდაც მასში დადებითი ცვლილებებიც შევიდეს, საერთო ვითარება აუტანელი იქნება. ამ აუტანელ ვითარებაში ხალხი უკვე ან საერთოდ ბოიკოტს გამოუცხადებს არჩევნებს, ან ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობა მკვეთრად გაიზრდება. ანუ ხელისუფლება თავის საწინააღმდეგო განწყობას თავისივე ქმედებებით ქმნის მოსახლეობაში.

**— ოპოზიციამ და ხელისუფლებამ ბევრი ითათბირა მრგვალ მაგიდასთან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე, თუმცა უშედეგოდ. რვიანის დაშლის შემდეგ მამუკა კაციტაძემ ისიც კი აღნიშნა — ახლანდელი კანონი ბევრად უარესი იქნება, ვიდრე წინამორბედიო. რამდენად აქვს აზრი ასეთ არჩევნებში მონაწილეობას?**

— პირდაპირ გეტყვით, ეს არჩევნები თავისუფალ არჩევნებად ვერ ჩაითვლება. ისეთი საარჩევნო გარემო შეიქმნა, რომელიც ნორმალური არჩევნების ჩატარებას გამორიცხავს.

**— მერე ეს ოპოზიციურმა პარტიებმა არ იციან, როგორია მათი შანსები?**

— არსებული ვითარებით ოპოზიციას ძალიან მცირე შანსი ჰქონდა პარლამენტში მოხვედრის, თუ ბიძინა ივანიშვილის კოალიციის გაფორმებას არ ჩავთვლით. ეს კოალიცია გაცილებით ზრდის პარლამენტში ოპოზიციის მოხვედრის შანსებს.

**— მაგრამ რა ვითარება შეიქმნება, თუ ბიძინა ივანიშვილი ამ პარტიების დაფინანსებას ვერ შეძლებს?**

# iseTi saarCevno garemo iqmneba, romelic Tavisufal arCevnebs gamoricxavs

— არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მიიღებენ მხოლოდ ის სუბიექტები, რომლებიც არ შედიან ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში. ასეთ შემთხვევაში, ოპოზიცია ვერ გადალახავს ბარიერს. ჩვენ არ გვაქვს მესამე ფრონტი. დღეს ორი ფრონტია — ივანიშვილი და სააკაშვილი. მესამე ფრონტი არ ჩანს, ამიტომ ხვდებით, ალბათ, რა სურათს მივიღებთ.

**— რა ბერკეტი რჩება ბიძინა ივანიშვილს საბრძოლველად?**

— ფონდი ,,ქართუ‘‘ არ არის პოლიტიკის დამფინანსებელი, ეს არის საქველმოქმედო ფონდი. ამიტომ, წესით, კანონით მას არ უნდა აეკრძალოს მოქმედება. გარდა ამისა, გარკვეული სახსრები უნდა ჰქონდეს ,,ქართულ ოცნებას‘‘. მაგრამ ხელისუფლების მთელი ქმედება მიმართულია იქითკენ, რომ ,,ქართული ოცნების‘‘ დაფინანსება დაიბლოკოს და შედეგად არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღონ.



**— ხელისუფლებამ მოიფიქრა ბიძინა ივანიშვილის თანხების გაკონტროლების სქემა საარჩევნოდ, მაგრამ ვინ გააკონტროლებს რამდენს დახარჯავს არჩევნებში თავად ხელისუფლება?**

— რა თქმა უნდა, ვერავინ. მოვიყვან ერთ მაგალითს, შეიქმნა კომისია, რომელიც საარჩევნო სიების დაზუსტებას ისახავს მიზნად. ამ კომისიის შემადგენლობაში ნახევარზე მეტი ნაცმოძრაობის წევრებია, ალტერნატიული აზრი ნაკლებადაა წარმოდგენილი. კომისია ისეა შექმნილი, რომ ხელისუფლებას გარანტირებული აქვს სასურველი შედეგის მიღება, ეს აშკარაა. მე ძალიან მიკვირს, რომ საერთაშორისო დონეზე ხმა არავინ ამოიღო, ასეთნაირად დაკომპლექტებული კომისიის საწინააღმდეგოდ. ესეც ერთ-ერთი ფაქტორია, იმისა, რომ შეუძლებელია ასე ნორმალური არჩევნები ჩატარდეს.



**— როცა აშკარაა, რომ საარჩევნო გარემო ვერ გაუმჯობესდება, რა უნდა გაკეთდეს ამ დროს — ვიჯდეთ სახლში და არჩევნების თარიღს დაველოდოთ, თუ რაიმე კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას?**

— საბოლოო სუბიექტი და სუვერენიტეტი, ნებისმიერ ქვეყანაში ხალხია. როგორიც არ უნდა იყოს კანონმდებლობა, კონსტიტუცია, საბოლოო სიტყვას ხალხი ამბობს. ამიტომ ხალხი თუ არ გაჩუმდა, თუ გამოთქვა საკუთარი აზრი, დაიკავა პოზიცია, ასეთ შემთხვევაში, ქვეყანა სასიკეთოდ შეიცვლება. მთავარია, ხალხი არ გაჩუმდეს. არ უნდა დავსვათ კითხვა — პარლამენტმა კანონი უკვე მიიღო და აბა, ჩვენ რაღა უნდა ვქნათო. ამ დროს ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია. ამის ათასი ფორმა არსებობს — თუნდაც ორგანიზებულად გამოხატული აზრის დაფიქსირება. არსებობს გარკვეული საერთაშორისო ბერკეტები, რომელიც იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუ პროტესტში საკმარისად ბევრი ადამიანი ჩაერთვება. ქუჩის აქციები არ არის იმის განმაპირობებელი, რომ შეიძლება ყველაფერი კარგად დასრულდეს, მაგრამ თუ სხვა ბერკეტის გამოყენების შესაძლებლობა არ იქნა, ეს გარდაუვალი გახდება.

**— ბუნებრივია, თუ პარტიები ასეთ საარჩევნო გარემოში მიიღებენ მონაწილეობას, გაყალბებებსაც უნდა ველოდოთ?**

— კი, რა თქმა უნდა, გაყალბებები იქნება და მთავარი იცით რა არის?— ამ ფონზე როგორადაც არ უნდა ჩატარდეს არჩევნები, ამ არჩევნების შედეგებს ვერავინ ვერ დაიჯერებს. უნდობლობის სინდრომი იქნება ყოველთვის.

**— რას აკეთებს ამ დროს დემოკრატიული მსოფლიო დემოკრატიული ინსტიტუტები, ევროკავშირი რატომ ვერ ხედავს, რას უკეთებს ხელისუფალი ხალხს?**

— დიახ, ხუჭავს თვალს. საქართველოში რაც ხდება, ჩვენთვისაა მტკივნეული, შიგნიდან ვუყურებთ პროცესებს. გარედან, არა საქართველოს მოქალაქის, გარე ძალებისთვის საქართველოში მიმდინარე პროცესები ნაკლებად მნიშვნელოვანია. იმიტომ, რომ ეს ითქვიფება უფრო მძლავრ და მნიშვნელოვან პროცესებში, რაც მსოფლიოში ხდება. საქართველო სულ უფრო გადადის პერიფერიებში. ასეთ ვითარებაში ძალიან ძნელია გარესამყაროს აქტიური ქმედებები გააკეთებინო. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა მართლა მძლავრი საზოგადოებრივი მოძრაობა იქმნება, ეს აღარ არის დაფარული, ეს არ ჩაივლის რეაგირების გარეშე. საერთაშორისო ორგანიზაციები ამ ეტაპზე აკვირდებიან სიტუაციას. მათთვის მთავარია სტაბილურობა და ამიტომ შეიძლება არადემოკრატიულ ტენდენციებზე თვალი დახუჭონ სტაბილურობის სანაცვლოდ, მაგრამ როდესაც საკმარისად იქნება გამოხატული ხალხის პროტესტი, ამაზე აუცილებლად მოხდება რეაგირება.

**— ადრე ცენტრი მოსკოვი იყო. ამა თუ იმ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ასე რომ გაუტევდა, მოსკოვში ჩადიოდნენ და შესაბამისი ზომების მიღება ხდებოდა. ჩვენთვის ვინ არის ახლა ცენტრი — ევროკავშირი თუ ვინ? სად უნდა მივაღწიოთ სამართალს?**

— ახლა არის ბრიუსელი და ვაშინგტონი. მაგრამ იცით, რაშია საქმე? — როდესაც საქართველოში ხდება ის პროცესი, რომელიც რეაქციას მოითხოვს, მაგრამ ეს არ ხდება, ამ დროს ხალხში ნიჰილიზმის სინდრომი ღვივდება — მაინც არავინ არ გვაქცევს ყურადღებას და ჩვენ რა შეგვიძლია, უნდა შევეგუოთ არსებულ ვითარებასო. არ არის ასე. დაგვიანებულია, მაგრამ რეაქცია მაინც შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს, თუ აქედან წავიდა სიგნალი. ჯერ კიდევ ისეთი რამეები მოხდება, რაც წარმოდგენილიც არ გვაქვს. იმიტომ, რომ ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ დაიბლოკოს ივანიშვილის პოლიტიკური ძალა, რათა მმართველმა ძალამ ისევ აიღოს კონსტიტუციური უმრავლესობა. ერთ დღეში ღებულობენ კანონებს, რაც სხვა პარლამენტის პირობებში ვერ მოხდებოდა. ჩვენი პარლამენტი ანომალიაა და ჩვენ კიდევ ამას ვეგუებით.

**— საუბარი მიდის იმაზეც, რომ ხელისუფლებამ არჩევნები შეიძლება გაზაფხულზე გადმოსწიოს.**

— კი, ამაზე არის საუბარი, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ არსებობს ერთი არგუმენტი, ის, რომ ხელისუფლებას არ უნდა იმის დამადასტურებელი ნაბიჯი გადადგას, რომ ივანიშვილი მისთვის საფრთხეს წარმოადგენს. სურათი, რომელსაც ისინი მსოფლიოს აჩვენებენ, შემდეგია — ჩვენ არ გვეშინია არაფრის, იმიტომ, რომ უმრავლესობა ჩვენს მხარეზეაო. როგორც კი ამ სურათში ბზარი გაჩნდება, მაშინვე ამ ყველაფერზე გარედან რეაქცია მოხდება. თუ გაზაფხულზე გადმოსწიეს მართლაც არჩევნები, ეს უკვე მათი შიშის დადასტურება იქნება.

**— მაგრამ თუ ეს მართლაც ასე მოხდა, რა შანსები ექნება ბიძინა ივანიშვილის გუნდს გამარჯვების?**

— თუ საარჩევნო კოდექსში ანტიდემოკრატიული ცვლილებების გატარება მოხდა, პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში და ა.შ. თუ ეს ასე გაგრძელდა და ამაზე ხალხის რეაგირება არ მოხდა და შესაბამისად, თუ არც საერთაშორისო თანამეგობრობა ჩაერია, თუ ფინანსური ბერკეტებიც შეეზღუდა ოპოზიციის, რა თქმა უნდა მმართველ ძალას განაღდებული ექნება ახალი ვადით არჩევა პარლამენტში. ასეთი რამ არ უნდა მოხდეს. ხალხი განწყობილია საქართველოში პოლიტიკური ცვლილებების მოსახდენად. ეს შანსი ხალხმა უნდა გამოიყენოს.

**— თუ ხელისუფლებამ არჩევნებით ლეგიტიმურობა გაიმყარა, მერე რა აზრი ექნება ბრძოლას?**

— აზრი ყოველთვის ექნება. ხალხმა უნდა ისწავლოს ორგანიზებულად თავისი პოზიციით დააფიქსიროს პროტესტის გამოხატვა. ჩვენ ეს ჯერჯერობით არ გვისწავლია. მსოფლიოში აპრობირებული მეთოდებია, როგორ უნდა გაკეთდეს კონსტიტუციურ ფარგლებში ეს ყველაფერი მასობრივად და ძალიან მძლავრად. ჩვენ ეს ასათვისებელი გვაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხი გამოღვიძებულია.

ხელისუფლებას პიარ-კამპანია დაწყებული აქვს. ადრე, როცა ბიძინა ივანიშვილი მათ აძლევდა მილიარდებს, მაშინ ქველმოქმედების საშუალებას აძლევდნენ. ახლა ქველმოქმედების საშუალება შეზღუდული აქვს.

**— რამდენად მნიშვნელოვანია, ვინ დაიყენა გვერდში ივანიშვილმა ბრძოლის მოსაგებად?**

— ალასანიას პარტნიორად ამორჩევა, ძალიან წინდახედული ნაბიჯია. ეს არის პარტია, რომელსაც აქვს ძალიან დადებითი იმიჯი და რეიტინგი. ეს იყო გათვლილი არჩევანი, მაგრამ ის ხალხი, ვინც მრჩევლების სახით პროცესებს აკვირდება, მათ შორის გარკვეული კონკურენცია მიდის. მგონი, ბევრი რამ კიდევ შეიცვლება ამ კუთხით. ვფიქრობ, გუნდი ჩამოყალიბების პროცესშია.

ნიჰილიზმის შედეგად და რეპრესიული ქმედების შედეგად უნდა მოხდეს მოსახლეობის ნაკლები მისვლა, ან ბოიკოტირება, ან უნდობლობა არჩევნების მიმართ და არა ის, რომ ძალა, რომელიც გინდა შეიცვალოს, ხმა მაინცდამაინც მას მისცე. ჩვენ საინტერესო საზოგადოება ვართ — შეიძლება ასეთი რაღაცაც მოხდეს. როდესაც ხალხი ხედავს, რომ ალტერნატივა არ არის, მაშინ იმ არსებულ ძალას შეიძლება უფრო მეტი ხმა მისცეს. ეს ულოგიკოა, მაგრამ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს. თუ ეს კანონი ამოქმედდა დაფინანსებასთან დაკავშირებით, შედეგად ქვეყანაში შეიქმნება აუტანელი ვითარება, რომელიც აუცილებლად აფეთქდება. ვგულისხმობ, სიტუაციის აფეთქებას, რაც აღარ დაიმალება გარე სამყაროსთვისაც. ამის ალბათობა, თუ ასე გაგრძელდა, ძალიან დიდია.

**თამარ შველიძე**

***მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე ვესაუბრებით ცნობილ პოლიტიკოსს, პროფესორ ვაჟა ლორთქიფანიძეს.***

**— ბატონო ვაჟა, როგორ შეაფასებდით საქართველოს პატრიარქის ბოლო ვიზიტს რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში, სახელისუფლებო მედიამ ამ ფაქტს თითქოს შეგნებულად წაუყრუა, უმნიშვნელოდ ჩათვალეს ისე, რომ მისი შეფასება არ მომხდარა...**

— პატრიარქის პირველი მცდელობა არ გახლავთ ის, რომ ერებს შორის მშვიდობამ და თანხმობამ დაისადგუროს. ილია II იმდენად დიდი პიროვნებაა თავისი „წონით", რომ ეს კარგად იციან როგორც რუსეთის სახელისუფლებო წრეებმა, ისე ინტელიგენციამ. იციან მისი შეუვალი ავტორიტეტის შესახებ ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ მის ჩასვლას იქ და შეხვედრებს სერიოზულ წრეებთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ილია მეორის ეს ვიზიტი, ისე როგორც მისი მოღვაწეობა, არის ფაქტი და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს გააშუქებს თუ არა მას სახელისუფლებო მედია. საზოგადოებამ ეს დაინახა და შეაფასა. მე არ გამოვრიცხავ, რომ ორივე ქვეყნის ხელისუფალთ ერთმანეთში ურთიერთობის გასარკვევი რესურსი ამოეწურათ.

**— დღეს ახალი პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა საქართველოში, ოპოზიციის მხარეს გაჩნდა ახალი ფიგურა ბიძინა ივანიშვილის სახით, თუმცა, მის მიმართ გაჩნდა არაერთგვაროვანი აზრი, შეიძლება ის დღემდე პოლიტიკური ფიგურა არ ყოფილა, მაგრამ იქნებ შეაფასოთ ის, როგორც მოღვაწე და პიროვნება, მისი გაკეთებული საქმეებიდან გამომდინარე...**

— მოძრაობა „ქართული ოცნების" დაფუძნებასთან დაკავშირებული შეკრების შემდეგ სახელისუფლებო წრეებიდან დიდი აგრესია წამოვიდა ამ ფაქტისა და იქ დამსწრე საზოგადოების მიმართ. ეს არ იყო მათი მხრიდან მხოლოდ ძლიერი ოპოზიციის მიმართ შიში, ეს იყო ფართო საზოგადოების გაერთიანების შიში. „ქართული ოცნების" დაფუძნების შეკრება არ იყო ერთი პარტიისა თუ საზოგადოებრივი მოძრაობის შეკრება, ეს იყო წარდგენა იმ პრინციპებისა, რაზედაც უნდა დაფუძნდეს —„ქართული ოცნება", ეს ყველაფერი კი ბიძინა ივანიშვილმა და შეკრების ორგანიზატორებმა მოახსენეს საზოგადოებას. მე ვფიქრობ, რომ ეს წარდგენა უფრო ფართო საზოგადოების წინაშეც კი უნდა მომხდარიყო, სპექტრი შეიძლებოდა უფრო გაზრდილიყო კიდეც.

ამ შეკრების დამსახურება გახლავთ ის, რომ თავად ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ სურს თავისი გულისტკივილი გაუზიაროს არა მხოლოდ მის მომხრეებსა თუ თანამოაზრეებს, არამედ იმათაც, ვინც ისე არ ფიქრობს, როგორც ის თავად. მე არ ვფიქრობ იმას, რომ ვინც ამ შეკრებას ესწრებოდა, ყველა ივანიშვილის თანამებრძოლი იყო, შეიძლება ბევრი მისი თანამოაზრე იქ ვერც მივიდა, ამისი პრეტენზია ამ შეკრებას არც ჰქონდა. ეს იყო ხალხის შეკრება, რომელთაც უნდა მოესმინათ ახალი მოძრაობის დაფუძნების თაობაზე. ისიც მინდა დავამატო, რომ კარგა ხანია ასეთი წარმომადგენლობითი შეკრება არც მინახავს.

როგორ ამახინჯებს ამ ფაქტს ოფიციალური მედია ეს გასაგებია, მაგრამ მე ვესწრებოდი და ვნახე იქ ყველა თაობის წარმომადგენელი. როცა ამბობენ, რომ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენო, ვფიქრობ, ყველაზე ძველი წარმომადგენლები სწორედაც დღევანდელ წრეებში არიან, ოცი წელია მათ ვხედავთ.

„ქართული ოცნების" წარდგინებისას კი დარბაზში იყო ყველა — „ნაციონალური მოძრაობის" წევრებს გარდა, ამიტომაც გაღიზიანდნენ, რომ მათ გარეშე რაღაც ჩატარდა. მათ ეშინიათ, რომ არ მოხდეს ამ ფართო საზოგადოების კონსოლიდაცია მათი ოპონენტების გარშემო! ამ შეკრებაზე ძალიან საფუძვლიანი მოსაზრებები და პრინციპები იყო ჩამოყალიბებული — ამაზე რატომ არაფერი თქვეს? ვფიქრობ, მათი „პიარ ნიჭიერება" ძალიან მოძველდა და მათ ქცევას მოაქვს უკვე ძალიან საპირისპირო შედეგი, ხალხის ლანძღვით „ნაციონალები" უკვე მთელ ქართულ საზოგადოებას დაუპირისპირდნენ. თავად ტერმინი „ძველ პოლიტიკოსები" სრულიად გაუგებარი ტერმინია, ეს მათ მიგნებაა — თავად არიან ცინცხალი ახალი სახეები?



# biZina ivaniSvili ar aris is pirovneba, vinc `nacionalebis~ zewolis gamo SekrTeba

ფილარმონიაში შეკრებილ ადამიანთა შორის იყვნენ მოღვაწენი, რომელთა შემოქმედებამ ეპოქებს გაუძლო და სივრცესაც, მათი პატივისცემა და აღიარება მსოფლიოში ცნობილია, სწორედ მათ უნდა ვკითხოთ აზრი. ნუთუ შეიძლება, რომ ყოველ არჩევნებთან დაკავშირებით იცვლებოდნენ მწერლები და შემოქმედები? ეს ხომ სასაცილოა! ვითომ შემოქმედები რომ არიან და სახელისუფლებო არხებით გამოდიან, ვინ არიან? რას წარმოადგენენ, საზოგადოება მათ იცნობს? შოუ რომ მიჰყავს ვინმეს კვირაში შვიდჯერ და ცნობადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კულტურული ღირებულების შემქმნელი სახეა? ასეთი ქცევა მათთვისვე არის საზიანო. ის თუ როგორ მოხდება შემდგომში ჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია — ამას დრო გვიჩვენებს, ეს ამ ორგანიზაციაზე, ვგულისხმობ, „ქართულ ოცნებას", იქნება დამოკიდებული და ხალხის აქტიურობაზე.

**— პოლიტიკაში ხედავთ მომავალში ბიძინა ივანიშვილს როგორც ლიდერს?**

— მას როგორ პიროვნებას, ჩვენი ერისათვის ბევრი სიკეთე გაუკეთებია, უფრო მეტის გაკეთება კი მომავალში შეუძლია, რადგანაც ამისი პოტენციალი აქვს. გააჩნია, მოცემულ პოლიტიკურ გარემოში როგორ წარმართავს პროცესებს — როგორც პოლიტიკოსი. მას ამისი რეალური შესაძლებლობა აქვს.

**— „ნაციონალები" ხომ ყველანაირ რესურსს გამოიყენებენ მის წინააღმდეგ, შესძლებს კი ასეთი მძიმე ზეწოლების გაძლებას, ყველამ ნათლად დავინახეთ, რომ ბანკ „ქართუს" უკვე შეუქმნეს პრობლემები, ასეთი საქციელი კი ცხადია მის მიმართ კვლავ გაგრძელდება...**

— არა მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი იყოს ის ადამიანი, ვინც მის მიმართ ასეთი ულირსი საქციელის გამო შეკრთება! ის ძლიერი და პრინციპული პიროვნებაა და ეს მე არ მაღელვებს. სხვა საკითხია ის, თუ როგორ წარმართავს პოლიტიკურ პროცესებს, ვფიქრობ, რთული პერიოდი გველის.

**— რა უნდა მოხდეს ქვეყანაში ისეთი, რომ ძლიერმა და მართალმა გაიმარჯვოს?**

— თუ არ მოხდა ერის კონსოლიდაცია და გაერთიანება, ჩათვალეთ, რომ საწადელისთვის მიუღწევია ხელისუფლებას. მათი დღევანდელი მუშაობაც ხომ აქეთკენ არის მიმართული რომ მოხდეს ხალხის დაპირისპირება და გათიშულობა. უნდა მოხდეს სოციალური თანხმობა საზოგადოებაში, სხვანაირად პრობლემები არ გადაიჭრება. ამის შემდეგ კი პოლიტიკური თანხმობა მიიღწევა. ჩემი სურვილია, რომ ივანიშვილის მოძრაობამ ეს შეძლოს, თუმცა, უნდა მოხდეს თანამშრომლობა არა ორ და სამ პარტიასთან, არამედ პარტიათა უმეტესობასთან — რომელთაც სურთ შეცვალონ ქვეყანაში ვითარება. თუ ის დარჩება, ორი სამი პარტიის ლიდერად მიზანი მიუღწეველი იქნება.

**— პოლიტიკური პროცესების გარდა მსოფლიოში არის მძიმე ეკონომიკური კრიზისი, ხომ არ არის ივანიშვილის ფიგურა ქვეყნისათვის ამ მხრივაც მომგებანი?**

— ეს კრიზისი მსოფლიოშიც რომ არ იყოს, ჩვენში უკვე მრავალი წელია არსებობს. თუმცა დღევანდელი ხელისუფლება ხშირად აცხადებს, რომ მსოფლიოში მართალია კრიზისია, მაგრამ აქ ყველაფერი კეთდება და ყველაფერი ყვავის. მე კი პირიქით მგონია.

ივანიშვილის გამოცდილება როგორც ფინანსისტისა და ეკონომისტის, როგორც წარმატებული მენეჯერის, ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი იქნება. ასევე, ის, რომ მან როგორც ლიდერმა, უნდა გამოიყენოს დიდი პოტენციალის მქონე გამოცდილი ადამიანები, აქ მე მხოლოდ პოლიტიკოსებს არ ვგულისხმობ, ყველა ისინი უნდა ჩადგნენ ქვეყნის სამსახურში.

**— როგორ უყურებთ საქართველოში ახალი ქალაქის — „ლაზიკას" მშენებლობის პროექტს, ეს რეალურია?**

— ეს არის მორიგი „სატყუარა", უგუნურება, რომელიც ყურადღების გადასატანად არის მოგონილი. ტრადიციული და უძველესი კულტურის მქონე ქალაქები ინგრევა და მძიმე მდგომარეობაშია. ამის მიხედვა არ სჯობს? რა დროს ახალი ქალაქია, ნახეთ, რა მდგომარეობაშია ფოთი, სენაკი. ისე რომ იცოდნენ, ლაზიკის დედაქალაქი იყო — სენაკში, ნოქალაქევში! ისინი ნახეთ, რა დღეშია. ნახეთ, ზუგდიდი და ხობი რა დღეშია! რა დროს ახალი ქალაქია! აქვს კი დღეს ქვეყანას იმის პოტენციალი, რომ ახალი ქალაქები აშენოს და რისთვის, არავინ იცოდეს?! ეს არის ამ კუთხის ადამიანების მიმართ საარჩევნო სატყუარა!

მითი „ნაციონალების" პიარნიჭიერების შესახებ დღითიდღე იმსხვრევა!

**— ბოლოს მინდა გკითხოთ, დიდი შანსია იმისა, რომ მარტში რუსეთის პრეზიდენტი კვლავ გახდეს პუტინი, ხომ არ შექმნის ჩვენი ქვეყნის მიმართ ეს ახალ პრობლემებს?**

— თუ ჩვენთან არ შეიცვლება ხელისუფლება, ცხადია ეს პრობლემებს შექმნის. მაგრამ ნაადრევია იმათი სიხარული, როცა ამბობენ, რომ პუტინს პარლამენტში ოპოზიცია ეყოლება, ვინ არის მერე მისი ოპოზიცია, ჟირინოვსკი? ის ხომ არ ფარავს ჩვენს მიმართ ცუდ განწყობას და ეს ჩვენთვის მომგებიანი იქნება? ღიად ამბობს, რომ საქართველო რუსეთის გუბერნია უნდა იყოს — ეს არის მოსაწონი?

1995 წლის ბოლოს, როდესაც კომუნისტები მოვიდნენ „დუმის" სათავეში, მე მაშინ საქართველოს ელჩი ვიყავი რუსეთში, ღიად თქვეს, რომ სსრკ უნდა აღდგეს — მათ ეს გადაწყვეტილება მიიღეს ეს იყო მათი აზრი, რომელსაც დღესაც აგრძელებენ და რატომ გვიკვირს მათი საქციელი?



◆ **ეთერ კასრელიშვილი**




# minda Sevaxseno xelisuflebas, biZina ivaniSvili `Tavisufali demokratebis~ dafinansebamde qarTul jars, gorisa da saCxeris batalionebs, patruls da sxva saxelmwifo struqturebs, anu mTlianad qarTul saxelmwifos afinansebda

**ერთი კვირაა, რაც პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემად გადაიქცა.**

**„საერთო გაზეთს“ „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ვიქტორ დოლიძე ესაუბრა.**

– თორთლაძის გამონათქვამების კომენტირებისგან თავს შევიკავებ. ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ ყოველთვის ვიცავდით და დავიცავთ კანომდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს. დასამალი არაფერი გვაქვს და სწორედ კანონმდებლობიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაცია თებერვალში გამოქვეყნდება და ყველაფერი ცნობილი გახდება. ჩვენი პარტიის წევრმა გია ცაგარეიშვილმა უკვე გამოაქვეყნა ინფორმაციის ნაწილი, საიდან იღებდნენ დაფინანსებას „ნაციონალური მოძრაობა“. ამიტომ ხელისუფლებას მოვუწოდებთ განასაჯაროვონ მათი დაფინანსების საკითხი, საიდან იღებდნენ, საიდან იღებენ და რაში ხარჯავენ ფულს.

**– „რესპუბლიკელებმა“ აღიარეს, რომ ბიძინა ივანიშვილისა და კახი კალაძისგან იღებენ დაფინანსებას?**

– ამაში ცუდი, საგანგაშო და დასამალი არაფერია. ხელისუფლებას მინდა შევახსენო, რომ ბიძინა ივანიშვილი „თავისუფალი დემოკრატების დაფინანსებამდე ქართულ ჯარს, გორისა და საჩხერის ბატალიონებს, პატრულს და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს, ანუ მთლიანად ქართულ სახელმწიფოს აფინანსებდა. ამიტომ ესაა უსუსური, ხელისუფლების მიერ შემოგდებული თემა, რომელსაც ჩვენ არასერიოზულად აღვიქვამთ.

**– პარტიის წევრმა გიორგი ცაგარეიშვილმა 20 დეკემბრის სადეპუტატო კითხვასთან დაკავშირებით პროკურატურისგან პასუხი მიიღო. გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ნოემბერ-დეკემბრის თვეში „კალა-კაპიტალისა“ და შ.პ.ს „კოლხეთისგან“ მილიონ ასი ათასი ლარი მიიღეთ?**

– ზუსტად არ ვიცი, რა თანხები მოვიდა, მაგრამ ის, რაც ჩვენი პარტიისთვის კეთდება კანონიერების ფარგლებშია მოქცეული. ასე რომ, ამ კუთხით ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ რჩება ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მთავარ საკითხად რუსული ფულით აპელირება?**

– ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ძირეულად შეცვალა პროცესები, ამიტომ რაღაცა ხომ მაინც უნდა თქვან. სხვა რა შეუძლიათ დაგვიყენონ საპირწონედ. საქართველოში რუსულ კაპიტალს რაც შეეხება, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჯერ საკუთარ გულებში ჩაიხედონ და სხვებზე მერე ილაპარაკონ.

**– „თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლების შეცვლას არჩევნების გზით აპირებებთ. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ, რომელმაც, ფაქტობრივად, აკრძალა ბეჭდური მედიის გავრცელება, შეზღუდა პარტიების დაფინანსება, ამ პირობებში რა გახდება თქვენი წარმატების გარანტორი?**

– პირველ რიგში, მინდა გაგაცნოთ კონცეპტუალური ხედვა თუ რატომ გვინდა არჩევნებით ხელისუფლების შეცვლა. საქართველომ დამოუკიდებლობის მიღების დღიდან ბოლო 20 წლის განმავლობაში ბევრი ჭირ-ვარამი გამოიარა, რაც პროცესების არასწორი მიმართულებით წარმართვაზე მეტყველებს. შედეგად მივედით იმ რელობამდე, რაც დღეს გვაქვს: პოლიტიკური პარტიების მიერ ძალისმიერი მეთოდებით, ხელისუფლების შეცვლა, პარტიების უუნარობა. ისაუბრონ ერთმანეთთან სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრაზე არა ძალისმიერი, არამედ მშვიდობიანი, კონსტრუქციული საშუალებებით.დ ვფიქრობ, გონივრულად რომ გვემოქმედა და გადაგვედგა უფრო პრაგმატული ნაბიჯები,



დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი დღეს პრეზიდენტი არ იქნებოდა.

**– კონკრეტულად რა ნაბიჯების გადადგმა იყო აუცილებელი?**

– აქცენტი უნდა გაგვეკეთებინა მაკრო-ეკონომიკურ განვითარებაზე, დასაქმებაზე, ჯანდაცვაზე. ანუ სისტემა, რომელიც არსებობდა მეტნაკლებად გამართული უნდა გადაგვეყვანა ევროპულ რელსებზე და არა მთლიანად ჩაგვეკლა.

**– ფაქტია, ხელისუფლება არჩევნების დათმობას არ აპირებს და წარმატებისთვის ყველანაირი საშუალებას გამოიყენებს. თქვენ რა რესეურსით აპირებთ გამარჯვებას?**

– არ მაქვს ილუზია, თითქოს 2012 წლის არჩევნები იქნება იდეალური, მითუმეტეს, პოლიციურ სახელმწიფოში, სააკაშვილის მმართველობის პირობებში, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების გახანგრძლივებაზე. თუმცა „თავისუფლი დემოკრატები“ ხშირად დავდივართ რეგიონებში ირაკლი ალასანიამ ბოლო პეროდში 200-ე სოფელი მოინახულა და გაეცნო ადგილობრივების პრობლემებს. ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ვხვდებით საკუთარი პრობლემებისა და შიშის მიუხედავად, უკეთესობის იმედი გაუჩნდათ. ისინი ამბობენ, რომ მათი მთავარი იარაღია საარჩევნო ბიულეტენი და აუცილებლად მივლენ არჩევნებზე.

**– რატომ არ გინდათ რევოლუციური მეთოდებით ხელისუფლების შეცვლა?**

– საქართველოსთვის რევოლუციური მეთოდებით მთავრობის შეცვლას, გნებავთ, ვარდებით, გნებავთ, იარაღით, სასიკეთო არაფერი მოუტანია. გავეყარეთ ვაის, შევეყარეთ – უის. რევოლუციური გზა 2-ჯერ გავიარეთ და არა მგონია, გონიერ ადამიანს ისტორიის უკან დაბრუნება სურდეს. არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის მეთოდით არა მხოლოდ საკუთარ თავებს დავუმტკიცებთ, შეგვიძლია მშვიდობიანად, დემოკრატიული ცვლილებების მოხდენა, არამედ ჩვენი მხრიდან, საერთაშორისო თანამეგობრობისთვისაც იქნება მკვეთრი სიგნალი სამომავლოდ ნატოსა და ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანებისთვის.

**– აღნიშნეთ, ხელისუფლებისგან იდეალისტურ არჩევნებს არ ელით, შესაბამისად, შედეგი ოპოზიციისთვის არაადეკვატური იქნება?**

– არჩევნებზე მაინც წავალთ. თუ ვინმე შემოგვთავაზებს უკეთეს პრაგმატულ გზას, აუცილებლად მივიღებთ. ხალხი თუ გააქტიურდება და არჩევნებზე 30-40% პროცენტიც ნაცვლად 70% მივა სააკაშვილს გაყალბების შანსი, ფაქტობრივად, აღარ ექნება. გამოკითხვებმაც ცხადჰყო, რომ ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი მკვეთრად მაღალია, იმის მიუხედავად, მან მხოლოდ საზოგადოებრივი მოძრაობა ჩამოაყალიბა. მაშინ, როცა კოალიციური რეჟიმის პირობებში დავიწყებთ მუშაობას და ეს არ გასცდება მაქსიმუმ იანვრის თვეს დარწმუნეებული ვარ, შედეგი უფრო ადექვატური იქნება. სააკაშვილმა შეიძლება შეზღუდოს სიტყვის თავისუფლება, პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოიყენოს პოლიცია, ჯარი, მაგრამ ის ქართველ ხალხში თავისუფლების წყურვილს ვერ ჩაკლავს.

**– ბოლო პერიოდში გავრცელების კუთხით ბეჭდურ მედიას პრობლემები შეექმნა. შესაბამისად, საზოგადოება, შესაძლოა, ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდეს, მითუმეტეს, რეგიონებში, სადაც მხოლოდ სახელისუფლებო მედია მაუწყებლობს. აამ პირობებში რა საშუალებებით აპირებთ ამომრჩევლის ინფორმირებას?**

– ყველა ხელმისაწვდომ რესურსს გამოვიყენებთ. მაქსიმუმ იანვრის ბოლოსთვის ყველა რეგიონში გვექნება პარტიული ოფისები. კარდაკარ ვივლით და ხალხს ავუხსნით, თუ რის გაკეთებას ვაპირებთ.

**– ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ ჩამოყალიბდა პოლიტიკური კოალიცია, რომელიც არჩევნებისთვის საარჩევნო ბლოკის ჩამოყალიბებას გეგმავს. „თავისუფალი დემოკრატები“ გაერთიანდებით ბლოკში თუ ინდივიდუალურად მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას?**

– ეს არის კოალიცია, რომელიც საარჩევნო ბლოკად იქცევა და ცხადია, „თავისუფალი დემოკრატები“ კოალიციის ფარგლებში მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას.

**მირანდა ნაბახტეველი**



იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# kidev erTi komunisturi weliwadi _ rac miSasTvis kargia, sazogadoebisaTvis cudi da mavnebelia!

2012 წლის ეკონომიკური წელიწადი დასრულდა და ილია ჭავჭავაძესავით, ტრადიციულად და სამწუხაროდ, ისევ უნდა ვიკითხოთ: რა გითხრათ, რით გაგახაროთ? შეფასებისთვის ექსპერტებს თუ მიმართავთ, გეტყვიან, რომ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში იყო წარმატებული და იყო წარუმატებელი მოვლენები. ბევრით არა, მაგრამ მთლიანი შიდა პროდუქტი მაინც იზრდება. დაძლეულია ინფლაცია, წარმატებით საქმიანობს საბანკო სფერო. ლაპარაკია დამოუკიდებელ ექსპერტებზე, თორემ



სახელისუფლოები, ნაციონალურ არხებთან ერთად, ყოველდღე აღმშენებლობის ისეთ სურათებს გვიჩვენებენ, რომ ბედნიერებისაგან აგეტირება.

თუ ასეთი ჩვილი გული არა გაქვს, მაშინ დაფიქრდები და იმას მაინც იკითხავ, ამოდენა წარმატებების შემდეგ, რატომ იზრდება ასე სწრაფად სოციალურად დაუცველთა ბაზა, რატომ მატულობს უმუშევართა რაოდენობა. პასუხად სახელისუფლებო ექსპერტები, რომლებსაც ძალიან ცოტა რამის რცხვენიათ, გიპასუხებენ, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორიები, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის განვითარებას და ეკონომიკის ზრდის ტემპებს. ამგვარ აბდაუბდას ნუ დაიჯერებთ, რადგან ყველა მთავრობის საქმიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი ყველა ქვეყანაში დასაქმების დონეა და ისიც, თუ როგორ ცხოვრობს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა.

თუ ამ კრიტერიუმებით შევაფასებთ განვლილ წელიწადს, ვნახავთ, რომ რეალობა ძალიან შორს დგას იმ სინამდვილისგან, რასაც ხელისუფლება ხატავს და შემდეგ ე.წ. ექსპერტები ახმოვანებენ. თვითონ საქართველოს პრეზიდენტიც აღიარებს, რომ საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 50 პროცენტს აჭარბებს. ისე, უცხოეთში ყოფნისას, სააკაშვილი თავმოსაწონებლად სრულიად სხვას ლაპარაკობს და უტიფრად ცრუობს, როცა ირწმუნება, ქვეყანამ სიღარიბესა და უმუშევრობას სძლია და ეს მაჩვენებელი ევროპულთან ძალიან ახლოს დგასო. მაგრამ რას ვიზამთ, ეხერხება ეგეთები ჩვენს პრეზიდენტს და ახლოსაც ისეთი არავინ ჰყავს, რომ მცირედეით მაინც შემოულაწუნოს, რეებსა როშამო. თუმცა ეს სხვა პრობლემაა და ამჯერად ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

## დაუსაქმებელთა ქვეყანა

ერთი სიტყვით და ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ჯანმრთელი, შრომისუნარიანი ორ მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციითვე, დასაქმებულია მილიონ 628 ათასი. ნახევარი მილიონი უმუშევარია. დასაქმებულთაგან მილიონზე მეტს თვითდასაქმებული ჰქვია. ამ ჯგუფში შედის ყველა, ვინც სოფლად ცხოვრობს და მიწის პატარა ნაკვეთი მაინც გააჩნია. როგორ ამუსავებს ამ მიწას, რა მოჰყავს და რამდენად ჰყოფნის ოჯახის შესანახად, ეს სტატისტიკიას არ აინტერესებს. სოფელს რომ პრობლემები აქვს და თანაც ძალიან დიდი, ყველასათვის ცნობილია. ამ პრობლემაზე არაერთი წერილი გამოგვიქვეყნებია და არც ამჯერად გავაგრძელებთ სიტყვას. უბრალოდ, იმის თქმა გვინდა, რომ ის მილიონი მოქალაქე, ვისაც სტატისტიკა დასაქმებულად მიიჩნევს, ფაქტობრივად უმუშევარია. ამ ეტაპზე სამსახური აქვს 700 ათასამდე ადამიანს და ღებულობს გარანტირებულ შემოსავალს. დანარჩენი მილიონ ორას ათასი მაინც უმუშევარია. ეს კი შრომისუნარიანთა 60 პროცენტს შეადგენს, რაც მთელი მოსახლეობის 30 პროცენტია. როგორ დაითვლიან ამ მონაცემებს მიშას ექსპერტები, მათი საქმეა. რეალობა კი ის არის, რომ ქვეყანაში ტოტალური უმუშევრობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სიღარიბის დონის დასაძლევად ხელისუფლებამ ერთი ნაბიჯიც ვერ გადადგა წინ. პირიქით, წელს დამტკიცებულ 2012 წლის ბიუჯეტში დაგეგმილია დასაქმებულთა შემცირება დაახლოებით, 50 ათასი ადამიანით მაინც. სამაგიეროდ, იზრდება სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა ხელფასები. ესეც მოჩვენებითობისთვის საჭირო არგუმენტია იმის დასამტკიცებლად და გასაპიარებლად, რომ იზრდება საშუალო ხელფასი და ხალხი დღითიდღე უკეთესად ცხოვრობს.



კიდევ ერთი დეტალი, თუ ამას დეტალი ჰქვია: საარსებო შემწეობას შარშან იღებდა 145 ათასამდე ოჯახი. მართალია, ეს შემწეობა 30 ლარია სულზე და ნამდვილად ვერ არის საარსებოდ საკმარისი, მაგრამ რას იზამ, ყვავს კაკალი გააგდებინე, ესეც საქმეა. წელს უპოვართა რაოდენობა კიდევ გაიზარდა და სულადობის მიხედვით, თითქმის მილიონი ადამიანი შეადგინა, რომელიც მთლიანად სახელმწიფზე დამოკიდებული და შემოსავლის სხავ წყარო არ გააჩნია.

## ინფლაცია — წლის მთავარი პრობლემა

სილატაკის თემაში ჯდება ინფლაციის პრობლემაც, რადგან ეს არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ანუ იმის მაჩვენებელი, თუ როგორია არსებობისათვის აუცილებელი პროდუქტების და მომსახურების ფასების ცვლილება. „საერთო გაზეთმა" გამოკითხა ეკონომიკის ექსპერტების დიდი ჯგუფი. მათ ერთი კითხვით მივმართეთ: რა იყო წლევანდელი ეკონომიკური წლის ყველაზე დიდი პრობლემა? აბსოლუტურმა უმრავლესობამ ინფლაცია დაასახელა.

**— წლის პირველი ნახევარი ამ მხრივ ძალიან პრობლემატური იყო. მაისში ინფლაციამ თითქმის 15%-ს მიაღწია.ამ პროცესის შესაჩერებლად, ეროვნულმა ბანკმა მონეტარული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გაამყარა და ლარის კურსი გაამყარა. ამას დაემატა ზაფხულში, სეზონურობის ფაქტორი, ანუ იაფი სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რამაც ინფლაცია გარკვეულად დათრგუნა, —** განმარტავენ ექსპერტები. ჩვენს კითხვაზე, რატომ ვერ გრძნობს მოსახლეობა ინფლაციის შემცირებას? მათი პასუხი ასეთია: — **სურსათის ფასები ბოლო ორი წლის განმავლობაში 25-30%-ითაა გაზრდილი. მოსახლეობა თავის ძირითად დანახარჯებს კი, სწორედ სურსათზე აკეთებს. გაზრდილია საწვავის ფასები, გარკვეული საკომისიო მოსაკრებლები. არ შემცირებულა მომსახურების ფასები. ერთის მხრივ, სასიკეთოდ წაადგა ფასებს ლარის კურსის გამყარება, მაგრამ ამან ნეგატიური შედეგი მოახდინა იმ ადამიანებზე, ვინც დახმარებას იღებს საზღვარგარეთიდან. დიდი გადმორიცხვებია რუსეთიდან, საბერძნეთიდან და ამერიკიდან. ეს რაოდენობა მილიარდ დოლარს აღწევს.**

მკითხველიც დაგვეთანხმება, ეს არ არის პასუხი კითხვაზე, თუ ინფლაცია შემცირდა, რატომ ვერ გრძნობს ამას მოსახლეობა. ამის თაობაზე, ძალიან საინტერესო განმარტებას იძლევა სტატისტიკის სამსახური. უფრო სწორად, აბსურდულს და პარადოქსულს: წელს ნოემბერში ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფისქირდა შემდეგ ქვეჯგუფებზე — ბოსტნეული, ბაღჩეული, რძე, რძის პროდუქტები, კვერცხი, კარტოფილი, თევზეული. ასევე, მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ფარმაცევტულ ნაწარმზე, ტრანსპორტის ჯგუფებზე, საწვავ-საპოხ მასალებზე, სამოქალაქო საჰაერო ტარანსპორტზე. ფასები შემცირდა მხოლოდ ხილზე, ყურძენზე, პურსა და პურპროდუქტებზე. სამაგიეროდ, ინფლაციამ დაიკლო 15-დან 6 პროცენტამდე. როგორ და რა ლოგიკით? ამ კითხვის პასუხი მხოლოდ სტატისტიკის სამსახურს გააჩნია და ისე საგულდაგულოდ მალავს, რომ ეშმაკიც ვერ მიხვდება, რას ჯამბაზობენ და როგორ გამოჰყავთ საჭირო ციფრები. სამაგიეროდ, კარგა ხანია, ეს სამსახური გასცდა დამოუკიდებელი უწყების ჩარჩოებს და ნაცმოძრაობის ხელში პროპაგანდის სუკეთესო იარაღად იქცა.

ასე რომ, რას ფიქრობენ მიშას ექსპერტები და ეკონომიკური სამსახურები, ჩვენთვის ვერაფერი შეღავათია. ჩვენ ისევ საკუთარ ჯიბეებს ჩავხედოთ და იმის მიხედვით შევაფასოთ, როგორ შეიცვალა მიმდინარე წელს ეკონომიკური სიტუაცია. ჩვენი ჯიბეები კი უძირო ორმოებსა ჰგავს, ყრი, ყრი და გავსებას პირი არ უჩანს. რაც უნდა იძახოს სტატისტიკის სამსაურმა, ინფლაცია შემცირდაო, მოსახლეობამ ზუსტად იცის, რომ პროდუქტის, მომსახურების უმეტესი სახეობების ფასები მკვეთრად იზრდება და ეს ტენდენცია შემცირებას არ ექვემდებარება.

## დიდი ლენტის გამჭრელი

ის რაც მიშასთვის კარგია, საზოგადოებისათვის ცუდი და მავნებელია — ეს აქსიომაც კარგა ხანია, აღარ ექვემდებარება ცვლილებას. პრეზიდენტმა რომ ლენტის გამჭრელის ფუნქცია შეითავსა, ყველა ხედავს. სააკაშვილი აღმშენებლობის იმიტაციას ეწევა და ვის სჯერა ამისი, ეს უკვე გულუბრყვილო მოქალაქეების და ჩვენი პრობლემაა. იმათი რატომ, ადვილი მისახვედრია, ჩვენ რა დავაშავეთ, ამას ახლავე მოგახსენებთ. პრეზიდენტი ძირითადად, საავადმყოფოების გახსნით არის დაკავებული. გონიერ კაცს ერთი ლოგიკური კითხვა გაუჩნდება: თუ ამდენი შეუძლიათ, უკვე აშენებული და დანგრევის პირას მყოფი საავადმყოფოები გაარემონ-



ტონ, ამ დალოცვილებმა, რაღა ახალს აშენებენო? ძველების რეაბილიტაცია რთულია, რადგან ეს დაწესებულებები სახელმწიფო საკუთრებაა და ბევრი მათგანი ჯერ არ გაყიდულა. გაყიდვას, გადაფორმებას და ახალი პატრონისთვის გადაცემას, მიშამ მარტივი გზა არჩია. ახალი, ორიგინალური შენობების აგება სადაზღვევოებს „შეაწერა". მათ რამდენად სჭირდებათ ეს კლინიკები, სადავო საკითხია. მაგრამ ფაქტია, რომ ყველა მათგანმა უპროტესტოდ მიიღო წინადადება. არ მიიღებდნენ და ერთ პანღურსაც გამორჩებოდნენ.

ბუნებრივია, ახალი და დამატებითი ხარჯები კომპანიებმა ისევ ჩვენი ჯიბიდან უნდა ამოიღონ. პრეზიდენტის მიერ გახსნილი საავადმყოფოები, ძირითადად, ეკუთვნის სადაზღვევო და ფარმაცევტულ კომპანიებს. ამიტომ სრულიად ლოგიკური მოსჩანს, ექსპერტების ვარაუდები, რომ მომსახურება მკვეთრად გაძვირდება. წამლების ფასებმა რომ უკვე მოიმატა, ეს სტატისტიკის სამსახურმაც დააფიქსირა. რაც შეეხება სადაზღვევო მომსახურებას, სადაზღვევო ასოციაციის პრეზიდენტი 2012 წელს პროდუქტების გაძვირებას პროგნოზირებს. დევი ხეჩინაშვილი აცხადებს, რომ 2011 წელს სადაზღვევო ინდუსტრიის ძირითადი საქმიანობა ჰოსპიტალური სექტორის განვითარებაში მონაწილეობა იყო. მათ ამ საქმეში დიდი ინვესტიციები ჩადეს, ამიტომ სადაზღვევო პროდუქტების ფასის მატებას უნდა ველოდეთ როგორც კორპორატიული, ისე, სახელმწიფო პროგრამების კუთხით. შესაბამისად, 2012 წელი სადაზღვევო სფეროსთვის რთული იქნება.

ზოგიერთი ექსპერტი წლის უარყოფით მოვლენად მიიჩნევს გადასახადის მიბმას ელექტროენერგიაზე, რადგან ამან, გაზარდა ბიზნესხარჯები და ბიზნესს დიდი დარტყმა მიაყენა. როგორც ისინი აცხადებენ, საბანკო რესურსი არ გაიაფდა, პირიქით, გაძვირდა. მიუხედავად, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებისა, როდესაც ფული იაფდება, ჩვენთან, პირიქით, ძვირდება. ბანკებმა 2011 წელს ახალი ვერაფერი შესთავაზეს ბიზნესს და საერთოდ გვერდზე გადგნენ. გაამკაცრეს ბიზნესთან ურთიერთობის წესები. პირდაპირი ინვესტიციები შემცირდა და რეალურად ვერ მივიღეთ ინვესტიციების ის რაოდენობა, რასაც ველოდით. ამ ყველაფერმა ბიზნესის მოცულობა შეამცირა. შესაბამისად, შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა და კონკრეტული ადამიანებისათვის შემოსავლები.

დასკვნის სახით ვიტყვით, მიმდინარე წელი ვაუჩერებით დაიწყო და ვაუჩერებით მთავრდება.

**მანანა გეგიძე**

**საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 23 დეკემბერს პარლამენტში გაგზავნილი წერილით დაადასტურა, რომ ბიძინა ივანიშვილმა ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში 4 400 000 ლარით ოთხი პოლიტიკური პარტია: რესპუბლიკური პარტია, თავისუფალიდ ემოკრატები, ხალხის პარტია და კონსერვატიული პარტია დააფინანსა. პროკურატურის ადრესატი გიორგი ცაგარეიშვილი გახლდათ. 20 დეკემბერს სწორედ მის მიერ იქნა გაგზავნილი სადეპუტატო თხოვნა მთავრ პროკურორთან და შსს-ს მინისტრთან, გარკვეულიყო, მართლა იღებენ თუ არა პოლიტიკური სუბიექტები ბიძინა ივანიშვილის ფულს.**




**გია ცაგარეიშვილი**: ჩვენც და „თავისუფალმა დემოკრატებმაც" კარგად ვიცით, როგორ მივიღოთ შემოწირულობები, როგორ ავსახოთ იგი პარტიულ ბუღალტერიაში, ვისგან მივიღოთ ეს შემოწირულობები, რა სახით, რა საშუალებებით. ჩემი სადეპუტატო თხოვნა გარკვეული და შეთანხმებული იყო პარტიის თავმჯდომარესთან, შეთანხმებული იყო პარტნიორებთან და ამის შემდეგ გაკეთდა განცხადება საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში. თქვენ როგორ მოიქცეოდით, როცა პოლიტიკური თანამდებობის პირს ეტყვიან რომ ის არის ფსბშნიკი, ჯაშუში და იგი ფინანსდება რუსეთიდან სპეცსამსახურების მიერ. რადგან ამ სისულელეს, რომელსაც ე.წ. ოპოზიციონერი დეპუტატი, თორთლაძეზე ვსაუბრობ, ავრცელებს და ტირაჟირებას უკეთებს საქართველოს პარლამენტში უნდა დასმოდა წერტილი. და მე ვფიქობ, ეს წერტილი დაესვა. მოვიდა ზუსტად ის ინფოემაცია, რასაც ჩვენ ველოდებოდით. თერთმეტი იურიდიული პირის მიერ „თავისუფალი დემოკრატების" პარტიულ ანგარიშზე აბსოლუტურად ლეგალურად, შესაბამისი საბანკო ანგარიშების გავლით, გადმოირიცხა შესაბამისი თანხა. რა გაირკვა ამით: პირველი, რომ ეს თანხა არ აცდენია იმ ზღვრულ ოდენობას, რაც არის კანონით დადგენილი. მეორე, ეს თანხა გადმორიცხეს საქართველოში რეგისტრირებულმა იურიდიულმა პირებმა. მესამე, რომ ეს კომპანიები არ არიან „გაზპრომის", ფსბ-ს, ენკავედეს, გრუ-ს და ნიკოლოზ მეორის ოხრანკის დაფუძნებულები. აქ გულისწვეტა სხვა მიმართულებით უნდა შევამჩნიოთ ჩვენს ე.წ. კოლეგებს, როგორც უმრავლესობიდან, ისე უმცირესობიდან, საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ნაციონალური მოძრაობა თვითონ განკარგავდა ყველა გასაცემ თეთრს. მოვიდოდა ბატონი თორთლაძე, აი, ბატონო თორთლაძე მიიღეთ თქვენ 10 ლარი, მე ვფიქრობ, მის პარტიას მეტი არ ეკუთვნის. თუ თორთლაძის ენას ძვალი არა აქვს და იძახის, რომ მე ფსბ-შნიკი ვარ, მეც ვამცნობ თქვენი საშულებით საქართველოს, რომ ნაციონალური მოძრაობის რიგში დგანან სხვადასხვა დამოუკიდებელი პარტიების ლიდერები, დამფუძნებლები, ხელი აქვთ გაწვდენილი და ითხოვენ თანხებს ხელისუფლებისგან. ზოგს უხვად აპურებენ, ზოგს ნაკლებად, ზოგს ადგილებს მისცემენ ცესკოში, ზოგს დაფინანსებას გაუზრდიან, ზოგს მთელ რიგ შეღავათებს დაუწესებენ, ოფისსებს მისცემენ რეგიონებში და ა.შ... მიხეილ სააკაშვილს მთელი პროცესი ჰქონდა პრივატიზირებული; იქნებ გაიხსენოთ, ბოლოს როდის გამოჩნდა რომელიმე ბიზნესმენი და თქვა, რომ მე თავისუფალ დემოკრატებს, ან კონსერვატორებს, ან რესპუბლიკელებს ან ნებისმიერ რეალურ ოპოზიციურ ძალას დავაფინანსებ გარკვეული თანხითო. თავს მოაჭრიდნენ მაშინვე ძირში, გაანადგურებდნენ, მოსპობდნენ, რამდენი ერთი მაგალითი დაგისახელოთ ამისი. გახსოვთ ხომ, საკნების ქალაქის დროს როგორ არბევდნენ, ცემდნენ, აწიოკებდნენ ბიზნესმენებს. უბრალოდ, არ მინდა მათი გვარების თქმა. მაშინ არც თორთლაძე მინახავს გამოსული და არც ვეფხვაძე... რატომ არ დარდობდნენ ამ ბიზნესმენებზე?! ან ამ ადამიანებს რატომ არასოდეს გახსენებით, ნაციონალური მოძრაობა საიდან ფინანსდებოდა?!... ბატონი ვეფხვაძე იმასაც ამბობს, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა ივანიშვილის სახელზეო. მე ვიცი, რომ ბ-ნი ვეფხვაძე პარლამენტის წევრია და თუ ის გამომძიებელი იყო და ზოდელავას თანაშემწე , არ ვიცოდი. რა არის ამაში სისხლის სამართლის დანაშაული?! საიდან იცოდა ბატონმა ვეფხვაძემ, ვიდრე ამ დოკუმენტებს გამოაგზავნიდა პროკურატურა, რომ თურმე ჩვენ ბატონ ივანიშვილს, ბატონ ირაკლის, მე და ა.შ. სისხლის სამართლის დანაშაული გვაქვს ჩადენილი?! საიდან ეს ინფორმაცია, რომელ სისხლის სამაქრთლის საქმეზეა საუბარი, ერთი თეთრი მაინც თუ გადაერიცხა ვინმეს ზედმეტად, კანონმდებლობის გვერდის ავლით?! ეს ინფორმაცია, რომელიც მე მომივიდა, უკვე ორი თვეა მაგიდაზე უდევს ეროვნულ ბანკს, ეროვნულ ბანკთან არსებულ ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, პროკურატურას და შსს-ს, ეს არის მათი კანონისმიერი ვალდებულება, რომ აკონტროლონ მსგავსი გადარიცხვები. ყოველი გადარიცხვა გინდა ნოტარუსთან დადებული, გინდა საბანკო გზით გავლილი 5000 ლარზე მეტი, მყისიერად უნდა მოხსენდეს შესაბამის სტრუქტურებს. აქ 100000 ლარზეა ხშირად საუბარი და ჩვენ ეს არ ვიცოდით, როგორ რა უნდა გაკეთებულიყო?! თურმე მე მივბრძანდი მიკროფონთან და ქარიშხალი დავიტეხე საკუთარ თავზე ისე რომ არ ვიცოდი, რა მოვიდოდა პასუხად! მე ძალიან კარგად ვიცოდი, რა უნდა მოსულიყო.

ახლა როგორ უნდა გამოიყენენო ეს ჩვენს წინააღმდეგ?! ვერანაირად ვერ გამოიყენებენ, რადგან ვიცი, რომ არათუ დარღვევას, გადაცდომასაც კი არ აქვს ადგილი და ეს ძალიან კარგად იციან თვითონაც. ხომ უსმინეთ კომენტარებს, კუბლაშვილის, ცისკარიშვილის, მელიქიშვილის კომენტარებს, ისინი ამბობდნენ, რომ მათ არც კი უთქვამთ, რომ ეს კრიმინალია და ივანიშვილს ამის გულისთვის არავინ პასუხს არ მოსთხოვს. მაგრამ ახლა თურმე დადასტურდა რომ აი, „რუსი ოლიგარქი" ივანიშვილი აძლევს ქართულ ოპოზიციურად განწყობისლ პარტიებს თუ ლიდერებს შესაბამის თანხებს. ამის დადასტურება თუ უნდოდათ, აგერ არის ამის დამადასტურებელი დოკუმენტები. და ეს ადრე თუ გვიან მაინც გახდებოდა ცნობილი, რადგან ყოველი წლის 1 თებერვლამდე ჩვენ გვაქვს ვალდებულება კანონიდან გამომდინარე გამოვამზეუროთ ჩვენი ანგარიშგება და წარვუდგინოთ ცესკოს. ახლა ამ ვალდებულებამ გადაინაცვლა კონტროლის პალატის მიმართულებით, ახლა მას უნდა წარვუდგინოთ, როცა ძალაში შევა პოლიტიკური პარტიების შესახებ ორგანული კანონი. ანუ ახლა ეს ყველაფერი გამჟღავნდა ერთი თვით ადრე და ამაში არაფერი საიდუმლო არ იყო.

რაც შეეხება თორთლაძის განცხადებას, თითქოს ამ ფულით ჩვენ შევძლებთ არეულობის გამოწვევას, თუ ვინმემ ბოლო პერიოდში არეულობა გამოიწვია ეს იყო კაცი, რომელიც ბუბკასავით გადაევლო ღობეს ჭოკით. მან მართლა გამოიწვია არეულობა. რა არეულობა გამოვიწვიეთ ჩვენ?! თუ ბატონ სააკაშვილს გულაღმა აღარ ძინავს და ციბრუტივით ტრიალებს თავის ქვეშაგებზე, იმიტომ რომ მას ელანდება ცელმომარჯვებული ივანიშვილი, ეს ჩემი პრობლემა არ არის. უნდა ეშინოდეს კიდეც მას, რადგან მოდის დასასრული ამ ადამიანის პოლიტიკური ზეობისა. ბატონმა ივანიშვილმა გაარღვია ეს მოჯადოებული წრე, მან თქვა, მე აბსოლუტურად ლეგალური საშუალებით თავისუფალ დემოკრატებსა და სხვებს, მივცემ იმდენს, რისი უფლებაც მე მაქვს საქართველოს კანონმდებლობით. ამ ცხრა წლის მანძილზე დამფინანსებელი არავინ არ ჩანდა. რადგან ამ ადამიანებს იჭერდენენ და მრავალმილიონიან საპროცესო გარიგებებს უდებდნენ. დღეს კი ყველაფერი ლეგალურად ხდება და ამიტომაც არიან შეშფოთებულები. ფული პოლიტიკაში არის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი - ამას ვაღიარებ და ყოველთვის ვეუბნებები ჩემს კოლეგებს. ორი საწყისია პოლიტიკაში მთავარი - ერთგულება და დაფინანსება! მხოლოდ 100% ერთგულებით შედეგის მიღწევა ძალიან რთულია და ეს მე საკუთარ თავზე გამოვცადე, მხოლოდ 100% დაფინანსებით, მარტო ფულით ვერაფერს ვერ გააკეთებ და ესეც გამოცადა ზოგიერთმა „ოპოზიციონერმა" , მდიდარი ექიმები რომ არიან და ა.შ.. გვახსოვს ჩვენ ესეთი არჩევნებიც, მილიონები რომ იხარჯებოდა არჩევნებზე და შედეგი რა მიიღეს - პარლამენტში შესვლა და ვარდების რევოლუცია?! 2003 წლის რევოლუციას გაგახსენებთ, რადგან ეს კაი პრეცედენტი იყო, როგორ შეიძლება დახარჯო მილიონობით ლარი და შედეგად მიიღო ნული. და შემდეგ ეს შედეგი დაგაყვედროს შევარდნაძემ ან ჯორბანაძემ. ანუ იმის თქმა მინდა, რომ თუ ეს ორი საწყისი არ გაერთიანდა, შედეგს ვერ მივიღებთ. დღეს სახეზეა ეს ორივე საწყისი და ამიტომ არის შეშფოთებული საქართველოს ხელსისუფელბა და ჭკუიდან გადასული. თქვენ უნდა ნახოთ, რა დღეში არიან პარლამანეტში, როგორ უნდათ, ეს ყველაფერი ისე შეიფუთოს, ოცნებობენ, რომ ჩვენ კრემლის რომელი სარდაფიდან გადმოგვირიცხავენ ფულს. და ხელს იცით ვისკენ იშვერენ?! ადამიანისკენ, რომლის მამაც გმირულად შეეწირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ირაკლი ალასანიაზეა საუბარი. ირაკლი ალასანია მამაია ალასანიასთან ერთად იბრძოდა სოხუმში, 16 წლის ბიჭი, როცა ზოგ-ზოგიერთები ახლა უმრავლესობაში საერთოდ გაჩენილები არ იყვენენ, არ იცოდნენ რა იყო საქართველო და მისი დამოუკიდებლობა, ზოგიერთი მაგიდის ქვეშ იყო შემძვრალი, ზოგიერთი დუბაიში დადიოდა და ტელევიზორებს ყიდულობდა, მაცივრებს და გაზქურებს. ამიტომ ხელს რომ იშვერ ირაკლი ალასანიასკენ, უნდა იცოდე, რომ მან სულ მცირე მამა დაკარგა ომში. ხელს რომ იშვერ ბიძინა ივანიშვილისკენ, სულ მცირე ის უნდა იცოდე, რომ ჯარი და პოლიცია რომ გყავს ესეთი, ეს მათ შორის ივანიშვილის დამსახურებაა; საქართველოს რაგბისტებმა კუდით ქვა რომ ასროლინეს ტრაპზონში და ბატონი ბაქრაძე კუბლაშვილთან ერთად აღფრთოვანებული ტაშს უკრავდა ამას, ამაშიც ივანიშვილს მიუძღვის წვლილი, იმიტომ რომ დღესაც ფედერაცია ივანიშვილის დაფინანსებით არსებობს; ეკლესია -მონასტრები თუკი არსებობენ კიდევ საქართველოში და სამება თბილისს თავზე ადგას ესეც ივანიშვილის გაკეთებულია; ყველა თეატრი, ყველა კულტურული კერა ივანიშვილის გარემონტებულია; ათასობით ბავშვი არის გადარჩენილი ივანიშვილის მიერ. ახლა მითხარით მიხეილ სააკაშვილმა რა გააკეთა?! ბროლის სასახლე თუ ბროლის ხიდი?! ვის ხარჯზე, ბიუჯეტის?! ამიტომ დავაკვირდეთ აქეთ რა დგას და აქეთ რა დგას, ავწონოთ და გავაკეთოთ დასკვნა.



რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის, ქრისტიან დემოკრატების ან გია თორთლაძის პარტიის დაფინანსებას, არა მგონია ეს უკნასკნელი საზოგადოებას აინტერესებდეს. ხოლო ქრისტიან-დემოკრატებს რაც შეეხება, მე მაშინ ორიენტირებული ვიყავი იმაზე, საბოლოოდ გაგვერკვია, გვაფინანსებს თუ არა ჩვენ ფსბ. ეს იყო ამ მოვლენის ამოსავალი წერტილი. ეხლა გივი თარგამაძე თუ ისევ იძახის, რომ ფსბ გვაფინანსებს, იმასაც გაგახსენებთ 7 ნოემბერს, დარბევის შემდეგ რას ამბობდა ეს კაცი - გაგანადგურებთ ყველას და დაგხოცავთო. მაგრამ მტრის ჯინაზე ცოცხალი ვარ და მოვინელებთ კიდეც თარგამაძესაც და სხვებსაც.

ახლა ნაციონალური მოძრაობის შემოწირულობებზე ვისაუბროთ.მინდა გითხრათ, რომ ნაციონალური მოძრაობა ფინანსდება უზარმაზარი შემოწირულობების საშუალებით, მას 13 მილიონი ლარი აქვს მიღებული 2010 წელს, 434 შემომწირველი ჰყავდა ფიზიკური და იურიდიული პირების სახით. მე აქ მაქვს დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც ნაციონალურ მოძარაობას აფინანსებენ იურიდიული პირები, რომელთა პარტნიორები, წილის მფლობელები არიან უცხოეთში რეგისტრირებული კომპანიები. მაგალითად, „ჭიათურმანგანუმჯორჯია" 100% წილი შპს საერთაშორისო ბიზნესკომპანია „გრინფილდ ფაინეიშენ ქორპორეიშენ", სეიშენის კუნძულები, ოფშორი - 100 000 ლარი; შპს „ბლოკ ჯორჯია", ტრაგიკულად ცნობილი, ეტყობა გაატყავეს ეს შპს, ახლა 50000 უნდა მოგვცეო, თორემ წაგართმევთ რამდენიმე საავადმყოფოსო, რომლის 50 % წილის მფლობელია სააქციო საზოგადოება „ბლოცკი", ჩეხეთის რესპუბლიკა; შპს „უშბა დისტილერი", 100% მფლობელია „პასალბალიმითედი", კვიპროსი, ოფშორი - 25 000 ლარ; შპს „ბელბაო"- 100 % მფლობელია ბელნარდო ჰოლდინგ ლიმიტედი, კვიპროსი, ოფშორი - 50000 ლარი; შპს „აჭარის ბუნებრივი აირი" – 100% წელი დახურული საზოგადოება „კალანდა", ლიტვის რესპუბლიკა - 17000 ლარი; შპს „ბარვილ ჯორჯია" 100% წელის მფლობელი „ბარვილ ბლექ სი შიფინგ ლტდ", მეინსტრიტი, ოფშორი სავარაუდოდ - 17500 ლარი; შპს „კალტრექს ფოთი" 14% წილის მფლობელი „რიჩმანდ ქორპორეიშენ ლიმიტედი", ირლანდია - 9000 ლარი;

ახლა მივედი იმ კომპანიაზე, რომელიც რუსეთში რეგისტრირებული იურიდიული პირია: შპს „მგსს საქართველო", რომლის საკონტროლო პაკეტის, 51% წილის მფლობელი გახლავთ „მომენტალურად გადახდის გაერთიანებული სისტემა", რუსეთის ფედერაცია - 10000 ლარი, ეტყობა მომენტალურად გადაუხადეს, ბატონი თორთლაძის გავლით! მომენტალურად მისცეს და მომენტალურად აისახა.

შემდეგ იურიდიული პირები, რომელთ წილის პატრონები, პარტნიორები არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები. მაგალითად, შპს „პრომერ პლიუსს" - 40 000 ლარი გადაურიცხვავს, ამ კომპანიის 100% წილის მფლობელი არის ვინმე ფრიდონ ქათამაძე, რუსეთის ფედერაცია; დღეს ბატონმა ცისკარიშვილმა თქვა გასაოცარი რამ ამ ფაქტზე, რუსეთის მოქალაქე კია, მაგრამ ქართველიაო! ერთი ამიხსენით ვინმემ, ბიძინა ივანიშვილი ქართველი არ არის! თუ ფრიდონ ქათამაძეს აქვს უფლება ქართველი იყოს, ბიძინა ივანიშვილს რატომ არა აქვს? თუ ბატონმა ცისკარიშვილმა უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი?! თუ ფრიდონ ქათამაძე 40 000 ჩუქნის ცისკარიშვილს და მის მეგობრებს, თან რუსეთის მოქალაქე, ოღონდ ქართველი! და ამ ადამიანს აქვს უფლება გადაურიცხოს ნაციონალურ მოძრაობას თავისი კომაპანიის მეშვეობით, რატომ არა აქვს იგივე ბიძინა ივანიშვილს უფლება გადაურიცხოს ფული ოპოზიციურ პარტიებს თავისი კომპანიების მეშვეობით?! ვინმე იქნებ გამაგებინოს ეს ამბავი!

ასევე ომარ სარივი, თურქეთის რესპუბლიკა, პიტერ სიმენ ვლაარი ნიდერლანდები და ა.შ.

არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენი დამფინანსებელი კომპანიებიდან ყველა არის საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი.

**„მაესტრო"**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

teleNEWS teleNEWS teleNEWS teleNEWS teleNEWS teleNEWS teleNEWS teleNEWS teleNEWS teleNEWS

# aqa ambavi gia janmrTelisa da daviT gulgatexilisa



გაბატონებულ გემოვნებას მოდას უწოდებენ, გასაგებია, მაგრამ რატომ შემოვიდა მოდაში გია თორთლაძე, მეტსახელად „პადოშა“, ყოვლად გაუგებარია. გაიხედავ, ყველა სატელევიზო არხზე „პადოშა“ იძლევა კომენტარს, გამოიხედავ, — ინტერნეტიდან შემოგცქერის უმწიკვლო თვალებით. „პადოშამ“ თქვა, „პადოშამ“ კითხვა დასვა, როგორც „პადოშამ“ აღნიშნა, — მოკლედ, „პადოშაზე“ დიდი მოთხოვნილებაა.

დავინტერესდი, ვინ არის გია თორთლაძე და ბიჯოს, სწორედ ამგვარ დასათაურებას მივაკვლიე „Youtube-ზე“ — „ვინ არის გია თორთლაძე?“

ვიფიქრე, მზამზარეულ პასუხს მივაგენი-მეთქი და მოვემზადე მოსასმენად თუ საყურებლად. „მაესტროზე“, პირდაპირ ეთერში, სადაც შეკითხვები თურმე არ იფილტრებოდა, მაყურებლის ზარი შევიდა. მამაკაცმა ხაზგასმული სერიოზულობით დაიწყო და დაამთავრა: — „მე მგონი, ობიექტურად რომ შევხედოთ, გია თორთლაძე ჩამოსხმული სირია!“ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ტელეჟურნალისტი შეცბა და კორექტულობისკენ მოუწოდა მაყურებელს. (მეტი რაღა გზა ჰქონდა, ხომ არ გაულექსავდა, „ჩვენ სირი ჩიტსა გვიქვია, არაბულისა ენითაო.“)

ახლა კი მოდაშია „პადოშა“, მაგრამ რატომ ხდება ეს „მოდური ტელესახე“ სხვადასხვა დროს ნაცნობ-უცნობების აგრესიის მსხვერპლი, მიუხედავად მისი მცდელობისა, რომ პასუხი გაეცა ამ კითხვაზე, მაინც ვერ გავიგე.

გია თორთლაძე (რადიო პალიტრა, გადაცემა „რეზიუმე“ 13 ივნისი, 2009 წელი): — ჩემს მიმართ დიდი ხანია აგრესია არის. მე ვფიქრობ, იმიტომ, რომ ლუსტრაციის კანონს ვთხოულობ, რომელიც ამოიღეს „საგურამოს მანიფესტიდან“, აი, იმიტომ; იმის გამო, რომ კონკრეტულად ვამბობ, რომ ომი რუსეთმა დაიწყო და არ დაიწყო საქართველომ, იმიტომ, რომ საქართველო არ არის აგრესორი ქვეყანა; ბევრი სხვა რამის გამო, მათ შორის იმიტომ, რომ ვაფიქსირებ, რომ ეხლანდელ „ქარტიაში“ სიტყვა არ არის რუსეთზე ნახსენები და მაშინ ჩვენ ვთხოულობდით რუსეთის „სამშვიდობობები“ ერქვათ მაშინ იმათ გასვლას. აი, ესეთი აგრესია იყო, არ ვიცი, რას ნიშნავდა ეს. ეს იყო ვირთხების მიერ მოგონილი და დაგეგმილი აგრესია. „ახალი მემარჯვენეები“ გამოდიოდნენ იქ სიტყვით, მერე თვითონ დათვრნენ, მარტო ბატონ დავით გამყრელიძეზე არ ვსაუბრობ, იქ სხვებიც იყვნენ, თვითონ წავიდნენ და იქ ძაან ანგაჟირებული ბავშვები დატოვეს. ბავშვებს არ ვიტყვი, ახალგაზრდები, ბავშვები აღარ ეთქმით მათ, იქ უფროსი თაობაც იყვნენ, და აი, ძაან ვაჟაცობაზე რომ საუბრობს ეხლა ბატონი დავით საგანელიძე, ძაან ვაჟკაცური ქმედებაა, ალბათ, მათი მხრიდან, არ ვიცი, რა წარმოიდგინეს, მე რომ გავქცეულიყავი იქიდან, თუ გამომკიდებოდნენ, რა უნდოდათ, არ ვიცი. მაგას ვერავინ ვერ ეღირსება, რომ მე საიდანმე გავიქცე. ეტყობა, ეს ჰქონდათ დაგეგმილი, იმიტომ, რომ 60 ადამიანი რომ მოგდევს უკნიდან, უნდათ რომ რაღაცა ზეწოლა და გინებით, უშვერი სიტყვებით და უყკანასკნელი სიტყვებით გლანძღავენ და პასუხიც მიიღეს საკადრისი, მარა აწი მიიღებენ ბევრად უფრო სერიოზულ პასუხს, როცა დავინახავ ხელში ჯოხიანს, ან ქვიანს, ან რა ვიცი, რა არის კიდევ, მძიმე საგანი, ბასრი საგანი, დანიანს და ა. შ ამიტომ მე მივმართავ იმ ხალხს, ვინც ამ ბავშვებს ესე აგიჟებს და ესე აგზავნის, ყოველ შემთხვევაში, ჩემს მიმართ. მე არ ვიცი, სხვაგან რას აკეთებენ, ასეთი კადრი ტელევიზიით ვნახე, უფრო სწორად, ესეთი შემთხვევა თვალით არ მინახია...

ძალიან მარტივი ზომები არსებობს, დეპუტატს აქვს იარაღის ტარების უფლება და მის მიმართ თუ განხორციალდება ისეთი ქმედება, როგორიც არის იარაღის ამოღება, ან ე. წ ბეისბოლის ბიტა იქნება თუ მძიმე საგანს დავუნახავ ხელში, ან დანას დავუნახავ, ან სხვა რაღაცას დავუნახავ, გუშინ ასეთი რამ არ მომხდარა ნამდვილად.“

საგანელიძე: — ხვალ იარაღს ესვრი, გია?

— დანიან კაცს ვესვრი იარაღს, კი.

— ახალგაზრდები, რომლებიც მოდიან და გეძახიან, შე გამყალბებელო, შე მატყუარა, შე ფლიდო, გაყენებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას და როცა პარლამენტარი ხარ, უფრო სწორად, რომ ამბობ, რომ პარლამენატარი ხარ, უნდა იტანდე შეურაცხყოფასაც, იარაღს ესვრი?

— თქვენისთანა აფერისტები ვინ მინახავს, დანიანზე ვლაპარაკობ.

— გია, მაგ ენას ამოგაცლი, იმიტომ, რომ შენ, აფერისტები კი არა, შენა ხარ ის ადამიანი, — ამდენი ხანია გისმენ, — ცხოვრებაში არ გავქცეულვაროო, შენა ხარ ის ადამიანი, ვინც ვირთხასავით გაიქეცი იმ ხალხისგან, ვინც პარლამენტის მანდატი ჯიბეში ჩაგიდო. როგორ გაბედე, იმ ბიჭებზე, რომლებმაც შენ პარლამენტარი გაგხადეს, იმათ ეფარებოდი მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში, 15 ლარიანი ბიჭები ეძახე. შენ? — შენ ლაპარაკობ იმაზე, რომ ეხლა ლუსტრაციის კანონი რომ გინდა მიიღო, იმიტომ გეძახიან ეს ბიჭები რაღაცას და იმუქრები, იარაღს ავიღებ და ამ ბავშვებს იარაღს ვესვრიო. როგორ ბედავ მაგას რომ ამბობ შენა, რა?! მეცოდები! შენ გგონია, შენთან რამე მაქვს საკამათო? ჩემი პრობლემა ის არის, რომ ეხლა შენნაირ ადამიანს ვესაუბრები, შენთან რა მაქვს საკამათო! შენ, წესით, ცხოვრება სხვანაირად უნდა დაამთავრო თუ ღირსეული რამე დაგრჩა. შენ, დღევანდელი ამ სიტყვების მერე გია გქვია თუ „პადოშა“ გქვია, ვისზე ლაპარაკობ იარაღს ავიღებო და ბავშვებს ემუქრები. ვირთხას ვის ეძახი შენ! შენი თავი დაიმარხე. ის ორი კრედიტი დაფარე? ჩვენი ბოლო შეხვედრა ჩვენს ოფისში იყო ის, როგორ არ შევიდე პარლამენტში, რა გავაკეთო, ფული მჭირდება, ორი კრედიტი მაქვს დასაფარიო. დაფარე ის ორი კრედიტი? ალბათ, დიდი ხანია დაგაფარინეს, — აი, ეგა ხარ, შენი ნამდვილი სახე ეგაა. ადრე სულ მეეჭვებოდა, როგორ შეიძლება, კაცმა მოიტყუოს, მწვერვალი დავიპყარიო. შენ ყველაფერ ტყუილს იკადრებ, მწვერვალი კი არა, გორაკი არ გექნება დაპყრობილი. ვირთხასავით სოროში ხარ შემძვრალი, რისი დამპყრობი ხარ! ქუჩაში გამოდი, ხალხს დაელაპარაკე იქა, რომ შემძვრალხარ პარლამენტში შენნაირ ვირთხებთან ერთად მართლა! ამას სიტყვა მისცე კი არა, უნდა გააძევო აქედან! შენ როგორ ბედავ ჩემთან ლაპარაკს! ჯერ ჩემამდე მოდი, ჯერ ჩემს ფეხის ფრჩხილამდე მოდი და მერე მელაპარაკე! ბავშვებს იარაღს ვესვრიო, — ვაჟკაცი, მაგარი ბიჭი! შენი თავი შენვე დაიმარხე და ეხლა როგორ გამოძვრე სიტუაციიდან, იმას ებღაუჭები. შენ ვის გაუბედე ბიჭო, ეგა, ვის ესვრი იარაღს!

— სახლში გყავს „ბიჭოებიც“...

— „ბიჭოები“ და, მაგ იარაღს გაგაკვეტებენ საღაცა ეხლა, თუ ბევრს ილაპარაკებ!

— დანიანს ეხება ეგა და ხელში ბიტიანს ეხება და ხელში უზარმაზარი ლოდიანს, თორე იარაღის ამოღება რომ მდომებოდა, გუშინაც კარგად მოვახერხებდი. ამიტომ, არ უნდა აქ წიწინი და წიკვინი, კაცო! მე თუ დავინახავ კრიმინალს ჩემს თვალწინ, რომელსაც ექნება სურვილი და ბევრს გაუჩნდა სურვილი მაგათში, როგორც ჩანს, რა, რომ დანა გამოიყენოს და ბიტა გამოიყენოს, მიიღებენ პასუხს-თქო და არ უნდა რა, ეხლა სპეკულანტური ლაპარაკები!

— სპეკულანტი შენა ხარ! დარჩი, მოგცეს ფული, დაფარე კრედიტები? — გამეცი პასუხი! თუ ტყუილს ვამბობ?

— დაუწიე ცოტა ხმას და მომისმინე თუ გაინტერესებს! კრედიტი თუ გაინტერესებს, გპასუხობ, დიახ, მე მქონდა კრედიტი აღებული, 16 წლის მანქანის კრედიტი, 300 ლარს ვიხდიდი და ჩემი ბავშვის ფულს ვიხდიდი სწავლისას. თქვენსავით კი არ ვაგზავნიდი უცხოეთში და თქვენსავით კი არ ვიყავი შევარდნაძის ერთ ადგილში შემძვრალი და კი არ ვმათხოვრობდი და კი არ ვძარცვავდი სხვადასხვა ფირმების გახსნით! გინდა, დაგილაგოთ ყველაფერი?

— ცხვირით აგახეხინებ მაგას, ყველაფერს!

— ორღობის ქალივით ნუ წიკვინებ!...

— შე ლაწირაკო შენა, ვის ელაპარაკები, შე ნაძირალა! ნაბიჭვარი ესა!“

გასრულდა ესე ამბავი, მაგრამ პირადად მე (ალბათ, ბევრს სხვასაც) რატომღაც დამაჯერებლად არ მეჩვენა ბატონი თორთლაძის არგუმენტები. სხვადასხვა დროს „საგურამოს მანიფესტი“ იდეაშიც რომ არ იყო ხელმომწერებიანად, არაერთი პირი ითხოვდა ლუსტრაციის კანონის მიღებას, მაგრამ 60 ბავშვი, ახალგაზრდა თუ ზრდასრული კაცი არ გაჰკიდებია ქუჩაში საცემრად; არც ის მეჩვენა დამაჯერებლად, რომ მასზე „ახალი მემარჯვენეების“ მისეული „ვირთხები“ იმის გამო იყვნენ გაავებულები, რომ ბატონი თორთლაძე 2008 წლის აგვისტოს ომის წამომწყებად რუსეთს მიიჩნევს; არც იმის გამო უნდა იყოს ეს აგრესია, რომ „ახალ ქარტიაში“ რუსეთი რატომ არ არის ნახსენებიო, წუხს თორთლაძე და რა გაწუხებს, უნდა გცემოთ ახლაო, — მოკლედ, რას ერჩიან „პადოშას“, კვლავ გაუგებარი დარჩა.

გათვალული ხომ არ არის ნეტავ, საბრალო?

ჯერ იყო და, რომელიღაც მწვერვალზე არ ასულა, ცრუობსო, მერე — ასულაო, მერე — ისევ არ ასულაო და დღემდე ვერ დავადგინეთ, ეს კაცი არის თუ არა იმ კონკრეტული მწვერვალის დამპყრობი;

მერე იყო და, მთელი ჩინეთი თუ არა, მეოთხედი ჩინეთი საქართველოში რომ ჩამოგვისახლდა, იმ ჩინეთის ხელისუფლებამ ჩვენი საბრალო „პადოშა“ ტიბეტში არ შეუშვა. დარჩა ჰიმალაის მწვერვალი ჩი-ო-იუ „პადოშას“ სათაყვანებელი ნაციონალური პარტიის დროშის გარეშე, რომელსაც ეწერა „საქართველო — ოკუპაციის გარეშე!“

„ტყის კანონის“ უდიდეს „შემოქმედს,“ ზოგადად, კანონთმოყვარე გია თორთლაძეს და მის ანტიკრიზისულ საბჭოს რა დანიშნულება აქვს, ვერავინ ამიხსნა, მაგრამ ფაქტი სახეზე გახლდათ, — მართალია, დამატებით ანაზღაურებას არ იღებდნენ, მაგრამ საბჭოსთვის თანხის გამოყოფა ყოველწლიურად ხდებოდა. დრო და დრო ხმა გამოვარდებოდა, ანტიკრიზისული საბჭო უმოქმედოა, იშლებაო, მაგრამ როგორც შემდგომში ვხედავდით, არაფერიც არ იშლებოდა, — თორთლაძის ნაბარტყი იდეების კანტორა მაინც იდგა (დგას).

ძველი ანეკდოტი გამახსენდა, — ჭიჭიკია ეკითხება ბიჭიკიას, ცოლს რატომ გაშორდიო? ვერ შევეწყვეო, — უპასუხა ბიჭიკიამ. შე ჩემა, მთელი ქუთაისი შეეწყო და შენ ვერ შეეწყვეო? — ასეა, ვინც ბატონ თორთლაძეს ვერ შეეწყობა, ეს ძველი ანეკდოტი გაიხსენოს!...

ჩვენს ანტიკრიზისულ და მოდაში შემოსულ „გმირს“ დავუბრუნდეთ — სტიკერების გავრცელება — „რუსებო უნდა დატოვოთ საქართველო!“ საკუთარ ფანტაზიაში „დიად“ მიხეილთან მისასვლელ სავიზიტო ბარათად აღიქვა, მაგრამ ვინ დაუფასა, — „აგვისტოს 5 დღის ჩვენებაზე“ (თუ საცვალთმოძულე შერონ სტოუნის?), მიუხედავად ფინანსური

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# es `axali memarjvene~ gamyreliZe axla saidanRa gamotyvra, rogorc batonma TorTlaZem wamoaZaxa baton saganeliZes, baton eduardi SevardnaZis erTi adgilidan xom ara?

მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ძალლად არავინ ჩააგდო 33-ე ხარისხის პოლიტიკოსი, არ დაპატიჟეს...

არადა, მართლაც სად არ აცოცდა, რამდენნაირად აიქაფა პირი „მრისხანე ოპოზიციონერობისას“, რას არ გადაახტა, რას არ დაახტა და მიახტა, იშიმშილა კიდეც... პრინციპში, კაცს ორი კრედიტი სანამ დასაფარი ჰქონდა, კი უნდა ეშიმშილა, – 2008 წელი იყო, ასე, 7, 8, 9 მარტი იქნებოდა...

მარტო არ შიმშილობდა, როგორც მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალია, შიმშილშიც ბრალიაო და ოთხ სხვაპარტიელთან ერთად შიმშილობდა, მაგრამ რატომ, – ჩატარდეს ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნები, სამართლიანი საპარლამენტო არჩევნები და გათავისუფლდეს ყველა პოლიტპატიმარიო, – საპარლამენტო არჩევნებამდე ორიოდე თვე იყო დარჩენილი.

„ხელისუფლებას ესმის მხოლოდ თქვენი ხმა! ხელისუფლება დამთმობია და მიდის დათმობაზე მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როცა ბევრი ხალხი დგას რუსთაველზე. ვიბრძოლებთ იქამდე, სანამ არ მივიღებთ თავისუფალ და დამოუკიდებელ არჩევნებს“, – გაჰყვიროდა ბატონი თორთლაძე საპროტესტო აქციებზე და ხალხს ამუნათებდა. თორთლაძე იყო ყველგან, სადაც ხელისუფლების სალანძღავი სიტყვა იყო სათქმელი. ლანძღავდა და ლაფში ათრევდა, გაჰქონდა და გამოჰქონდა მტარვალი სააკაშვილი და მისი ბანდა, ევერესტზე კი არა, მე ვიცი, სადაც ავიყვან მიშასო, – იქადნებოდა. ისეთ ექსტაზში ვარდებოდა „აქუვიზიაში“, ლამის ეკრანიდან გადმომხტარიყო ყველა მაყურებლის ოჯახში ერთდროულად.

ამავდროულად, ბატონი დავით გამყრელიძე მჭევრმეტყველებდა, ჩვენი პარტია ყოველთვის მომხრეა დიალოგის, მაგრამ ამ ეტაპზე აღარ დარჩა გზა, გარდა მშვიდობიანი პროტესტისო. დიახო, საქართველოს ისტორიაში ერთხელ მაინც მივაღწიოთ თავისუფალ არჩევნებს და ხელისუფლების კანონიერი გზით შეცვლასო.

ეს „ახალი მემარჯვენე“ გამყრელიძე ახლა საიდანღა გამოტყვრა, როგორც ბატონმა თორთლაძემ წამოაძახა ბატონ საგანელიძეს, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ერთი ადგილიდან ხომ არა?

რა მნიშვნელობა აქვს? – ძალიან დიდი.

თორთლაძისეული „ლუსტრაციის კანონის“ ამოქმედების შემთხვევაში, გამყრელიძეს შხამად ამოედინება ყელში სააკაშვილთან და გიორგი თარგამაძესთან ერთად ლონდონში წლევანდელი ტაშისკვრა. თავისი პარტიის იუბილეზე რომ დაიგინ-დაიფიცა, თუ ჩემს პარტიას პარლამენტში ვერ შევიყვან, თვალებს დავითხრი და სარზე ჩემი ნებით გავეცმები, პარტიის თავმჯდომარეობიდან გადავდგებიო, – მოუწევს.

საქმე იმაში გახლავთ, რომ „მოწოდებით ლიდერ“, ექიმ და მეწარმე დავითს, საქართველოს გადემოკრატებამდე ძალზედ ხიბლავდა კომკავშირის მდივნობა, სტუდენტთა კომკავშირული საბჭოები, კომკავშირული კონფერენციები, კომკავშირული ოლიმპიადები და საერთოდ, ყოველივე კომკავშირული. იმდენად გამოჰყვა ამ კაცს ის საბჭოეთის ხიბლი, რომ ედუარდ შევარდნაძეს ველარ შორდებოდა. მას რომ ჰკითხო, ალბათ, იტყვის, რომ „შევარდნაძის სიით“ ხელებგადაგრეხილი ძალით შეათრიეს პარლამენტში და პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეობისთვის „გაწირეს“, მაგრამ ასე იყო?

რა ქნას ახლა, შეიცვალა დროება და როგორც ბატონმა შალვა ნათელაშვილმა ბრძანა, აშშ-ის ხელისბიჭად ისე ჩამოყალიბებულა თვალსა და ხელს შუა, რევერანსებსაც აღარ საჭიროებს. არადა, კომკავშირის მდივან დავითს რა ნალანძღი ეყოლება ბოროტი კაპიტალისტი ამერიკელები, ზანგებს რომ ხოცავდნენ? ვინ იცის, კომკავშირული კედლის გაზეთისთვის რამდენჯერ ჰყავს დახატული კარიკატურა დოლარებიან ტომარაზე შემდგარი გასიებული „ძია სემისა“ პირში სიგარით. ასევე ფრთიანი რაკეტები წარწერით „ნატო“, მისი სამშობლო, დიადი საბჭოთა კავშირისადმი სამტროდ შექმნილი ალიანსი.



დიახ, შეიცვალა დროება და თერგდალეული დავითი, გულმხურვალე კომკავშირელი ოკეანედალეული გახდა. ამასობაში, ჭამაში მადა მოეძალა და პრეზიდენტობაც მოინდომა. მართალია, ოცნების გრძელი ჭია ვერ გაახარა, მაგრამ რაღაც ლურჯი ჩანთისა და სამი მილიონის აღებ-მიცემობის „არაკში“ გაეხვა. ჩემი კოლეგა რომ ჩაეძია, რა კომენტარს გააკეთებთ ლურჯი ჩანთით თქვენთან მოტანილ სამ მილიონზეო, ისე გაიოცა, კინაღამ თვითონვე დაიჯერა, რომ არათუ უხილავს რომელიმე (ჩანთა და ფული), თვით ამ სიტყვების მნიშვნელობა და დანიშნულება არ იცოდა. 2008 წელი იყო, დავითი კი ინიციატორი იმ დაუსაბუთებელი ინიციატივისა, რითაც პარლამენტში შეუსვლელობა გმირობის ტოლფასად იქცა, შესვლა კი სამშობლოს ღალატად.

რაში გვჭირდება გაყალბებით შექმნილ პარლამენტში შესვლა, აგერ, ალტერნატიულ პარლამენტს შევქმნითო, იქადნებოდა დავითი, მაგრამ მკვდრადშობილი იდეა იდეაშივე ფეხებგაფშეკილი დატოვა.

იქით თორთლაძეს დაბინდა გონება, „ნაცების“ ჯადომ იძალა, აღარც ხელახალი და სამართლიანი არჩევნები ახსოვდა, აღარც პოლიტპატიმრები.

„მეშინია, საქართველოშიც ტუნისის სცენარით არ განვითარდეს მოვლენები“, – ბორგავდა დავითი და ისე შეეშინდა, რომ წინდაწინ განაცხადა: „7 ნოემბრის აქციაში მონაწილეობას არ მივიღებ, თელავში მივდივარ თანაპარტიელებთან ერთად, ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის დაფინანსებით გამართულ კონფერენციაში უნდა მივიღო მონაწილეობა, თანაც, ხელისუფლების ცვლილება არჩევნებით უნდა მოხდეს და ყველაფერთან ერთად, ხელისუფლებასთან დიალოგის დასაწყებად მზად ვართ.“ (რა ქნას, უყვარს კონფერენციები, კომკასირული ნოსტალგია არ ასვენებს!)

სხვა ქვეყნებში, ოპოზიციის მხრიდან ხელისუფლებასთან დიალოგი, შეიძლება, მართლაც დიალოგი იყოს, მაგრამ საქართველოში რა შინაარსისაცაა ამ სახის „დიალოგი“, ბავშვმაც კი იცის.

საიდანღაც გამოვარდნილმა ხმამ, რომ თუ რუსეთი და აშშ ერთ კანდიდატზე ვერ შეთანხმდნენ, კომპრომისულ საპრეზიდენტო კანდიდატად, ადვილი შესაძლებელია, დავით გამყრელიძე დაასახელონო, ახალი სისხლი გადაუსხმა, მაგრამ მცირე ხნით.

„სააკაშვილისთვის ეს ქვეყანა ახირებების ასრულების საშუალებაა. ამ ადამიანისა და მისი ახირებებისგან უნდა გავთავისუფლდეთ...“ – გვტყორცნა დავით გულგატეხილმა. თავის მხრივ, მართალი იყო, – არა პარლამენტარობა, არა პრემიერობა, არა პრეზიდენტობა...

მერე იყო და ალასანიას „ალიანსს“ მიაპყრო იმედიანი მზერა, თვით გაგვიმხილა, რომ თურმე კინაღამ საკუთარი პარტია დაუშლია „ალიანსთან“ ერთ პარტიად გაერთიანების ეშხით.

„დღეს საზოგადოების ძირითადი ნაწილი ზომიერ, ევოლუციურ, მშვიდობიან ცვლილებებს ითხოვს, რადიკალურ ქმედებებს აღარ იწონებენ“, – ბრძანა დავით გულგატეხილმა იმედიანად, მაგრამ კვლავ ამაოდ, უშნოდ ჩაიშალა ქვიშით ნაგები „ალიანსი“.

უცნაურად შეტრიალ-ამოტრიალდნენ „ძალიან ოპოზიციონერები“ ერთ წელში. 2008 წლის 7 ნოემბრისთვის თითქმის შეუძლებელი გახდა 2007 წლის 7 ნოემბრისდროინდელი „დიდი ხალხოსნების“ ცნობა...

„სანამ არ მოხდება სიტუაციის ნორმალიზება (აგვისტოს ომის შემდეგ), საპროტესტო აქციების გამართვა, ჩემი აზრით, მხოლოდ პუტინისა და მედვედევის გეგმებს შეუწყობს ხელს,“ – ბრძანა „პადოშამ“, ოპოზიციური კოალიციის ყოფილმა აქტიურმა სახემ საპარლამენტო უმცირესობიდან 2008 წლის ღვინობისთვეში.

უკვე პარლამენტარი, ჯერ კიდევ ორკრედიტაკიდებული „პადოშა“ 2008 წლის თებერვალში ქაქანებდა, პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს შიდა ქართლში მიხეილ ქარელს, ხელისუფლების მიერ პოლიტიკურ დევნილად აცხადებდა. ქარელმა რომ ირაკლი ოქრუაშვილის პარტიაში გაწევრიანების მზადყოფნის გამო პრეზიდენტის ბოძებული თანამდებობის დატოვება გადაწყვიტა, ამიტომ არ შეიძლება ადამინს დევნა დაუწყოო. თუ თანამდებობას დანაშაულებრივი ქმედებისთვის იყენებდა, პასუხისმგებლობა სააკაშვილმა უნდა გაინაწილოს და არა ოქრუაშვილმა, რომელიც, უბრალოდ, მეგობრობდა ქარელთანო, – აი, დღეისათვის ასეთ „უცნაურობებს“ ამბობდა თორთლაძე მაშინ;

2009 წელს ტირძნისიდან გატაცებული მოზარდების დაბრუნების სანაცვლოდ საკუთარ თავს განუსაზღვრელი ვადით სთავაზობდა უკვე ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარე თორთლაძე ერგნეთის საგუშაგოსთან მიმდგარი სეპარატისტებსა და ოკუპანტებს. არაფრად ჩააგდო მისი ღალადი იქით მტერმა, აქეთ – მოყვარემ, არ გამოუვიდა საკუთარი თავის პიარი, ვერ იქცა ახალდროების გია თავდადებულად...

ხომ ვამბობ, გათვალულულია ეს კაცი!

ახლა, მას შემდეგ, რაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე, „ნაცების“ ყველა რგოლი, უმცირესი ჭანჭიკიც კი ისე აცახცახდა, ზოგს მთლად ჩაუვარდა ენა, ზოგი ველარ სდებს ლაგამს.

ამ თვის დასაწყისში გია თორთლაძე ბიძინა ივანიშვილის ჯანმრთელობაზე „წუხდა“, „მაესტროს“ ეთერით, ეკა ბერიძესთან ფსიქიურად დაავადებული ადამიანის ინტერვიუ მოვისმინეო. „მეგონა, საქმე სერიოზულ ოპონენტთან მქონდა და მის ოპონირებას ვაპირებდი, მაგრამ მომავალში ეს ძალიან გამიჭირდება, რადგან ის დალაგებული ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ისეთი რაღაცები მოვისმინე, რომ ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანი ამაზე არ ილაპარაკებდა. არ ვიცი, მას რა მკურნალობა უშველის, მაგრამ ფაქტია, რომ ავადმყოფი ადამიანია“, – განაცხადა გია „ჯანმრთელმა“.

„პადოშა ჯანმრთელს“ იმდენხნიანი ურთიერთობა აქვს ფსიქიურად ავადმყოფთან, წესით, შეშლილის სიმპტომები ზედმიწევნით უნდა იცოდეს, მაგრამ რა ქნას „განაცებულმა“, ქვეყნის პირველი გიჟის (ბატონი პრეზიდენტის სიტყვებია საკუთარ თავზე) ბოძებულ სკამზე ჩაბღაუჭებული ზის და ივანიშვილზე გარსმიხვეული პარტიების ლიდერებს ლანძღავს, უსინდისოები არიან, ავადმყოფ, ფსიქიურად გაუწონასწორებელი ადამიანისგან ფულის გამოძალვას ცდილობენო.

რად დაუჯდა რეალურად მიხეილ „დიდს“ თორთლაძე „განაცებულის“ (და მისთანების) ერთგულება, დაუზუსტებელია, მაგრამ მთლად მოერღვა საინფორმაციო ღრუ „პადოშას“, ალბათ, მძინარიც ივანიშვილზე და რუსულ ფულზე აბოდებს.

„პადოშამ“ წიხლი უკრა ჩემს კოლეგებს, არ დაელაპარაკა, მაგრამ დონაძის ტელევიზიაში თავის ფეხით მიცოცდა და იქიდან ომახიანად დაგვძახა, ქართულ პოლიტიკაში რუსული ფულის შემოდინების შესახებ, უფრო დეტალურ ინფორმაციას 2012 წლის თებერვალში მოგაწვდითო. „არეულობის შეტანაა, როცა პოლიტიკური პარტიებიდან ირჩევს ხალხს, როცა ჟურნალისტებს მოუწოდებს, რომ ისინი ამა თუ იმ ადგილზე იდგნენ. იგი ამ ყველაფრისთვის ფულს იხდის. სწორედ ეს არის ქვეყანაში პოლიტიკური არეულობის შემოტანის მცდელობა“, – დააზუსტა ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე „პადოშამ“ „რუსი ოლიგარქის“ ბიძინა ივანიშვილის ბრალი პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზეც, ბრიფინგზეც და შსს-ის ტელევიზიიდანაც.

მოკლედ, ვერაფრით გავიგე, რა კაცია ეს „პადოშა“, (და მისთანები) როდის და რაზე სწყდება ხოლმე გული და კიდევ ერთხელ ვცადე, ინტერნეტით მაინც მიმეღო ამ კითხვაზე პასუხი. თქვენც არ მომიკვდეთ, ძებნაზე – „ვინ არის გია თორთლაძე?“ ყველა გვერდზე, ზოგზე რამდენჯერმე „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში დამრეკავი მაყურებლის ხმა ისმის: – „მე მგონი, ობიექტურად რომ შევხედოთ, გია თორთლაძე ჩამოსხმული სირია“...

**მაია ჭელიძე**

# kezeraSvi l is biznesebi

რა ბიზნესებს ფლობს დავით კეზერაშვილი და რატომ სარგებლობს ამხელა გავლენით „მეფის კარზე“ ამის შესახებ „საერთო გაზეთს“ საინტერესო მასალები მოძრაობა „ივერიელების“ ხელმძღვანელმა **ლევან კოჭლოშვილმა** მიაწოდა.

დავით კეზერაშვილი საზოგადოებამ ფაქტიურად მაშინ გაიცნო, როდესაც 2006 წლის 11 ნოემბერს თავდაცვის მინისტრად დაინიშნა. მანამდე ის საფინანსო პოლიციის უფროსი იყო და ალბათ ცოტას თუ ახსოვს ის სკანდალური სატელეფონო ჩანაწერები როგორ უპირებდა იგი ვიღაც-ვიღაცეებს „გატისკვას“, თუმცა მალე ყველაფერი ჩაფარცხა. უფრო მეტიც, კეზერაშვილი დააწინაურეს და ქვეყნის თავდაცვა მიანდეს. ამ ყველაფერს თავისი ახსნა აქვს. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო თავდაცვის სამინისტრომ ისრაელისგან იარაღისა და სამხედრო ტექნიკის შეძენა, რასაც უზარმაზარი თანხების გადინება მოყვა. კეზერაშვილი ისრაელის მოქალაქეა. მამამისი დღემდე ამ ქვეყანაში ცხოვრობს და ძალზე დაახლოებულია ისრაელის მაღალ სახელისუფლებო ეშელონებთან. მოგეხსენებათ, ისრაელი მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა იარაღის წარმოებაში. კეზერაშვილიც სწორედ ამიტომ დანიშნეს თავდაცვის მინისტრად, რომ ისრაელიდან შედარებით იაფად შემოსულიყო ცეცხლსასროლი იარაღი და სამხედრო ტექნიკა, რაც შემდეგ დიდი ფულის კეთების შანსს იძლეოდა. იაფად შეძენილს გაზრდილი ფასებით გააფორმებდნენ, თანხის სხვაობას კი მაღალჩინოსნები ჯიბეში ჩაიდებდნენ

საქმე იმაშია, რომ ისრაელიდან იმპორტირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი უხარისხო იყო. რამდენიმე გასროლის შემდეგ ავტომატის კონდახი თურმე ისე ცხელდებოდა, რომ დნობას იწყებდა. აგვისტოს ომის დროს რუსული მედიასაშუალებები მართალია დაბლოკილი იყო, მაგრამ საზოგადოების ნაწილმა მაინც შეძლო მათ მიერ გავრცელებული კადრების ნახვა, რომელშიც ასახული იყო ეს ნახევრად კონდახმომწვარი ავტომატები. ასე რომ, მართალია ქართულ ჯარს ახალი იარაღი შეუძინეს, მაგრამ ეს იარაღი ყოვლად გამოუყენებელი იყო. ჩვენი რესპოდენტის თქმით, კეზერაშვილმა სწორედ მაშინ „მოტეხა“ დიდი ფული სახელმწიფოს ხარჯზე.

ლევან კოჭლოშვილი: „ხსენებულ ბიზნესს შემდეგ რატომღაც ომი მოყვა, რომელსაც ასეთი სავარაუდო ახსნა შეგვიძლია მოვუძებნოთ. ის იარაღი, რომელიც ჭარბად იყო შემოტანილი, სადღაც უნდა გამქრალიყო და ხელახალი მოთხოვნა უნდა გაჩენილიყო. ომის დროს რა რაოდენობის იარაღი გავიდა, სად წავიდა, ვინ იყო პასუხისმგებელი ამაზე, რატომ ეყარა გორსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე უამრავი ცეცხლსასროლი იარაღები, ბურუსითაა მოცული. სულ რამდენიმე პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგა, თანაც სავარაუდოდ იმათი, ვინც წესით არ უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი. რამდენადაც ვიცი ეს იარაღი რეზერვისტებმა დაყარეს და ასე უკონტროლოდ იყო მიტოვებული იმ ტერიტორიაზე, სადაც მტერი შემოდიოდა. თავდაცვის სამინისტრომ ეს შეგნებულად გააკეთა თუ წინდაუხედაობით, რა მნიშვნელობა აქვს.

ომის პერიოდში რა თქმა უნდა ამ იარაღის ჩამოწერა მოხდა. ზუსტად არ ვიცი შემდგომში რომელ ქვეყანაში გაიყიდა ჩამოწერილი იარაღი, ვფიქრობ უფრო ჩეჩნეთის მხარეს. სწორედ ამიტომაა რუსები ჩვენს ხელისუფლება რომ აბრალებენ ჩეჩენი ტერორისტები საქართველოში მზადდებიანო.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ომის პერიოდში საერთოდ არ ჩანდა კეზერაშვილი. ის დამფრთხალი ვირთხასავით იყო გაქცეული საქართველოდან და ლას-ვეგასში აზარტული თამაშებით იყო დაკავებული. თუ შემდეგ არ შეცვალეს და გააყალბეს საბუთები საზღვრის დაცვის დეპარტამენტში, ამ ფაქტის სიმართლეში დარწმუნდებით“.

„შვებულებაში“ მყოფი დავით კეზერაშვილი ლამის ყურით რომ ჩამოათრია საქართველოში შეშინებულმა მიხეილ სააკაშვილმა, ეს ინფორმაცია თავის დროზეც აქტიურად ვრცელდებოდა. თვითმხილველებმა ისიც გვითხრეს კეზერაშვილი მოგვიანებით უზარმაზარი დაცვით იყო გორში ჩამოსული. „ჯიპში“ ჩამძვრალს რამდენიმე ჯავშანჟილეტი ჰქონდა წაფარებული და რუსების გორისკენ დაძვრა რომ შეიტყო, უკანმოუხედავად მოკურცხლაო.

უიღბლო სამხედრო კარიერის შემდეგ დავით კეზერაშვილი დროებით ქრება პოლიტიკური არენიდან, თუმცა კვლავ სარფიან ბიზნესს იწყებს, აარსებს კერძო სააღსრულებო, ე.წ. ამომღებ ფირმებს და ძირითადად ავტოლომბარდებთან თანამშრომლობს. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ხალხს ხშირად უწევთ ავტომანქანების დალომბარდება და ასევე ხშირია ფულის ვერ გადახდა. იმ ავტოლომბარდებს, რომლებიც კლიენტს დალომბარდებული ავტომანქანით მოძრაობის ნებართვას აძლევენ, ხშირად იგი საძებარი უხდებოდათ. პოლიციის თუ მიმართეს, ამოღების პროცედურა ჭიანურდება. ამიტომ „ამომღებ ფირმებთან“ გარიგებას არჩევდნენ, რომლებიც კეზერაშვილის საახლობლო წრეს, ე.წ. ზონდერბრიგადას ეკუთვნით და ძვირადღირებული ავტომანქანების ამოღებით არიან დაკავებული. ავტოლომბარდის მფლობელებს მათი მომსახურება 400 აშშ დოლარი უჯდებათ. გარდა ავტოლომბარდებისა ისინი თურმე ბანკებთანაც თანამშრომლობენ. აგვისტოს ომის შემდეგ, რასაც ეკონომიკური კრიზისიც დაემატა და ხალხს კრედიტების დაფარვა ძალზე გაუჭირდა, კეზერაშვილის ამ ბიზნესზე მოთხოვნა გაიზარდა.

ბანკები ამ ფირმებს უთანხმდებოდნენ, რომ „შავ სიაში“ მყოფი კლიენტებისგან ამოღებული თანხის ნაწილი, ძირი ფული და პროცენტი, რომელიც ბანკს ჩვეულებრივი გადახდის დროს უნდა მიეღო, მათთვის მიეტანათ, ხოლო ჯარიმა და ის საურავი, რომელიც ყოველ დაგვიანებულ დღეზე ერიცხებოდათ კლიენტებს, ეს კი საკმაოდ სერიოზული თანხაა, ყველაზე მიზერის შემთხვევაში მთლიანი თანხის 0,5% თითოეულ დღეზე, თავისთვის დაეტოვებინათ. შესაბამისად ეს ფირმები ურჩ კლიენტებს თვითონ უწესებდნენ რა თანხა უნდა მიეტანათ. სადაც სიტყვა არ ჭრიდა, იქ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც არ ერიდებოდნენ.

ერთი ასეთი ფირმა მეტრო „ისანთან“ ყოფილა, რომელიც კეზერაშვილის ახლობლებს, ვინმე ლობჟანიძესა და ჩიჩუას ჰქონიათ დაფუძნებული. მათი ხელით ხდებოდა ავტომანქანების წართმევა, ბინების დაყადაღება და გაყიდვა, სახლიდან ტექნიკის, ძვირფასეულობისა და ნახატების გატანა, რისი იურიდიული უფლებაც მათ არ ჰქონდათ, მაგრამ „დამტერორებლებს“ ვერვინ შეეხებოდა, რადგან კეზერაშვილი აფარებდა ხელს.





ახლა რაც შეეხება სარეკლამო ბიზნესს, რომელშიც დავით კეზერაშვილს სრული მონოპოლია აქვს. საკმაოდ დიდი ხანია არსებობს სარეკლამო ბაზარზე კომპანია „აუთდორ.ჯი“, რომელიც დღემდე კეზერაშვილის კუთვნილებაა. სწორედ ამიტომ იყო რადიკალურ ოპოზიციას საგზაო მონაკვეთებზე არსებულ სარეკლამო დაფებზე თავიანთი სარეკლამო ბანერების განთავსების საშუალება რომ არ ჰქონდათ. „აუთდორ.ჯის“ ჰყავს შვილობილი პატარ-პატარა სარეკლამო კომპანიები და როდესაც შეკვეთებს თავად ვერ აუდის, მათ გადასცემდა.

**ლევან კოჭლოშვილი:** „რამდენი ფირმაც არ უნდა შექმნან ოფშორულ ზონაში და როგორც არ უნდა დაიმალოს კეზერაშვილი, პირდაპირ ვადებ ხელს, რომ ის არის ამ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი. ვისზე და როგორ აქვს ეს პროცენტები გაფორმებული ნაკლებად საინტერესოა, რადგან სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ რომ ქართული სარეკლამო ბიზნესის 99%-ს ის აკონტროლებს. რამდენიმე დღის წინ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ დახაზა ის სქემები ვინ და როგორ აკონტროლებს ამ ბიზნესს. იქ დასახელდა საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი პირები, რომლებიც მცირე წილებს ფლობენ, ზოგს ოფშორულ ზონაში აქვს რაღაც დაფუძნებული და ა.შ. მათ შორის დასახელდა საზოგადოებისთვის დღემდე ამოუცნობი ფიგურა ჯოზეფ ქეი, რომელსაც ტელეკომპანია „იმედის“ რეფორმირებასა და სამთავრობო ტელევიზიად გადაკეთებაში დიდი როლი აქვს შესრულებული.

ვიღაცას შეიძლება სარეკლამო ბიზნესი უბრალო ბიზნესად მოეჩვენოს, მაგრამ ასე არ არის. აქ ძალზე სერიოზული შემოსავლებია, წელიწადში 40 მილიონ დოლარზე მეტი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ ბაზარზე მონოპოლისტი დავით კეზერაშვილი გახლავთ, წარმოიდგინეთ ყოველწლიურად რა მოგებას ნახულობს. სამაგიეროდ ის პატარა ფირმები, რომლებიც ამ ბიზნესით იყო დაკავებული და ოჯახს არჩენდა ყველა დაიხურა და შემოსავლის გარეშე დარჩა.

როგორც გითხარით ამ ბიზნესშია „აუთდორ.ჯის“ პატარა შვილობილი სარეკლამო ფირმები. ერთ-ერთი ასეთია „მოდერნ გრაფიკი“ და რატომღაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მათზე არაფერი აქვს ნნათქვამი ამ ინტერვიუს მერე თუ არ ჩაფუშეს ეს პროექტი მალე ქართულ სარეკლამო ბაზარზე „აუთდორ.ჯის“ სახეცვლილი ახალი სარეკლამო ბრენდი გამოჩნდება „მოდერნ გრაფიკის“ სახელით.

დარწმუნებული ვარ ეს ფირმა კეზერაშვილისაა, რადგან მთლიანად მისი გაფორმებულია „გალფის“ ბენზინგასამართი სადგურები, რომელთა მფლობელობაც კეზერაშვილმა თავადვე აღიარა. როგორ შეიძლება ადამიანს საკუთარი სარეკლამო კომპანია ჰქონდეს და სხვას აკეთებინებდეს ბენზინგასამართი სადგურების დიზაინსა და რეკლამას. „მოდერნ-გრაფიკი“ სულ ახლახანს გამოჩნდა სარეკლამო ბაზარზე, მისი გაპიარება არ ხდება, რაც თავისთავად საეჭვო გარემოებას ქმნის. ძალზე მალე ეს ფირმა სერიოზული სახით წარსდგება სარეკლამო ბაზარზე“.

დავით კეზერაშვილი იმ ბიზნესებს, სადაც ოფიციალურად თვითონ არ ჩანს, საახლობლო წრის მეშვეობით აკონტროლებს. სარეკლამო ბიზნესს ირაკლი ჩიქოვანი კურირებს, რომელიც კეზერაშვილის ცოლისძმაა. თბილისის მერიამ სულ ახლახანს მიიღო გადაწყვეტილება, სარეკლამო დარგში თბილისი ორ ნაწილად გაყოფის შესახებ. ერთ სანაპიროზე სარეკლამო მონოპოლია „აუთდორ.ჯიმ“ აიღო, ხოლო მეორეზე „მაგი-სტილმა“. ამ ორი კომპანიის მაკავშირებელია ირაკლი ჩიქოვანი და შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ „მაგი სტილიც“ მის დაქვემდებარებაშია, რომელიც საკმაოდ დიდი კომპანიაა.

კეზერაშვილის მეორე ცოლისძმა დიმიტრი ჩიქოვანი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული კომპანია „ლექსორ ქეფითალ ქორფის“ წარმომადგენელია საქართველოში, უფრო ზუსტად მისი ბიზნესმმართველი. კეზერაშვილის ახლო მეგობარი ალექსანდრე გოგოხია საქართველოს ლატარიის კომპანიაში ფიგურირებს. ბოლო ხანს საგაზეთო ჯიხურები სახელმწიფოს მფლობელობაში გადავიდა. ისინი „საქართველოს ფოსტამ“ იყიდა, რომელსაც ყოფილი ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი ხელმძღვანელობს. ბაინდურაშვილი კეზერაშვილისა და გიგი უგულავას უახლოესი წრის წარმომადგენელია და უგულავას დიდი მცდელობით დანიშნულა ამ პოსტზე. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საგაზეთო ჯიხურების ბიზნესი, სადაც რეკლამის გაკეთებაც თავისუფლადაა შესაძლებელი, ამ სამ პიროვნების კეზერაშვილი-უგულავა-ბაინდურაშვილის ხელშია. მითუმეტეს, როცა არ ვიცით სად და რა ვითარებაში გაქრნენ ის უცხოელი ინვესტორები, რომლებიც 4 მილიარდი დოლარის ჩადებას აპირებდნენ საქართველოს ლატარიის კომპანიაში.

ყველაზე საინტერესო მაინც ოპერის მეგობართა საბჭოს ჩამოყალიბება იყო, რომლის შემადგენლობაში დავით კეზერაშვილიც შედის. აქვეა გიგი უგულავაც. რა დანიშნულება აქვს ამ საბჭოს მგონი ვერავინ გაიგო. კეზერაშვილი, რომელიც არასდროს უნახავთ ოპერაში და ერთი საოპერო სპექტაკლის დამდგმელის ვინაობაც კი არ იცის, როგორ დავიჯეროთ, რომ ამ საბჭოში ოპერის და საერთოდ ხელოვნების სიყვარულმა მიიყვანა. ბიზნესმენის სახელით ცნობილ კეზერაშვილს ახლა მეცენატობაც მოუნდა. ავ ენებს თუ დავუჯერებთ, მთავარი მიზეზი მისი „შავი ფულის“ გათეთრებაა. ეს მიღებული პრაქტიკაა, როცა საეჭვო პირობებში ნაშოვნი ფულის პატრონები საზოგადოებაში კარგი იმიჯის დამკვიდრების მიზნით ქველმოქმედებას იწყებენ.

**მანანა სუხიშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `didi adamianebi saqarTveloSi..~

ქართველ მკითხველთა ფართო წრემ მცირე რამ თუ იცის ჩვენი პლანეტის იმ დიდ ადამიანებზე, რომლებიც საქართველოში ოდესმე ყოფილან. მათ შესახებ ცნობები გაბნეულია სხვადასხვა გამოცემებში და ხშირ შემთხვევაში ხელმისაწვდომიც კი არ არის. ამიტომ საკმაო ხანია საშურ საქმეს წარმოადგენს ამ ცნობათა თავმოყრა, სისტემაში მოყვანა და ისეთი წიგნის შექმნა, რომელიც დაინტერესებულ მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნებს სათანადოდ დააკმაყოფილებს. ამ ხარვეზის შევსების წარმატებული ცდაა ცნობილი ჟურნალისტისა და პუბლიცისტის, ჩინებული ქართველის – ბესიკ ფიფიას ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი /“დიდი ადამიანები საქართველოში: არგონავტებიდან მარადონამდე“/, რომელიც ავტორის მიერ მოძებნული მასალების,



მათ შორის საარქივო მონაცემების, შეჯერების საფუძველზეა დაწერილი.

მოყოლებული ძვ. წ. პირველი ათასწლეულიდან საქართველოს მრავალი გამოჩენილი ადამიანი სწვევია. ზოგ მათგანს კავკასიისადმი გაუნელებელი ინტერესი იზიდავდა, ზოგისთვის საქართველო მისიონერული, სამოხელეო თუ აგენტურული საქმიანობის სარბიელი იყო. მაგრამ მათ დიდ ნაწილს, თუნდაც




მტრული მიზნით ჩამობრძანებულს, ვინც ქართული ეთნიკური კულტურისა და ყოფის მოზაიკას გაცნობია, მას გულწრფელი სიყვარულით დამშვიდობებია. საქართველო მრავალთათვის სამარადჟამოდ გამხდარა სამოთხესთან გაიგივებული ზღაპრული ქვეყანა. ამ მხრივ ნიშანდობლივია წიგნის შესავალ ნაწილში გენიალური ამერიკელი მწერლის, ჯონ სტეინბეკის, საგზაო ნარკვევებიდან /“რუსული დღიური“/ ბესიკ ფიფიას მიერ მოხმობილი ერთი ციტატა: ,,...რუსების უმრავლესობას იმედი აქვს, რომ თუ ისინი მთელ ცხოვრებას პატიოსნად და ზნეობრივად გაატარებენ, გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდებიან არა სამოთხეში, არამედ საქართველოში“.

ბესიკ ფიფიას წიგნი გვაცნობს სხვადასხვა სფეროში /მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება, პოლიტიკა და სხვ./ მოღვაწე 50 განთქმული პიროვნების საქართველოსთან დაკავშირებული ბიოგრაფიის შტრიხებს. ამ ადამიანთაგან არაერთს /მარი ბროსე, უორდროპები, მიხაი ზიჩი და სხვ./ ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით. სწორედ ამიტომ მართებულად და მხარდასაჭერად მიმაჩნია წიგნის ავტორის შემდეგი მოსაზრება: ,,...კეთილშობილური იქნებოდა თბილისში ერთგვარი ექსპოზიციის მოწყობა, რომელიც მიეძღვნებოდა პლანეტის დიდ პერსონებს, რომლებიც რუსთაველის ქვეყანაში იმყოფებოდნენ და რომლებმაც ეს ქვეყანა შეიყვარეს; ამ ხალხის მიმართ მადლიერების გამოხატვის ნიშნად, რომ ქართველებს მისცეს შესაძლებლობა, შეეხედათ საკუთარი თავისთვის გარედან, სხვადასხვა საუკუნიდან და სხვადასხვა ქვეყნიდან“.

ბესიკ ფიფიას ნაშრომი დიდი ინტერესით იკითხება და ეჭვი არ მეპარება, რომ იგი მრავალი ქართული ოჯახის სამაგიდო წიგნი გახდება.

ორიოდ სიტყვა წიგნის ავტორზე.

ბესიკ ფიფია ქ. ზუგდიდში ფრიად პატივსაცემი და კოლორიტული პიროვნების – მამია ფიფიას ოჯახში 1960 წელს დაიბადა. წარმატებით დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი სტილისტიკისა და რედაქტირების სპეციალობით. მუშაობდა მოსკოვში გაზეთ ,,პრავდის“ სპეციალურ კორესპონდენტად, ,,ნეზავისიმაია გაზეტას“ საკუთარ კორესპონდენტად სანკტ-პეტერბურგში. 2006 წლიდან არის რუსეთის წამყვანი მულტიმედიური საინფორმაციო სააგენტოს – ,,რია–ნოვოსტის“ თბილისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. შესანიშნავ მეუღლესთან, ქალბატონ ნინოსთან ერთად სამშობლოს სამ შვილს უზრდის.

წიგნის გამოცემას და შობა–ახალწელიწადს ვულოცავ ბესიკ ფიფიას, რომელიც, დარწმუნებული ვარ, კვლავაც დაუღალავად იღვაწებს როგორც პროფესიულ სივრცეში, ისე ჩვენი სამშობლოსათვის სასიკეთო სარბიელზე.

**ნუგზარ ანთელავა**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

# `2012 wels biZina ivaniSvils eyoleba sul sxva garemo, sxva adamianebiT dakompleqtebuli partia~

***ვესაუბრებით ნათელმხილველს, ქალბატონ სილვა კაზარიანს***

**– ქალბატონო სილვა, ფართო საზოგადოებამ თქვენ გაგიცნოთ შოუ ,,ექსტრასენსთა ბრძოლის“ პირველი სეზონიდან, რომელშიც თქვენ მესამე ადგილი დაიკავეთ. ცნობილია, რომ ხილვებს ღრუბლების ფონზე ხედავთ. ეს თქვენი ინიციატივით ხდება თუ თავისით მოდის?**

– არის შემთხვევები, რომ შეკითხვებს ვსვამ, მითუმეტეს თუ ჩემთან ვინმეა მოსული. ხშირად პიროვნების სურათები მოაქვთ და ამ სურათებზე გამოსახული ადამიანის შესახებაც მოდის ინფორმაცია. თუმცა დავამატებ, რომ მომსვლელმაც უნდა იცოდეს, როგორ უნდა მივიდეს ნათელმხილველთან. ჯერ ერთი, ბევრ ხალხს ვერ ვიღებ, ვიღლები, მეორეც – ზოგი მოვა, ერთ-ორ სურათს კი არა, მთელ ალბომს მოიტანს. ვეუბნები – არ შეიძლება, მეც არ მომივა ინფორმაცია სწორად, შენი ვიზიტიც ტყუილად ჩაივლის. ერთმა გამოცდაც კი ჩამიტარა, მკვდარი ადამიანის სურათი მომიტანა. საშინლად ცუდად ვიგრძენი თავი, გვამს ვხედავ-მეთქი და გავაბრუნე უკან.

ხშირ შემთხვევებში ხილვები თავისით მოდის. თითქოს მეძახიან, ღრუბლებში ვხედავ.

– ალბათ პოლიტიკური პროგნოზებიც გექნებათ. როგორ წარიმართება მოვლენები ახლო მომავალში?

– რადგან ახლა ფართო საზოგადოებისთვის აქტუალურია ბიძინა ივანიშვილის თემა, მეც გეტყვით მის შესახებ. კარგად მოგეხსენებათ, ვინ ჰყავს ახლა გარშემო ივანიშვილს, რა გუნდია, მაგრამ იგი ახლა მათთან თითქოს უფრო მეგობრობს, ვიდრე საქმიანობს. ეს გუნდი მასთან დროებითაა. გაგიკვირდებათ და ეს პოლიტიკური მოვლენები ხილვით ვნახე. ვხედავ მას ცენტრში – როგორც მთავარს, ხელმძღვანელს, ხალხს აგროვებს თავის გარშემო, მერე გადის დრო და უშვებს. უშვებს სიტყვებით: თქვენ არ ხართ ისინი, ვინც მე მჭირდება.

– ანუ რა გამოდის, ჯერ აკვირდება მათ?

– დიახ. მომავალ 2012 წელს მას ეყოლება სულ სხვა გარემო, სხვა ადამიანებით დაკომპლექტებული პარტია. არ ვამბობ, ჯგუფი ან ორგანიზაცია, სახელდობრ, – პარტია.

– ესე იგი, შეიცვლის გარემოს?

– ივანიშვილი მოქმედებს აუჩქარებლად, გარშემო ხალხს იკრებს; კარგად მოგეხსენებათ ამ ხალხის უმეტესობას პირველ რიგში, ფული აინტერესებს. მაგრამ მარტო ფულში არ არის ბედნიერება და წარმატება და ეს ბიძინა ივანიშვილს კარგად მოეხსენება. არ არის ისეთი გულუბრყვილო, ეს არ იცოდეს. კარგად იცის, რას აკეთებს. თუ ნახავს, რომ ესა თუ ის პიროვნება მხოლოდ ფულისა და გამორჩენის მიზნით არის მის გვერდით, ჩამოიშორებს.

კიდევ დავამატებ, რომ გაცილებით უფრო ეშმაკი და დაკვირვებულია, ვიდრე ბადრი პატარკაციშვილი. აქვს ასეთი თვისება: ზის ადამიანთან ერთად, ესაუბრება, აკვირდება, უსმენს, მაგრამ ხმამაღლა არ აფიქსირებს აზრს მის შესახებ. ჩუმად, თავის გონებაში უკეთებს ამ ადამიანის ბუნების ანალიზს. სხვადასხვა კუთხით აკვირდება ყველას. ეს ადამიანი მშვიდად მიდის თავისი მიზნისკენ, არ ჩქარობს.



და კიდევ... მას ხომ ბიჭი ჰყავს. ხილვამ მიჩვენა, რომ ის, რომელიც საფრანგეთშია, იქნება მამამისის საქმის გამგრძელებელი მომავალში. ასეთი ინფორმაცია მივიღე.

– ანუ ალბათ პოლიტიკური კუთხით გაგრძელებს მის საქმეს?

– კი, პოლიტიკური. არ ვიცი, ახლა ის ბიჭი რას საქმიანობს, მაგრამ მომავალში თავის თავს სხვანაირად წარმოაჩენს.

– საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს ივანიშვილი მონაწილეობას?

– 2012-ში იღებს მონაწილეობას.

– ვიმეორებ, შეარჩევს ხალხს, საბოლოოდ პარტიას 2012 წელში ჩამოაყალიბებს, ოღონდ რომელ თვეში, ზუსტად ვერ გეტყვით. ვერც იმას გეტყვით ჯერ, ვინ იქნება პრეზიდენტი მომავალში – ივანიშვილი, სააკაშვილი თუ ვინმე სხვა. რომ გითხრათ, რომ ვინმეს ვხედავ ამ პოსტზე, ტყუილი იქნება. ერთი ის ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილი კიდევ ბევრ მნიშვნელოვან საქმეს გააკეთებს ქვეყნისთვის.

– სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ჩანს ახლო მომავალში?

– ხილვაში წამოტივტივდა ბაგრატიონების გვარი. ვიცი, რომ სამეფო ტახტის აღდგენაზე იყო ლაპარაკი. ვხედავ, რომ ეს გვარი აქტიურდება და ჩანს დაპირისპირება მათსა და ხელისუფლებას შორის. რატომ და როგორ – ვერ დავკონკრეტდები, მაგრამ ვხედავ, რომ რაღაც სერიოზული ხდება ბაგრატიონების დინასტიისგან გამომდინარე.

– ქალბატონო სილვა, ვიცი, რომ თქვენ ძალიან გიყვართ ბუნება, აკვირდებით მას. ბუნებრივი კატაკლიზმები ხომ არაა მოსალოდნელი?

– ისეთ საშინელ კატაკლიზმებს, როგორიც წელს იაპონიაში იყო, ვერსად ვხედავ. იქნება აქა-იქ, მაგრამ გაცილებით ნაკლები მასშტაბის. განსაკუთრებით ეს მოსალოდნელია ამერიკის კონტინენტზე. ძალიან ცოდვილი ქვეყანაა ამერიკა და ყველაფერი ნელ-ნელა უკან უბრუნდებათ. უნდა გვიყვარდეს ბუნება, თორემ ის ცუდად გვიპასუხებს ჩვენს გულგრილობაზე, მზე ნათელი სულია, რომელიც გვაცოცხლებს, ასევეა ბუნება დედამიწაზე. უნდა გავუფრთხილდეთ მას და ისიც გაგვიფრთხილდება.

**თამუნა ქადაგიძე**

## სახალხო დამცველმა ხვედელიძის მოქალაქეობის საკითხზე პრეზიდენტს 18 ნოემბერს მიმართა




**სახალხო დამცველმა პრეზიდენტს ,,საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ“ №602 ბრძანებულების იმ ნაწილის, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მეუღლისთვის, ეკატერინა ხვედელიძისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტას ეხებოდა, გაუქმების რეკომენდაციით 18 ნოემბერს მიმართა. ამის შესახებ სახალხო დამცველის განცხადებაშია აღნიშნული.**

**განცხადების მიხედვით, სახალხო დამცველმა შეგნებულად შეიკავა თავი რეკომენდაციის გასაჯაროებისგან, რადგან საქმეზე მიმდინარეობდა სასამართლო განხილვა, ხოლო იმის გამო, რომ სასამართლო განხილვა დასრულებულია, ,,საზოგადოებას ვაწვდით ინფორმაციას ჩვენს მიერ პრეზიდენტისადმი გაგზავნილი რეკომენდაციის შესახებ და გამოვთქვამთ იმედს, რომ პრეზიდენტი აღარ გაასაჩივრებს საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ეკატერინე ხვედელიძესთან მიმართებაში“.**

**,,მედიანიუსი“**



# rogor unda SevxvdeT drakonis weliwads?

***გვესაუბრება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ჰომეოპათიის აკადემიის პრეზიდენტი, ევროკავშირის ექსპერტი თინათინ თოფურია, რომელმაც ხუმრობით „ახალი წლის ექსპერტის“ წოდება დაიმკვიდრა. სხვადასხვა ქვეყნის მედიცინასთან ერთად, მან მათი ფსიქოლოგია, კულტურა, ტრადიციები და სიმბოლოები შეისწავლა.***

**—ქალბატონო თინა, რას მოგვიტანს ერთი შეხედვით სასტიკი და თავზარდამცემი ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული? ასტროლოგების პროგნოზები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან.**

— ზოდიაქოს 12 ნიშანს შორის ურჩხული ერთადერთი მისტიური წარმომადგენელია. ამიტომაც მის გარშემო დიდი აზრთა სხვადასხვაობაა, არ წყდება კამათი მისი ხასიათის, ზნე-ჩვეულებებისა და გემოვნების შესახებ. ევროპელები მას ხშირად ბოროტებისა და აგრესიის მატარებლად მოიაზრებენ, ხოლო აღმოსავლეთში პატივს სცემენ. ზოგ ქვეყანაში ის ღირსებისა და სამართლიანობის ეტალონად ჰყავთ მიღებული. ყველაზე კარგად ამ სიმბოლოს ამომავალი მზის ქვეყანაში, ჩინეთში და ტიბეტში იცნობენ.

**— რა უნდა ვიცოდეთ დრაკონის შესახებ?**

— როგორც ჩინელი დრაკონოლოგები ირწმუნებიან, მათი 4 სახეობა არსებობს 1 — ტალნუნი — ცის ბინადარი ღმერთების მსახური, მათ ეტლით დაასეირნებს. 2 — ფუცანგუნი — მიწისქვეშეთის ბინადარი — ძვირფასი ქვებისა და ლითონების მცველი. 3 — დილუნი — მდინარისა და ზღვის ბინადარი და მათი მმართველი. 4. ინლუნი — ღვთაებრივი დრაკონი წვიმის, ქარის, ჭექა-ქუხილის მმართველი. ჩინეთში იგი ერის სიმბოლოა. ურჩხული ოდითგანვე იმპერატორის ძალაუფლებას განასახიერებდა. მისი გამოსახულების ტარება მდაბიოსთვის კანონით იკრძალებოდა და სიკვდილით ისჯებოდა. იაპონელებისთვის იგი ღირსების სიმბოლოა.

**— როგორ ფერებში უნდა შევხვდეთ დრაკონის წელს?**

— რა ფერი უნდა სჭარბობდეს საახალწლო ჩაცმულობაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გინდათ ამ წელიწადში მიიღოთ: ვისაც გავლენის ან ძალაუფლების მიღება სურს, მწვანე ფერის სამოსი უნდა ჩაიცვას და ნარინჯისფერი აქსესუარები შეურიოს. ის, ვინც გულისსწორის პოვნაზე ოცნებობს მწვანისა და წითლის კომბინაციაში უნდა გამოეწყოს, თუ ეს მის გემოვნებაში არ ჯდება, შეუძლია იისფერ სამოსზე შეაჩეროს არჩევანი. ის, ვინც სამსახურეობრივ წარმატებასა და კარიერაზეა ორიენტირებული — შავისა და ყვითლის კომბინაცია უნდა შეარჩიოს. სასურველია ნარინჯისფერი აქსესუარების დამატებაც. ვისთვისაც სულიერი სიმშვიდე და შინაგანი ჰარმონიაა მთავარი, შეუძლიათ ცისფერ, ლურჯ ან მწვანე ფერებში დახვდნენ დრაკონს. ხოლო ვისთვისაც ფულია პრიორიტეტული — ჩაიცვით შავი უხვად გაწყობილი ოქროსფერით, გაიკეთეთ რაც შეიძლება მეტი ბრჭყვიალა სამკაული.



**— ვფიქრობ, ასეთი რჩევის მერე საახალწლო ფერები შავი და ყვითელი იქნება.**

— არ არის გამორიცხული. რა ფერიც არ უნდა აირჩიოთ, სასურველია ჩაცმულობა ექსტრავაგანტული იყოს. იგივე ეხება მაკიაჟსა და ვარცხნილობას. აქვე ერთი რჩევა — მოერიდეთ ბიჟუტერიას! ურჩხულს ძალიან უყვარს ძვირფასი ქვები და ლითონები, განსაკუთრებით ბრილიანტი არ ეცადოთ მის მოტყუებას შუშების ბრჭყვიალით, ასე შეიძლება მისი რისხვა გამოიწვიოთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ სწორედ ის არის ყველა ამ სიმდიდრის დარაჯი და საიუველირო საქმეში შესანიშნავად ერკვევა.

**— როგორ უნდა შევხვდეთ ახალ წელს?**

— რაც შეიძლება აქტიურად. ახალ წელს ღამე დინამიურად, მხიარულად, აჟიტირებულადაც კი გაატარეთ. სხვა წლებისგან განსხვავებით ნებისმიერი სტილის მუსიკა მისაღებია — კლასიკურიდან რეპამდე, რადგან დრაკონს ყველა ტიპის გემოვნება აქვს. ვისაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, უნიკალური შანსი ეძლევა ერთხელ და სამუდამოდ დაემშვიდობოს მათ. ამისთვის მხრებზე მოსასხამი მოიხურეთ და როცა საათი 12-ს დაჰკრავს, უმალ გადაагეთ და წარმოთქვით: „გატან ყველა ჩემს ავადმყოფობას!“ ეს წელი განკურნების წელი იქნება. სასურველია დაივიწყოთ სიზარმაცე, მავნე ჩვევები, გაწყვიტოთ არასასურველი კონტაქტები და ახალი ცხოვრება დაიწყოთ. წელს შეძლებთ დაუძლეველი სენიც კი დასძლიოთ. სურვილი დაწერეთ ფურცელზე, მეორე დღეს რადგან წყლის დრაკონის წელია იგი გამდინარე წყალს გაატანეთ (მდინარეს).

**— როგორ მოვრთოთ სახლი საახალწლოდ?**

— რაც შეიძლება პომპეზურად. ურჩხულს სიმდიდრე და მრავალფეროვნება უყვარს. სხვადასხვა კუთხეებში მისი გამოსახულებები დადგით. გვერდით წყლით სავსე გამჭვირვალე ჭურჭელი მიუდგით. საახალწლო ინტერიერის აუცილებელი ატრიბუტი ზღვის ვარსკვლავი და ნიჟარებია. შეგვიძლია გავაკეთოთ თილისმა, რომელიც ურჩხულის კეთილგანწყობის მოპოვებაში დაგვეხმარება. ზღვის ნიჟარა ჩავაგდოთ წყლიან გამჭვირვალე შუშის ჭურჭელში, დავდგათ ნაძვის ხის ქვეშ, დავტოვოთ დილამდე, შემდეგ ამოვიღოთ და მთელი წლის მანძილზე თან ვატაროთ. 23 იანვარს, როცა აღმოსავლური კალენდრის მიხედვით ურჩხული მობრძანდება, ნიჟარა ამოვიღოთ, ჩავდოთ ისეთივე წყლიან ჭურჭელში და ფანჯარასთან მთვარის შუქზე დავდგათ, დავტოვოთ გათენებამდე. თილისმა მზად არის.

**— რა ფერის დრაკონი უნდა შევიძინოთ?**

— სხვადასხვა ჯიშის დრაკონები განსხვავებული ფერებისაა. რქებიანი, ფხიანი და ფრთიანი ურჩხულები ლურჯი ფერისაა. ურქებო უფრო ხშირად წითელი, მწვანე ან თეთრი, მაგრამ შეიძლება ყვითელი ან შავიც იყოს. არსებობს კიდევ, განსაკუთრებული წვერებიანი ურჩხული, რომელსაც ფრთები არ აქვს, სამაგიეროდ ზურგზე 81 ფხა ჰქონია, იგი მოშავო-მონაცრისფროა. აირჩიეთ თქვენი გემოვნებით.

**— როგორი უნდა იყოს წელს საახალწლო სუფრა?**

— უნდა ჭარბობდეს ოქროსფერი, ნარინჯისფერი, შავი, თეთრი, ცოტ-ცოტა მწვანე, ცისფერი, წითელი და ვერცხლისფერი. სუფრაზე დააწყვეთ ოქროსფერი დანა-ჩანგალი, კოვზები, ბროლის ლარნაკები. სუფრის ცენტრში დადეთ წყლიან ლარნაკში ნიჟარა ან ზღვის ვარსკვლავი. გარშემო 5 სხვადასხვა ფერის — ლურჯი, ყვითელი, ოქროსფერი, მწვანე და წითელი სანთელი შემოუწყვეთ.

**— რაიმე განსხვავებული კერძი თუ უნდა ამშვენებდეს სუფრას?**

— დრაკონის გასტრონომიული მიდრეკილებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება რთულია, რადგან არავის არასოდეს უნახავს დრაკონის ტრაპეზობა. ამიტომ ასტროლოგები ზოგადად გვირჩევენ სუფრაზე ზღვის პროდუქტები სჭარბობდეს. მე კონფიდენციალური ინფორმაცია მოვიპოვე, თურმე დრაკონი გურმანი ყოფილა და მისი დღეგრძელობის საიდუმლო (800-1000 წელი) სწორედ აქ იმალება.

**— რაში მდგომარეობს ეს საიდუმლო?**

— სწორ კვებაში. მას უყვარს თევზეული. თქვენ წარმოიდგინეთ კვახიც, მაგრამ საოცარი სხვაა, ის უხვად იღებს სანელებლებს — მიხაკს, დარიჩინს, ზაფრანას, განსაკუთრებით რეჰანი ჰყვარებია. ეს ყოველივე ძლიერი სტიმულატორებია, ამიტომ გასაგები ხდება საიდან იღებს ურჩხული ძალას. ენერგიის კიდევ ერთი წყაროა წყალი. მან კარგად იცის სუფთა წყლის ფასი. სხვადასხვა ქვეყნის ეპოსში დასტურდება — ურჩხული ზის წყაროსთან და საგულდაგულოდ იცავს მას ადამიანებისგან. თუ გვინდა ურჩხულს პატივი ვცეთ, სუფრაზე ტრადიციული საახალწლო კერძი, საცივი უნდა გვქონდეს. სასურველია, სუფრა რეჰანმოყრილი კიტრისა და პამიდვრის სალათით დავამშვენოთ. ასევე წვნიანითაც — თევზის ან მიდების სუფი. ამ წლის შეხვედრისას სპირტიან სასმელებს ერიდეთ, ურჩხულს მათი ეშინია. თურმე ურჩხულის განგმირვა ადვილია თუ ჭაჭით დაათრობთ. ამიტომ, სჯობს სუფრაზე წითელი ღვინო და ტკბილი კოქტეილები დაახვედროთ.

**— როგორი იქნება ეს წელი პოლიტიკურად?**

— პოლიტიკურად და ეკოლოგიურად საკმაოდ დაძაბული, მრავალფეროვანი და საინტერესო წელი დგება. ისეთ სიურპრიზებს უნდა ველოდოთ, რომელიც ყველას გააოცებს. წელს მოულოდნელად ცხოვრების შეცვლის შანსი მოგვეცემა. ძლიერი, მებრძოლი, ენერგიული, აქტიური, თავმოყვარე და ღირსებით სავსე ურჩხული ყველას მფარველობს, ვინც ამ თვისებებით გამოირჩევა. იგი ხელს შეუწყობს ნოვატორული იდეების, რისკიანი და მასშტაბური პროექტების რეალიზებას. კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია, ურჩხული ქალწულების ცნობილი მოყვარულია. მისი ძალისხმევით „ქალიშვილობის ინსტიტუტი“ კვლავ დაფასდება და ბევრ რომანტიულ გოგონას მისი ოცნების რაინდი მოაკითხავს. საგრძნობლად გაიზრდება მამაკაცების აქტიურობა, იმატებს ქორწინებათა რიცხვი. ფუფუნებისა და კომფორტის მოყვარული ურჩხული ხელს შეუწყობს მატერიალური კეთილდღეობის ზრდას, გამდიდრების შანსი ყველას ეძლევა. ამ მხრივ, ეს წელი საოცრად წარმატებული იქნება. ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ, ტიბეტელმა მასწავლებელმა ჯადოსნური სიტყვები გამიმხილა, რომელიც თურმე მაშინ უნდა წარმოთქვა, როცა ცაში მფრინავ დრაკონს დაინახავ.

**— მფრინავი დრაკონი სად უნდა ვნახოთ?**

— ხშირად უნდა იყუროთ ცაში და სასწაულის გჯეროდეთ. ეს იშვიათი მოვლენაა, ტიბეტში მფრინავი დრაკონი ბოლოს 1993 წელს ნახეს გონჯას მთის გახსნის დროს. დრაკონის კვერცხის გამოჩეკას 1000 წელი სჭირდება, რაც ამ ათასწლეულში ჯერ არ მომხდარა. დრაკონის წელია და სწორედ წელს შეიძლება გამოიჩეკონ და, პირველ რიგში სუფთა წყლის ძებნას დაიწყებენ და ჩვენსკენ გამოფრინდებიან. აბა, სხვა რომელ ქვეყანაშია ამდენი სუფთა წყარო? რადგან ურჩხულის ენა არ გვესმის, იმ სიტყვებით მივმართოთ, რასაც ტიბეტელები იყენებენ: „სემ ჩე ტამ ჩე ლა გა მო სოდ მო იონგე!“

**თამარ შველიძე**


იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი


## „თავისუფალი საქართველო“ ალექსანდრე ანქვაბის ინიციატივას მიესალმება



„თავისუფალი საქართველო“ ლიდერის კახა კუკავას ინფორმაციით, ალექსანდრე ანქვაბმა გამოთქვა მზადყოფნა აფხაზეთიდან, დანარჩენი საქართველოს გავლით, სომხეთის მიმართულებით სარკინიგზო ტრანზიტის გახსნაზე.

„თავისუფალი საქართველო“ მიესალმება ალექსანდრე ანქვაბის ინიციატივას. ვთვლით, რომ აღნიშნული დადებითად აისახება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკითხზე.ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება ალექსანდრე ანქვაბის განცხადებაზე და დაიწყოს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ამ ინიციატივის განსახორციელებლად. ხელისუფლებისგან იგნორირების შემთხვევაში, „თავისუფალი საქართველო“ გამოთქვამს სრულ მზადყოფნას, თავად დაიწყოს ბატონ ანქვაბთან ტრანზიტის განხსნის ინიციატივაზე მოლაპარაკების პროცესი, როგორც ეს მოხდა რუსული ემბარგოს მოხსნის საკითხზე“, — აცხადებს კუკავა.

„მედიანიუსი“



# ratom iyo Tamar mefis gulsakidi jvari qvebiT gawyobili?!

არცერთ ერს ხატები ბიბლიური და არაბიბლიური პატიოსანი ქვებით ისე ხშირად არ შეუმკია, როგორც ქართველებს. ხახულის ხატზე ქვები გაშავებულა კიდეც. ამის მიზეზად მლოცველებისგან წამოსული ენერგეტიკა სახელდება. ხატმა მლოცველი ადამიანები უარყოფითი ზეგავლენისგან დაიცვა. საქართველოში მოიპოვება ბიბლიური ქვები: ქალცედონი, აქატი, ამეთვისტო, სარდიონი, იასპი. საინტერესოა მთის ბროლიც, რომელიც, მართალია, ბიბლიური არ არის, მაგრამ გენეტიკურად ქართული ქვაა, არაჩვეულებრივ გავლენას ახდენს ადამიანზე და კოსმიური ენერგიის დაუნჯებით ბუნებასა და ადამიანს შორის პირველქმნილ ჰარმონიას აღადგენს.

დღევანდელი საზოგადოება უარყოფითი ენერგეტიკითაა დამუხტული, ამის მიზეზი ხელოვნური სამკაულებიცაა. ამიტომაც იკრძალება სხვისი ნაქონი ქვის ტარება, თუ იგი ნაკურთხ წყალში არაა გაწმენდილი. როგორც წესი, ქვა მფლობელის ბიოველზე ეწყობა, მისი უარყოფითი ენერგია გამოაქვს და თავად იტვირთება, ამიტომ, თუ მას სხვა გაიკეთებს, უარყოფითი ენერგიაც გადაეცემა.

გეოლოგ ზაურ ქოქრაშვილის თქმით, ბუნებრივი, პატიოსანი ქვა ადამიანს ავი თვალისგან ან უარყოფოთი ენერგიისგან იცავს, შთანთქავს მას და იცვლის ფერს. „უხსოვარი დროიდან ცნობილია, რომ მარგალიტი ხმარების შემდეგ ზოგჯერ ფერს იცვლის და კვდება. დაკვირვებამ დაგვანახა, რომ არა მარტო მარგალიტი და ფირუზი, არამედ სამკურნალო თვისებების მქონე ყველა პატიოსანი ქვა ადამიანებთან გარკვეული დროით კონტაქტის შემდეგ ზოგჯერ იბინდება და შავდება. მათ აღარ აქვთ ენერგეტიკა და უმეტესად უარყოფით ენერგიასაც იღებენ. ამიტომაა, რომ სპეციალური შემოწმების გარეშე (ქანქარის მოძრაობით მოწმდება ქვის ბიოველი) სხვისი ნაქონი ქვის ტარება არ შეიძლება, რათა მისი ბიოენერგეტიკა სხვა ადამიანზეც არ გადავიდეს. არც ფერშეცვლილი, უარყოფითი ენერგეტიკის მქონე პატიოსანი ქვების ტარებაა დასაშვები. ხშირად მაღაზიებში იყიდება საყურეები და ბეჭდები მკვდარი ფირუზებით, მალაქიტებით, სარდიონებით. ბუნებრივ, პატიოსან ქვებს მოვლა და სისუფთავე სჭირდება, ამიტომ ბანაობის დროს მის მოხსნას არ ვურჩევ მფლობელს. გარდა ამისა, თვეში 2-3-ჯერ ჩაის ჭიქა თბილ წყალში უნდა გაიხსნას ჩაის კოვზი მარილი და ქვა ჯაგრისით გაირეცხოს, შემდეგ გამდინარე წყალი გადავავლოთ და მზეზე 1-2 საათით დაიდოს. ამით ქვა დადებითი ენერგეტიკით დაიმუხტება“.

ძველად თურმე სწორედ მარილწყლით წმენდნენ მინერალებს. ისევე, როგორც ადამიანის ცრემლიც მარილიანია და ისიც წმენდს ადამიანს. საერთოდ, პატიოსანი ქვის დადებითი ენერგეტიკა ადვილად ბინძურდება. არ შეიძლება, ასეთი ქვა ჯიბეში ფულთან ერთად ვატაროთ, რადგან ხელიდან ხელში გადასულ ფულს უარყოფითი ენერგია აქვს. მასთან ერთად მოხვედრილი ქვა კი ცდილობს, აჯობოს მას და დაჯაბნოს მისი ურყოფითი ენერგეტიკა. ამიტომ იხარჯება და ჭუჭყიანდება.

მართლმადიდებლებისთვის ჯვარს ადამიანის მფარველი ძალა გააჩნია. თუმცა საინტერესოა, ჯვართან ერთად დამატებით დასაშვებია თუ არა ქვის ტარება?! ამის შესახებ ზაურ ქოქრაშვილს თამარ მეფის ჯვრის ისტორია ახსენდება:

„ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, რომ ბუნებრივი, პატიოსანი და ბიბლიური ქვები ჯვართან ერთად დადებითად მოქმედებდა ადამიანზე. ამის დამადასტურებელია თამარ მეფის გულსაკიდი ოქროს ჯვარი. მისი ოთხი ზურმუხტი, ხუთი იაგუნდი და ექვსი მარგალიტი, როგორც ბიბლიური ქვები, არაჩვეულებრივ დადებით ენერგეტიკულ ველს ფლობდა, სამკურნალო თვისებებით გამოირჩეოდა და თამარის ჯვრის ენერგეტიკას აძლიერებდა. სამწუხაროდ, დღეს ხელოვნური მასალისგან (ე.წ. გიშრის, მთვარის ქვისა და სხვა ქვათა იმიტაციები) დამზადებული ჯვრები იყიდება. რომ არაფერი ვთქვათ ხახულისა და სხვა ხატებზე, მარტვილის მე-10-საუკუნის ღვთისმშობლის ჭედურ ოქროს ხატზე 29 სხვადასხვა პატიოსანი ქვის გარდა, 11 დიდი და 38 პატარა ზომის მარგალიტია განთავსებული. ესეც ადასტურებს, რომ ღვთისმშობლის ხატის სასწაულთმოქმედ ენერგეტიკას ეს მოოჭვილი, პატიოსანი ქვებიც აძლიერებდნენ. ჩემს მიერ მოძიებული ფაქტობრივი მასალა უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს პირადი შეხვედრის დროს გავაცანი და პატრიარქიც დაინტერესდა“.

ამ სფეროთი დაინტერესებას ზაურ ქოქრაშვილი ბავშვობის წლებს უკავშირებს. 10-12 წლის იქნებოდა, როცა მეგობართან ერთად სვეტიცხოველს ათვალიერებდა. იქ არსებული საფლავის ქვებისთვის ფეხი რომ არ დაედგათ, მოზარდები საფლავებს ახტებოდნენ. ხტუნვაში გართულებმა ვერ შენიშნეს და დაეჯახნენ მაშინდელ კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს კალისტრატე ცინცაძეს. გაოგნებულნი მოელოდნენ დატუქსვას, მაგრამ მან დაუყვავა და მშვიდად უთხრა –დაადგით საფლავის ქვას, შვილებო, ფეხი, რათა ჩვენმა წინაპრებმა გაიგონ, რომ მათი შთამომავლობა ეკლესიაში დადის. ბავშვები უცებ გათამამდნენ და სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე მოხტული ქრისტეს 12 მოციქულისა და 12 ეტლის (ზოდიაქოს) რკალური ფორმის ფრესკული გამოსახულების შესახებ იკითხეს, ეს რა არისო?

„მაშინ გავიგე, რომ კირჩხიბის ეტლის ნიშნის ქვეშ ვიყავი დაბადებული და ჩემი მფარველი წმინდანი ბართლომე იყო. გარდა ამისა, ახალ აღთქმაში, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების 21-ე თავში, პირდაპირ წერია, რომ ზეციური იერუსალიმი 12 პატიოსანი ქვით იყო მოპირკეთებული. ქალაქის გალავნის საძირკვლები მოპირკეთებული იყო ყოველნაირი ძვირფასი ქვით. პირველი საძირკველი იყო იასპი და ასეთნაირად 12 პატიოსანი ქვა გახლდათ ჩამოთვლილი“, – აცხადებს გეოლოგი.

სხვათაშორის, უძველესი ქართული ასტროლოგიური კალენდრის მიხედვით, პატიოსან, ბიბლიურ ქვებს ზოდიაქოს 12 ეტლი შეესაბამება. ეს 12 ეტლი კი ქრისტეს 12 მოწაფის პარალელითაა მოცემული. ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შესაწყნარებლად რომ მიაჩნდა ასტროლოგია, ამას ისიც ადასტურებს, რომ მე-12 საუკუნის უნიკალური ასტროლოგიური ტრაქტატი – „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“ სასულიერო თხზულებების კრებულშია შესული. სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე კი დღემდეა შემორჩენილი მე-11-17 საუკუნეების ეტლთა და მოციქულთა რკალის ფრესკული გამოსახულება. აქ შესაბამისი თანმიმდევრობითაა განლაგებული 12 ეტლისა და 12 მოციქულის გამოსახულება. სავარაუდოდ, სვეტიცხველში მე-17 საუკუნეში ეს ასტროლიგიური რკალი იმიტომაც მოხატეს, რომ იგი ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში აგებულ ამ ტაძარში უკვე არსებობდა და, მოგვიანებით, დანგრეული კედლის აღდგენა ძველი ფრესკების კვალდაკვალ მოხდა.



ძველი ქართული ასტროლოგიური კალენდრით, ვერძის ეტლის ნიშნის ქვეშ დაბადებულთა მფარველი მოციქულია ფილიპე. მას იუველირთა ასოციაცია უსადაგებს წითელ იასპს. კუროს მფარველია მოციქული მათე (ყვითელი სარდიონი, ვარდისფერი კვარცი), ტყუპების მფარველია თომა მოციქული (ოქროსფერი ტოპაზი, ვეფხვის თვალი), კირჩხიბი – მოციქული ბართლომე (ქრიზოპრაზი), ლომი – იაკობი ზებედესი (მთის ბროლი, კვარცი), ქალწული – იოანე ღვთისმეტყველი (ტოპაზი, ყვითელი აქატი), სასწორი – პეტრე მოციქული (ნარინჯისფერი ან ბოლისფერი ტოპაზი), ღრიანკალი – პავლე მოციქული (წითელი სარდიონი), მშვილდოსანი – ანდრია პირველწოდებული (ქალცედონი), თხის რქა – იაკობ, ძმა უფლისა (ონიქსი და კატის თვალი), მერწყული – თადეოზი (ფირუზი), თევზები – სიმეონი (ამეთვისტოს ქვა). რაც შეეხება ბეჭდებს, სასურველია, ოქრო მარჯვენა ხელით ვატაროთ, ვერცხლი კი – მარცხენით, რადგან მარჯვენა ხელი მზის ენერგეტიკისაა, მარცხენა – მთვარის.

კომუნისტების დროს ქვის სამკურნალო თვისებებზე საუბარი სიგიჟედ ითვლებოდა. თუმცა დღეს გეოლოგები ამტკიცებენ, რომ ქვის დამუშავების მეთოდიკას, ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს. ხშირად ძვირფას ქვებს ან ხელოვნური ქვის ნატეხებს დოლური მეთოდით ამუშავებენ, ანუ დოლში (ბარაბანში) დიდი რაოდენობით ჩაყრიან და მექანიკურად ატრიალებენ. ამ დროს ქვის ნატეხები ერთმანეთს ეჯახება, მუშავდება და გლუვდება. ამ მეთოდით დამზადებული უსწორმასწორო, ბუნებრივი და ხელოვნური ქვები დიდი რაოდენობითაა შემოტანილი საქართველოში ინდოეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. შემოწმებისას ყველა მათგანი, გამონაკლისის გარდა, დარღვეული ენერგეტიკით ხასიათდებოდა. ამიტომ ისინი ვერც ავი თვალისგან იცავენ პატრონს და ვერც სამკურნლოდ გამოდგებიან. მაშინ, როცა ზღვის სანაპიროს კარგად დამრგვალებული ყველა პატიოსანი ქვა არაჩვეულებრივი ენერგეტიკის მქონეა. როგორც ჩანს, ზღვის მიმოქცევა, დოლისგან განსხვავებით, ქვის ენერგეტიკას არ აზიანებს.

964 წლით დათარიღებულ შატბერდის კრებულში ქვის ენერგეტიკაზე ბევრი რამ წერია, სარდიონის შესახებ კი ვკითხულობთ: „სარდიონ არის ქვაი თავადი, მბრწყინვალების გამომცემელი და ძალი კურნებისაი აქვს“. სწორედ სარდიონი იყო პირველი ქვა, რომელიც ძველი აღთქმის მიხედვით, პირველ მღვდელმთავარს – აარონს (მოსეს ძმას) სამკერდე მოსასხამზე ჰქონდა განლაგებული. მთლიანობაში მოსასხამზე 12 პატიოსანი ქვა იყო დატანებული სამ-სამად (ოთხ რიგად), რომლებზეც ამოტვიფრული გახლდათ მოსეს 12 ძის, ანუ ებრაელთა 12 შტოს სახელები. მე-15 საუკუნის ქართველი მოღვაწის, მეჭურჭლეთუხუცესის, ერისთავთ-ერისთავის, მეცნიერისა და მკურნალის, სამკურნალო წიგნის ავტორის, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „იადიგარ დაუდის“ მიხედვით კი, ქართველები პატიოსან ქვებს ლესავდნენ, წყალში ყრიდნენ, მერე იმას ან სვამდნენ, ან თვალში იწვეთებდნენ.

ბიბლიურ ქვებს (სარდიონი, ტოპაზი, ზურმუხტი, იაგუნდი საფირონი, იასპი, ქარვა აქატი, ამეთვისტო, ძოწეული (მარჯანი), ბივრილი, ონიქსი) გარდა, რომლებიც 10-15 დაავადებას კურნავენ, 30-მდე პატიოსან ქვასაც სამკურნალო თვისებები გააჩნია, მაგრამ ისინი შედარებით ცოტა, ოთხზე მეტ დაავადებას კურნავენ. ასეთებია ალმასი, აქვამარინი, გიშერი, ლალი, ლაზურიტი, მარგალიტი, მთვარის ქვა, მთის ბროლი, ფირუზი. მაგალითად, ალმასი ადამიანს იცავს ავი თვალისგან, სიბერის შენელებას უწყობს ხელს; გიშერი –ავი თვალისგან დამცველია, ეპილეფსიის, ფსიქიკური დავადებების დროს იყენებენ, ზურმუხტი –ავი თვალის, მეხსიერების გაუმჯობესება, ნერვული სისტემის მოწესრიგება; მთვარის ქვა – ავი თვალი, დეპრესია, ეპილეფსია, სმენის დაქვეითება და სხვა.

ზაურ ქოქრაშვილის თქმით, ზოდიაქოს 12 ეტლი ქვაშვეთშიც ყოფილა მოხატული.

„კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს ამის შესახებ წიგნში („ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის ისტორია“) აქვს მოთხრობილი, სადაც წერია, რომ ქვაშვეთის გუმბათის 12 სარკმელს შორის მოხატული იყო 12 ეტლი, რომელთა ქვევით შესაბამისი თვის სახელები ეწერა. კიდევ უფრო ქვემოთ კი 12 მოციქული იყო დახატული. ამ თანმიმდევრობის აღდგენა კალისტრატე ცინცაძემაც მონდომა, რაც ლადო გუდიაშვილისთვის უთხოვია. მართლაც, გუდიაშვილმა ეკლესიის ნაწილი მოხატა, რის გამოც შინაპატიმრობა მიესაჯა. თავის დროზე კი 1755 წელს თავადმა დავით ამილახვარმა ანტონ კათოლიკოსის კურთხევით მოახატინა ქვაშვეთი. იქვე, ჯორჯიაშვილის ქუჩის ჩასახვევში, რუსი გენერალი ტორმასოვი ცხოვრობდა, რომელსაც ეს ლამაზად მოხატული საყდარი არ მოსწონდა და 1810 წელს თეთრად გადაალებინა, ზარები კი გადაადნობინა. მოგვიანებით, 1814-17 წლებში მრევლმა ტაძარი აღდაგინა.

**მანანა ნოზაძე**

## პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ რეგიონალურ და რაიონულ ორგანიზაციებს აფუძნებს



პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ რეგიონალურ და რაიონულ ორგანიზაციებს აფუძნებს.

პარტიის თავმჯდომარე ნანა გულუა და გამგეობის წევრები ამჯერად სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს ესტუმრნენ. პარტიის "განახლებული საქართველოსთვის" ლიდერებმა დააფუძნეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პარლამენტის ყოფილი წევრი ვალერი იზორია. ასევე დაფუძნდა რაიონული ორგანიზაციები ჩხოროწყუში, წალენჯიხასა და აბაშაში. არჩეულ იქნენ ამ რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოები.

მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებზე პარტიის თავმჯდომარემ ნანა გულუამ ისასუბრა პოლიტიკური პარტიის "განახლებული საქართველოსთვის" გეგმებზე და უპასუხა ადგილობრივი მოსახლეობის შეკითხვებს.

**პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ თავმჯდომარის პრესსამდივნო**

# iSeni Cqini jima reT… anu Ria weril i afxaz mwer lebs

## ალექსი გოგუას, ჯუმა ახუბას, ბორის გურგულიას, გენადი ალამიას, კონსტანტინე ჭვიწინიას, სლავიკ ლაკობას...

ძმებო, ეპისტოლარული ჟანრით რომ გვჭირდება ერთმანეთთან საუბარი, დიდად სამწუხაროა და ტრაგიკული, მაგრამ რეალობაა! ამ უმძიმეს ჟამსაც კი, გულწრფელად გეტყვით, რაც არ უნდა განაწყენებული და გაბრაზებული ვიყოთ თქვენზე, ძვირის თქმა გვიჭირს, ეს ჩვენი — ძმები კალანდიებისა და, შეიძლება თამამად ითქვას, ქართული ტოლერანტული ბუნების ბრალია. ვერა და ვერ ამოგიღეთ გულიდან! დაგვერწმუნეთ, ამდენი უბედურებისა და სისხლის შემდეგ არა მარტო ჩვენში და ამ კუთხეში გაზრდილ თანამემამულეებში, საერთოდ, ქართველ კაცში არ შეიქმნა აფხაზი ეთნოსისგან მტრის ხატი!

ისე ნუ გაგვიგებთ, მარტო თქვენ გადანაშაულებდეთ. ამ ცოდვაში ჩვენ გვიდევს წილი, ვერ გამოვიჩინეთ გონიერება, ჩვენი ცოდვაც დიდია, მაგრამ ამ სავალალო შედეგს არც ერთი მხარე არ ველოდით და სანამდე მიიყვანა საბოლოოდ ქვეყნის ერთ-ერთი ძირძველი ეთნოსი — აფხაზები, ყველა ვხედავთ. შეუნიღბავი თვალთაც უკვე ჩანს, რას ვიმკით, რა შხამსა და სამხალას ვსვამთ ერთმანეთის ჯიბრსა და ჯინაზე!

კი, ბატონო, რუსი გამოგიჩნდათ მფარველად (?) თქვენს გვერდითაა, კანონებსა და საზღვრებს გიდგენთ, იარაღთ გამძიძებლებთ, ძიძიშვილისა და გუშინდელი მეზობლის კვლაში გრწთვნით. რუსეთის ელჩიც გყავთ უკვე სოხუმში... ის აღიარება და დამოუკიდებლობა რუსმა გიბოძათ, ზღვის სანაპიროზე, ქვიშაზე წკირით ნაწერსა ჰგავს, მზიან ამინდშიც რომ იშლება და ქრება... ამიტომ ვერ მოგილოცავთ! მწერლები ხართ და გაბრიელ გარსია მარკესი გაგახსენდა უნებურად, ბოლივიელ ჯარისკაცს რომ ათქმევინებს: „მოვიპოვეთ თავისუფლება, ახლა გვითხარით, რა ჯანდაბა ვუყოთ მას“-ო!...

ნუ ნერვიულობთ ... რუსი რისი რუსია, რაღაც „ჯანდაბა“ მართლა არ მოგიხერხოთ! ვისთვის არ მოუხერხებია?! ჩეჩნები, თქვენზე რიცხობრივად ხუთჯერ მეტი, სულით ხორცამდე მეომარი ხალხი, რას დაამსგავსა... მწერლები ხართ-თქო, ვითხარით და ნუთუ იმაზე არ გიფიქრიათ, აფხაზეთის მიწა-წყალი თქვენი რომ გგონიათ, უზეში რომ გამოიკრათ, ზღვა კიბერზე თოკით რომ შეიბათ, რუსი მდგმურადაც არ დაგტოვებთ... რუსს ის ქვეყანა ღედალი ნიანგის ყბა და მადა აქვს და ისე გადაგყლაპავთ, ის ყალბი ცრემლიც არ გამოუგორდება და მოკლე ხანში, ჩვენდა სავალალოდ და სამწუხაროდ, ამბის მომყოლიც არ დაგრჩებათ. იმის იმედი ნუ გექნებათ, სინდისი შეაწუხებს, ან ვინმე დაუშლის!

კი, ბატონო, რა დაგვავიწყებს, არც ჩვენთვის იყო უცხო კინკლაობა და შური, სიყვარულში ვეტოლებოდით ერთმანეთს და, სამწუხაროდ, სიძულვილშიც! საიდან მოდიოდა იგი და ვის აწყობდა ეს უკანასკნელი, ესეც არ იყო დაფარული. ისეთი დროც მახსოვს, ერთნაირად გვესმოდა რუსის მზაკვრობასა; ბაგრატ მესამისა და დავითის საქართველოს არაერთი ხოტბა გვითქვამს საძმო სუფრასთან, სიტყვა გაგვიცვლია და ლექსიც, მერე სანთლები დაგვინთია ერთიანი საქართველოსათვის!

კონსტანტინე ჭვიწინია, ძვირფასი კოსტია „დათა თუთაშხიას“ რომ თარგმნიდა აფხაზურად, როგორ გულშემატკივრობდით და განვიცდიდით ძმები. ჯუმა ახუბას ჯიჯღინიც მახსოვს, ერთი აფხაზი ჰყავს გამოყვანილი ჭაბუას და ისიც მოღალატე და მკვლელი! ბატონო ჯუმა, ხომ არ ავიხდა მწერლის წინაგრძნობა, რას იტყვით? ამ ტრაგიკული ომის დროს ბორის გურგულიას ოცდაორი წლის ბიჭი რომ დაიღუპა, ერთ საათში გენოსთან მივიდა გაუბედურებული მამა — იქნებ მკვდარი შვილი მაპოვნინო და მაჩუქო! გენერალი გია გულუა იყო სოხუმის კომენდანტი, ღამის სამ საათზე იპოვა გენიმ გულუა და ბავშვობის მეგობარს უმცროსი ვაჟიშვილი შინ მიუსვენა...

ამით იმისი თქმა გვინდა, ომშიც და უბედურებაში ერთმანეთის იმედად ვიყავით.

ჩვენდა სამწუხაროდ, არც შინაური მტერი და უვიცი გვაკლდა. რომლილაც ტვინგაცხელებულ ქართველს აფხაზური საუბარი არ ეხატებოდა გულზე სასტუმრო „რიწასა“ თუ „აფხაზეთის“ წინ ვილაც საზიზღრალი აფხაზი კი ხან რუსთაველის ძეგლს შეურაცხყოფდა, ხან ბესლეთის ხიდის მე-12 საუკუნის ქართულ წარწერას დაწით ფხეკდა...

აქ წავაგეთ. ჩვენი დანაშაული თუ რამეა, ეს არის. ჩვენ შედარებით გონიერ ხალხს არ უნდა დაგვეშვა ეს. ჩვენ ჩვენი სულელისთვის არ უნდა დაგვეჭირებინა ხელი.

იყო ასეთი შემთხვევაც.

აფხაზ რეჟისორს დიმიტრი კორტავას სოხუმის თეატრიდან წასვლამ მოუწია. სახელმწიფო თეატრი ერთი იყო აფხაზური, რუსული აპირებდა წასვლას რუსულ თეატრში. გადავაფიქრებინეთ. გენიმ თბილისელი მეგობრები, რამდენადაც მახსოვს, ნოდარ გურაბანიძე და ვასო კიკნაძე აიყოლია და ზუგდიდის თეატრის მთავარ რეჟისორად დაანიშნინა. ორი წელიწადი ჩვენს მშობლიურ ქალაქში, ჩვენს სახლში ცხოვრობდა ბატონი დიმიტრი. მერე სოხუმში დაბრუნდა მთავარ რეჟისორად. მოგვიანებით, სოხუმში ვარ. აფიშა დავინახე, მთავარი რეჟისორი — დიმიტრი კვარტა აწერია. გამიკვირდა, შევდომა ხომ არა-მეთქი, გენოს ვკითხე. თავისი ჭკუით აფხაზურად გადაკეთა გვარიო, მაპასუხა. მას მერე რამდენჯერმე ვნახე დიმიტრი, მაგრამ თვალი ავარიდე.

მსგავს შემთხვევებს მტკივნეულად განვიცდიდით იქაური ქართველობა. არ მომწონდა და ვერც იმის პირობას დავდებ, როდისმე მომეწონება!

რა მივიღეთ?

ახლა თქვენზეც, თქვენი მოწონებული რუსი „მფარველი“, ავი ძაღლის პრინციპით მოგვიგებს. მეტიც, თუ დასჭირდა, ნაჯახით ამოჭრის ან ზარბაზნებს ესვრის იმ ბესლეთის ხიდს, ან კიდევ იმ ქვის ფილას საეროდ ამოიღებს, ამოჩირის იღლიაში და მოგჭამა ჭირმა, შინ წაიღებს, მუზეუმში დადებს, როგორც საკუთარი ისტორიის ნაწილს.

ეს არ არის რუსი კაცისადმი ბოღმა და სიძულვილი. ეს მათი ბუნებაა, მათი სახე, ჩვევა, ადათ-წესი...



სოხუმი, 1963 წ. ძმები კალანდიები

მტრადმოკიდებული მეზობელი შორეულ ნათესავს გერჩივნოსო, ამბობენ ჩვენში. რუსზე არ ჭრის და არც თქმულა ეს! რუსმა მეზობლობა არ იცის. ამას შეიგებ არა მარტო კავკასია, ნახევარი მსოფლიო ხედავს და იმკის.

მწერალი ჯუმბერ თითმერია ალექსი გოგუას უახლოესი მეგობარი და მთარგმნელი იყო. ბრწყინვალედ გადმოაქართულა მისი რომანი და მოთხრობები. ხშირად ჩამოდიოდა სოხუმში და ალექსისთან სტუმრობდა. ბატონი ჯუმბერი 2 ჭიქას რომ დალევდა, სოხუმის ქუჩებში თუ ზღვის სანაპიროზე უყვარდა ხეტიალი დ მასპინძელი სულ მის ძებნაში იყო. ამიგჟახებდა (გენოს ქვემო სართულზე ცხოვრობდა და ამაზე სხვა გასახსენებელი ბევრი მაქვს): სამი საათია რომ არ ჩანს ჯუმბერი და ხომ არ იცით, სად ვიპოვოო? თუ არ ვიცოდით,ყ ყველანი ერთად ვეძებდით.

ალექსი გოგუა „აიდგილარას“ თავმჯდომარე იყო. „აიდგილარა“ რაც იყო, ვიცით. მართალია, ქართველების საწინააღმდეგო არაფერი გვაქსო, ფეიცებოდა. მაგრამ, „ლიხნის მანიფესტ“, როგორც გაირკვა, მის ბინაში მომზადდა.

ერთხელ ჩვენმა სოხუმელმა დეიდაშვილმა საძლიტრიანი ქილით ბადაგი გამოატანა გენოს ბავშვებისთვის. გენო კარს რომ აღებდა, ქილა დაუვარდა და დაიმსხვრა. ალექსი თავის კართან მდგარა თურმე, რა მოხდაო — ამოსძახა.

—შხამი უნდა ჩამოგესხა შენთვის და შეცდომით ბადაგი ჩამოუვიო.— ჩასძახა გენომ.

„აიდგილარას“ ხალხი ჰყავდა წინა ღამით სტუმრად.

გენადი ალამიასა და რენეს მეგობრობა ცნობილია. მისი პირველი წიგნი რენემ თარგმნა და თბილისში გამოსცა.

მტრადქცეული ან ჭირვეული მეზობლები ჩვენა ვართ, ისევ ერთმანეთში უნდა ვეძებოთ მტყუნმართალი! ჩვენი გაგებით, ეს ანდაზა იმას გვასწავლის, გუშინ ძმები რომ ვიყავით, მხარი რომ გვქცევია, ჩვენდა სამწუხაროდ და დღეს ზურგშექცევით რომ დავმდგარვართ, ამას უნდა შველა და გონს მოვგვეთ! ასე რომ, ერთი სისხლის, ერთი ზნე-ჩვევის ადმიანებზეა ეგ ნათქვამი.

ჩვენი ურთიერთობა ორ ათასწლეულზე მეტს ითვლის!

ჩვენ რასაც მოვესწარით, რაც ერთად გვინახავს, იმითაც გვიამაყია ერთმანეთში!

ჩვენი ქალაქის ქუჩებს, სადაც გავიზარდეთ, გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას, დიმიტრი გულიას ნაბიჯები ახსოვდა და ეს გვიხაროდა. მერე იყო უძირფასესი კაცი და პოეტი თარბა, მისი ძმადნაფიცები — ნოდარ დუმბაძე, კარლო კალაძე... მათ საძმო სუფრის ხშირი წევრები ვიყავით გულრიფშში. თავად გვეძებდნენ, გვითამაშებდნენ, გვმოძღვრავდნენ, ასე გაგვეგრძელებინა. ასეც ვაგრძელებდით — კეიტოულსა და შამგონაში, რუხსა და ყულამურხუაში, ჯგარსა და ჭლოუში, ჯგერდაში, გუდაუთსა და ზუგდიდში...

ახლა ესეც ვთქვათ, როცა მეზობლის სახლს ცეცხლი უკიდია, ხელი არ უნდა მოითბო, როგორც ერთ კიდევ ჩვენს ძირძველ მეზობელს რომ ემართება. სხვა თუ არაფერი, იმის საშიშროება არსებობს, შენი სახლ-კარიც შთანთქას იმ ცეცხლმა...

დიდ საიდუმლო საიდუმლოს არ ვთვლით ამ ნათქვამს. უბრალოდ, ჩვენი წინაპრების ერთი ცხოვრებისეული გამოცდილებაა, რაც გვგონია, არც თქვენ გესწავლებათ.

სხვათა შორის, ერთსაც მოგახსენებთ. ტყე რომ ტყეა, ხანძარი რომ გაჩნდება და იწვის, მტერს ტურა ასწრებს თურმე სირბილში... შეიძლება ისეც მოხდეს, კურდღელი ლომს გადაახტეს შიშით თავზე, რაც კურდღლის გონიერებასა და სიმამაცეზე სულაც არ მეტყველებს.

რუსს მეზობლობა და მეგობრობა რომ არ გამოსდის, თუ ჩვენი არ გჯერათ და ვერ ხედავთ, ევროპასა და ამერიკას თავი რომ დავანებოთ, ჰკითხეთ უკრაინელებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, დაღესტნელებს, ყაბარდოელებს...

გაუგონარი რამ ხდება! დიდი თუ პატარა ერი დამოუკიდებლობისთვის იბრძვის, თუ საჭიროა, სისხლსაც ღვრის... აი, თქვენი ვერ გაგვიგია, მონობისა და გაქრობისათვის რომ ისწრაფვით, უფსკრულში რომ იჩეხებით, რით ხსნით? თქვენც დამპყრობელში იყავითო, ვერ გვეტყვით, აშკარა ტყუილი გამოგივათ. საქართველოს ისტორია აფხაზეთის გარეშე ანუ თქვენს გარეშე არ არსებობდა და, იმედია, არც იარსებებს. ჩვენ, შეიძლება, შეცდომებით, მაგრამ ერთ და ერთიან სამშობლოს ვქმნიდით. ამ სამშობლოში აფხაზი კაცი დაჩაგრული კი არა, პირიქით, პრივილეგირებული იყო! ეს თითოეულ თქვენთაგანს უნდა ახსოვდეს! ახლა რუსი რომ დაგიწერთ ისტორიას, გეოგრაფიული ტოპონიმის იქით ვერ წახვალთ. ამით დასრულდება თქვენი დამოუკიდებლობა! ყოჩაღ, ამისთვის თუ იბრძოდით! რუსი ვერ მოგვერევა, ემმაკობაში ვაჯობებთ, ჩვენთვის სასარგებლოს მოვითვლოთ, რომ თქვათ, ეგეც ზღაპარია. თქვენი და, თუ გინავთ — ჩვენი მოსატყუებელი კბილები, კარგა ხანია, რუსს დაცვდა.

ერის ისტორია იმიტომ იწერება, თითოეული ჩვენთაგანის მახსოვრობაში იყოს. წარსულს გულისყურის ხშირი მიგდებაც უყვარს, ძმებს შორის ხდება ჩხუბი და კამათი, მაგრამ შუამავალს გარეშე როგდებიან. აი, ჩვენი დანაშაული ის არის, რუსი შუამავლად რომ მოვიწვიეთ. რა, როგორ და რამდენჯერ მოხდა ეს, ჩვენზე არანაკლებ მოგეხსენებათ.

ოთხმოციანი წლების დასასრულს, ბიჭვინთის მწერალთა დასასვენებელ სახლში ქართველ დრამატურგთა სემინარები იმართებოდა.

ერთხელ, ამ სემინარზე ყოფნისას, გაგრის რაიონის თავკაცმა ენვერ კაპბამ მიგვიწვია თავის რეზიდენციაში (ბატონი ენვერი ღედით ქართველი იყო, თუმცა ეს რა შუაშია, ან რა ახალი ამბავია! ქართულ-აფხაზური სისხლ-ნათესაობა, მოღლობა-ძიძიშვილობა ჩვენი ერ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში www.saertogazeti.net შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე საერთო გაზეთი

თიანობის ძირძველი ხერხემალი იყო ყოველთვის. მართალი გითხრათ, გვეეჭვება, თითოეულ თქვენთაგანს ერთი წამით მაინც არ ეგრძნოს თავი ქართველად, ქართული ისტორია და კულტურა საკუთრივ არ მიეღოს და არ ეამაყოს! ეს ისე, სიტყვამ მოიტანა, თორემარც გავიხსენებდით... ეჰ, ჩვენო ძვირფასებო, დედ-მამით ღირსეული აფხაზი ქართველი გვინახავს და პირიქით, გააფხაზებული ქართველი — არაკაცი თუ პირუტყვი!..., უბრალოდ, იმის თქმა გვინდა, გაგრის ტრაგედიის დროს ნებისმიერი გაგრელი დაგვემოწმება — ენვერ კაპბას ოჯახმა 27 ქართველი ქალი და ბავშვი შეიფარა და გადაარჩინა. ისიც ცნობილია, ამის გამო დიდი პრობლემები შეექმნა მას.

დავუბრუნდეთ ოთხმოციანი წლების გაგრას, ბატონ კაპბას რეზიდენციას.

თხუთმეტკაციან ქართველ მწერალთა ჯგუფში ორი აფხაზი კოლეგა ჯუმა ახუბა და ცხონებული დაურ ზანთარია გვახლდა. სანამ ჩვენთვის საგანგებოდ გაშლილ სუფრასთან მოგვიწევდნენ, მასპინძელი დიდხანს გვესაუბრა გაგრა-ბიჭვინთის აწმყო-მომავალზე. თუ კარგად მახსოვს, მწერალი ნუგზარ შატაიძე გაგრის რაიონის დემოგრაფიული მდგომარეობით დაინტერესდა. პირველ ადგილზე სომხები აღმოჩნდნენ, როგორც მახსოვს, 44 პროცენტით. (ეს მაშინ, გაგრის რაიონში. მთელ აფხაზეთის ტერიტორიაზე ასეა დღეს. სომხებისთვის თუ გინდოდათ, ძმებო, ეს ჩვენი ქვეყანა, გეკითხათ მაინც). გაოგნებული ჯუმა ახუბა წამოდგა და რატომღაც გენოს მიმართა: ჩვენს კინკლაობაში სომხებს წაუღიათ ეს ქვეყანა, ვეღარ ხედავო?!

— მე კი ვხედავ, ჩემო ჯუმა, შენ რომ ვერ ხედავ, იმან მომკლაო! — არ დაუგვიანა გენომ პასუხი.

მერე, როგორც ქართულ-აფხაზურ ადათ-წესს ჩვევია, მსგავსი საკითხებით არ დაგვიმძიმებია სუფრა. რაც მთავარია, აფხაზურ-ქართულ-მეგრული სიმღერები ბლომად ვთქვით...

გვიან მოვბრუნდით სასტუმროში.

შუაღამისას ნასვამი დაურ ზანთარია ორი ბოთლი „ლიხნით“ ხელდამშვენებული ჩვენს ნომერში შემოვიდა და იმ ღამეს, უკვე სხვა ჭრილში და სხვა საუბარში, თეთრად გავათენეთ.



დაური ჩვენს მეოთხე ძმად თვლიდა თავს.

მისი დაობლებული ოჯახი დღესაც სოხუმში, მაიაკოვსკის ქუჩა 5 ნომერში, კალანდიების ძველ ბინაში ცხოვრობს. ახლა იმას ნუ მკითხავთ, ახალ ბინაში ვინ ცხოვრობსო! ისე, თქვენ უფრო უნდა დაინტერესებულიყავით.

სოხუმი პატარა ქალაქია, ყველა სადარბაზო და ქვაფენილი როგორც ჩვენთვის, თქვენთვისაც ნაცნობია. რას გრძნობთ, ძმებო, როცა კოლონიას ან მაიაკოვსკის ან შერვაშიძის ქუჩაზე გაივლით, თუ ყველაფერი არაფერია?!

ცნობილი რუსი ისტორიკოსი კარამზინი ამბობს, ისტორიას ბოროტი მახსოვრობა აქვსო!

მწერალი იგივე მახსოვრობაა!

ერთ-ერთ გამორჩეულ აფხაზ მწერალს ბაგრატ შინკუბას აქვს გახმაურებული რომანი „უკანასკნელი უბიხი“.

მოგეხსენებათ, მუჰაჯირობაზეა ეს წიგნი, თქვენი ღვიძლი, სისხლისმიერი ძმების — უბიხების ტრაგიკულ ისტორიას გვიყვება.

მართალია, ბატონი ბაგრატი დიდად არ სწყალობდა ქართველობას, მაგრამ ის ჭეშმარიტი მწერალი იყო, ისტორიული ჭეშმარიტებისათვის არ უღალატია. აღწერა ის, რაც მისი მამა-პაპის მახსოვრობას შემორჩა.

ვინ და რა ხალხი იყო ამ ბოროტების შემოქმედი, შეგახსენოთ?!

გვეყოფა!

ჩვენ ის გვაკვირვებს და გვწყინს, რა ხდება? რას ნიშნავს თქვენი ამდენი ხნის დუმილი? თქვენ ხომ მწერლები ხართ, აფხაზეთში და მის გარეთაც აღიარებული ადამიანები, რომელთაც აფხაზი ხალხის მომავალი აწუხებთ, მათი სატკივარი, უპირველესად, თქვენს გულებზე გადის.

ისიც აშკარაა, ვიცით, არ გილხინთ, ცუდ დღეში ხართ... რუსმა პირობა არაერთხელ გატეხა, ის აღიარება, რაც მათგან იყო, ბლეფია, ხვდებით... არც რუსის მონებად ქცეული, გადაჯიშებული აფხაზი ჩინოსნები გწყალობენ დიდად!... მოგეხსენებათ, სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო, მაგრამ უბედურება ის არის, სიმართლის მთქმელი მწერლებიც გაიშვიათდნენ ამ ბოლოს! იმასაც გეტყვით, საქართველოსაც ცუდი დარი უდგას, ქართულს, — ეროვნულს ჩვენშიც კლავენ, სხვა ცოდვებთან ერთად ვერც დემოკრატიითა და თავისუფლების ხარისხით დავიკვეხნით. შეიძლება, არც ეს წერილია ჭეშმარიტებით განბანილი, თუმცა ამას ჩვენ ერთმანეთში უნდა ვარკვევდეთ, ყოველგვარი რუსის, ამერიკელის, ფრანგის თუ თქვენი და ჩვენი უმწიფარი, უვიცი ხელისუფლების გარეშე!

მაგრამ ძმებო, მგოსნებო, მაინც არა ხართ მართლები!... ჩვენ ის გვაშფოთებს, რომელი თქვენთაგანი იქნება ის უბედური, ბაგრატ შინკუბას რომ შეენაცვლება და დაწერს ახალ ტრაგიკულ ისტორიას —„უკანასკნელი აფხაზი მოჰიკანი...“

ვფიცავთ ღმერთს!

ეს ჩვენი — არა მარტო თქვენი ნახევარსაუკუნოვანი მეგობრების — ძმები კალანდიების, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ და დაიჯერეთ, ნებისმიერი ქართველი კაცის უბედურება იქნება!

ვინც ქართველია და ნორმალური, ასე ვფიქრობს!...

... ჩვენ ერთმანეთის სიძულვილში არ გავზრდილვართ.

ყოველთვის გვჯეროდა და დღესაც ამ აზრისა ვართ, ჩვენი საგამზრდელო და მშობლიური კუთხე იყო და არის აფხაზეთი, როგორც თქვენი — სამეგრელო, იმერეთი, ქართლი...

დათა თუთაშხიასი არ იყოს, ასეა ეს!

ასე გვზრდიდნენ და გვმოძღვრავდნენ ჩვენ ჩვენი წინაპრები!

ახლა იმისი ახსნა რომ დავიწყო, ვინ და რა ხალხი იყვნენ ისინი, შეურაცხმყოფელიც კია, ალბათ, ღმერთმანი!

ჩვენ ერთს ვაბობთ.

მომავალს რას ვერჩით! შეიძლება, ერთმანეთის ჯიბრზე და ჯინაზე საკუთარ შვილებს მომავალი არ მივცეთ, ბოლოს და ბოლოს ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლოთ?!...

იმედია, ისეთი რამე არ გვითქვამს, რაც თქვენ არ გიფიქრიათ და არ გიგრძვნიათ!...

ამ წერილს ერთი წესიერი და ჩვენებური კაცის მეგრულ ლექსის სტრიქონებით დავამთავრებ:

„იშენი ჩქიმი ჯიმა რექი,
გურს ლიში ცალო მიკმაბენი“...

**ძველი მეგობრები —**
**გენო, რენე და**
**ზაურ კალანდიები**

# ra Rirs qarTuli axali weli?

## Tbilisis meria winasaaxalwlod garevaWrobisTvis specialuri adgilebs gamoyofas ar apirebs

ქალაქის მერიამ წინასაახალწლოდ ხალხისგან განსხვავებით მზადება გაცილებით ადრე დაიწყო. მართალია, მერიამ წელსაც დედაქალაქი შარშანდელი დიზაინით მოკაზმა, თუმცა მნიშვნელოვანი აქ სხვა საკითხია, აქვს კი ხალხს საზეიმო განწყობა?

ფასების მატება საახალწლო ნობათსა და ატრიბუტიკაზეც აისახა. იმის გასარკვევად, როგორ ემზადება ქართველი მოსახლეობა საახალწლოდ, მისაღებია თუ არა მათთვის საახალწლო ფასები, ე.წ „დეზერტირების“ ბაზრობას ვესტუმრეთ. დანიშნულების ადგილზე დაახლოებით, 13 საათზე მივედით. თქვენ წარმოიდგინეთ, სიდუხჭირის მიუხედავად, ბაზარი ხალხის სიმცირეს არ უჩივის, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად მსყიდველობითუნარიანია იქ მისული ადამიანი? რა გინდათ, სულო და გულო, აქ რომ აღმოაჩინოთ—გოჭი, ქათამი, ხორცის ასორტი, თევზეულობა, ჩურჩხელა, ბოსტნეული, ხილი. მოკლედ, ქართული ბაზარი არჩევანის დიდ საშუალებას იძლევა.

იგივეს ვერ ვიტყვით ფასებთან დაკავშირებით. საახალწლო პროდუქტზე ღირებულება საკმაოდ მაღალია. ინდაურის ფასი 45-60 ლარამდე მერყეობს, გოჭი 60-150 ლარამდე, ხორცის ფასი 10-18 ლარს ითვლის, თევზი (კალმახი) 14 ლარი, ნიგოზის ფასი საშუალოდ 18–28 ლარამდე მერყეობს. ხილს რაც შეეხება, ფასები, წინასაახალწლოდ მაინცდამაიც არაა მომატებული, კილოგრამი ვაშლის ფასი, ცხადია, ასორტიდან გამომდინარე, 2-8 ლარამდე მერყეობს, მანდარინის — 2-3 ლარი, ფორთოხალის ფასი კი 3-5 ლარს აღწევს. იგივეს ვერ ვიტყვით ტკბილეულობასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში ფასი ხარისხიდან გამომდინარე, საშუალოდ 7-დან — 35 ლარამდე მერყეობს.

ახალი წლის მოახლოების მიუხედავად, მოვაჭრეები მყიდველების სიმცირეს უჩივიან. ამბობენ, შარშან ამ დროს უფრო მეტი აქტიურობა იგრძნობოდაო. მიზეზად საახალწლო პროდუქტის გაძვირებას ასახელებენ.

**მერაბ ბლიაძე**, მოვაჭრე: უკვე დიდი ხანია ვვაჭრობ სხვადასხვა პროდუქტზე. წელს წინასაახალწლოდ ქათამსა და ხორცს ვყიდი, მაგრამ მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვარ, იმედი მაქვს, სიტუაცია გამოსწორდება.

გამყიდველების მსგავსად, უკმაყოფილებას მყიდველებიც გამოხატავენ. მათ საახალწლო ფასები არ მოსწონთ და არსებულ სოციალურ მდგომარეობასთან მიმართებაში შეუსაბამოდ თვლიან.

**გურამ ბოჭორაძე**: წინა წლებთან შედარებით ფასები ყველაფერზე მნიშვნელოვნად გაზრდილია. ბაზარში 200 ლარით მოვედი, თუმცა ფული ისე დავხარჯე, ნაყიდი არაფერი ჩანს, ამიტომ, ალბათ, დამატებით 200 ლარი კიდევ დამჭირდება. ასე რომ, საახალწლოდ სერიოზული ხარჯი მექნება.



თუმცა არიან ისეთებიც, რომელთა შემოსავალი თვიურად 200 ლარიც არაა, შესაბამისად, მათი საახალწლო სუფრა სხვებისგან განსხვავებით, უფრო მცირე იქნება. ქალბატონი ცირა ბაშარულის სამსულიანმა ოჯახმა თვიურად 150 ლარის შემოსავალი თვიდან თვემდე უნდა იმყოფინოს, ამიტომ მათი საახალწლო სუფრა, სურვილის მიუხედავად უხვი არ იქნება.

გაჭირვებულ მოსახლეობას თბილისის მერია კიდევ დამატებით პრობლემებს უქმნის. კერძოდ, ქალაქის მერია წინასაახალწლოდ გარევაჭრობისთვის სპეციალური ადგილების გამოყოფას არ აპირებს. მმარტივი მიზეზით, მათი თქმით, ლეგალიზებილი ბაზრები უკვე არსებობს, ამიტომ დამატებით ადგილების გამოყოფა სავალდებულო არაა. არსებულ ბაზრობებზე გლეხს შეუძლია შევიდეს და ივაჭროს. თუმცა ე.წ „დეზერტირების“ ბაზარზე ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე ფაქტობრივად, სავაჭრო ადილები აღარ არსებობს, იგივე სიტუაციაა სხვა ბაზრებზეც. აამიტომ გაურკვეველია, მერიამ როგორ უნდა უზრუნველყოს 29-30-31 დეკემბერს რეგიონებიდან ჩამოსული ხალხის გადანაწილება.

საახალწლო პროდუქტით მოვაჭრე ადმიანებისგან განსხვავებით, მერიამ ნაძვის ხეებით გარევაჭრობისთვის ნებართვა უკვე გასცა და საახალწლოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტის შეძენა დაინტერესებულებს თითქმის ყველგან შეეძლებათ. საახალწლო პროდუქტის მსგავსად, წინა წლებთან შედარებით, ნაძვის ხის სათამაშოებიც საშუალოდ 15%-ით გაძვირდა. საახალწლო ატრიბუტიკით მოვაჭრე მაღაზიებში აცხადებენ, რომ პროდუქციის გაძვირება მომწოდებელთა მხრიდან ფასის გაზრდამ გამოიწვია, რადგან ნაძვის ხის სათამაშოების 100% იმპორტირებულია, რის გამოც გაძვირება ადგილობრივ ბაზარზეც აისახა. შესაბამისად, სხვადასხვა სავაჭრო ქსელის წარმომადგენლების თქმით, საახალწლო ატრიბუტიკაზე ფასების მატება მომხმარებლების რაოდენობაზეც აისახა და წინა წლებთან შედარებით, შემცირდა. დღეისთვის თბილისის მაღაზიებში ხელოვნური ნაძვის ხის ფასი 5-დან —250 ლარამდე მერყეობს.

საახალწლო ინვენტარით ვაჭრობა უკვე დაიწყო პარლამენტთან, ე.წ. „ვარდების რევოლუციის მოედანზე“, სპორტის სასახლესთან. 31 დეკემბერს კი განახლებულ აღმაშენებლის მოედანზე საახალწლო კონცერტი გაიმართება, სადაც მომღერლები მსმენელს ქართული ჰიტების განახლებულ ვერსიას შესთავაზებენ.

**მირანდა ნაბახტეველი**




მოგზაურობა სამშობლოში

# panoramebi Zlevis qedidan

## კავთის ხეობა



კავთის ხეობაში მოგზაურობისას ერთი გაურკვევლობა უნდა დავძლიოთ. ვახუშტი ბატონიშვილი კავთის სახელწოდებით ერთადერთ მდინარეს ასახელებს. მისგან დასავლეთით არსებული გუდარეხის (გუდალეთის) ხევი, რომელიც ასევე დამოუკიდებლად ერთვის მტკვარს და დღევანდელ რუკაზე გავაზური წყალი ჰქვია, დიდ გეოგრაფს რატომღაც კავთის შესართავად მიუჩნევია. არ ვიცი, ამის ბრალია თუ არა, სოფელ კავთისხევში ვერავის გააგონებთ, რომ მათ მდინარეს კავთურა კი არა გავაზური წყალი (ან გუდალეთის-წყალი) ჰქვია.

ერთი სიტყვით, შეთანხმების გარდა არაფერი დაგვრჩენია: ორსავე ხევს გეოგრაფიულად კავთის ხეობა ჰქვია.

ხეობის ორივე მდინარე სათავეს თრიალეთის ქედის ერთი და იმავე მონაკვეთიდან, ანუ იმ ადგილიდან იღებს, სადაც წინა მოგზაურობისას შევჩერდით — თავკავთიდან.

კავთურის სანახებიდან გუდალურის სანახებში მანქანით გადასვლა წინარეხსა და მაღალაანს შორის არსებული სერის გადაკვეთით შეიძლება. აქ თავდაპირველად, სოფელ გუდალეთში შესვლამდე, ხელმარცხნივ გაჭრილ გზაზე უნდა გადავუხვიოთ. იგი სულ მალე ტყიანი ფერდობის დასაწყისში მდგარ X საუკუნის წმ. ესტატეს ეკლესიასთან მიგვიყვანს. საყდარს სახურავი აღარ აქვს, ხოლო აღმოსავლეთი კედელი შუაზე გაპობია. დაახლოებით 50 კვ.მ.-ის დარბაზს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მინაშენები აფართოებდა, მაგრამ პირველი მათგანი თითქმის სრულიად მორღვევია. ჩრდილოეთის მინაშენი დიდრონი ნატეხი ქვის წყობითა და არქიტრავით ძეგლს უდავოდ სიძველის ელფერს მატებს. „წმ.ესტატე“ გუდალეთიდან აღმოსავლეთით დგას, სამხრეთით კი, დაახლოებით, 4 კმ.-ში, მასზე უფრო ძველი საყდარია. აქ ადრე სოფელი ვარჯაანი ყოფილა, რომელიც, არქეოლოგიური კვლევების თანახმად, ანტიკურ ეპოქაშიც არსებობდა. ციკლოპური გალავნიდან ახლა მხოლოდ ცალკეული ლოდებია შემორჩენილი. ჯერჯერობით ფეხზე დგას VIII-IX საუკუნეების მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც არასწორი მართკუთხა ფორმის ქვიშაქვის თლილი კვადრებით არის ნაშენები.

სამსაფეხურიანი პილასტრები, ნალისებრი მოყვანილობის საკურთხევლის აფსიდი, აფსიდის მოზრდილი სარკმელი და იქვე მდგარი ძველთაძველი ტრაპეზის ლოდი საყდარს ძალიან არქაულად წარმოაჩენს. „მთავარანგელოზს“ ლამაზი, მოჩუქურთმებული ხის კანკელიც ჰქონია, რომელიც ამჟამად კასპის მუზეუმში ინახება.

ტაძრის დარბაზის ფართი სულ 32 კვ-მ.-ია, მაგრამ სამხრეთით მთელ გაყოლებაზე მინაშენიც ჰქონია, რომელიც ნახევარწრიული აფსიდით სრულდებოდა. მინაშენისაგან ახლა მხოლოდ აღმოსავლეთის კედელია დარჩენილი. მთავარ დარბაზს კარი სწორედ ამ მხრიდან აქვს. შიგნით შესულები, როცა მკრთალ სინათლეს თვალს შეაჩვევთ, აქა-იქ მხატვრობის ნაშთებს აღმოაჩენთ.

სოფელში კიდევ 5 ეკლესიაა, მათ შორის უმთავრესი —„ღვთისმშობელი“ დასახლების ცენტრში ნანგრევების სახით არის შემორჩენილი და XIII-XIV საუკუნეების ნაგებობას წარმოადგენს. ჩამონგრეულ გუმბათის ყელს საყდრის დანარჩენი სახურავიც მოუშლია და ზედ გრძივი კედლების ნაწილიც მიუყოლებია. ტაძარი კლდის ნატეხი და პირმოსწორებული ქვით უშენებიათ, მაგრამ კონსტრუქციულ ნაილებისათვის და კარ-სარკმლის საპირეებისათვის თლილქვიშაქვის კვადრები გამოუყენებიათ. სამკაულებიანი საპირეები მხოლოდ აღმოსავლეთის და დასავლეთის სარკმლებს აქვს შემორჩენილი. სადა ლილვები შემოუნახავს დასავლეთის კარს. სხვა კედლებიდან ჩამოყრილი ჩუქურთმიანი ქვები ტაძარში და მის გარშემო ყრია. კონქის ჩამოშლილი სამხრეთის ფასადიდან კარგად ჩანს, რომ ტაძარს საკურთხევლის თავზე სამალავი ოთახი ჰქონია.







გუდალეთის „ღვთისმშობელი“ და სამკაულიანი ქვები

გუდალეთისწყალს ქვევით თუ დავუყვებით, 3-4 კილომეტრში სოფელ თვალადში აღმოვჩნდებით. მისი უფრო ძველი და მართებული სახელწოდება თვალივია, რადგან ვახუშტი ბატონიშვილი ასე წერს: „გუდარეხის (იგივე გუდალეთის —გ.ქ.) ხევზედ არს თვალივს სასახლე მეფეთა, ნაშენობა დიდი“.

გუდალეთიდან შემოსულები თავდაპირველად სწორედ იმ უბანში ვჩერდებით, რომელსაც მეფის ნასახლევიც ჰქვია და მექანარაანთ უბანიც. აქ გვიანი შუასაუკუნეების წმ. ნიკოლოზის სახელობის მცირე დარბაზული საყდარი დგას, რომლის საკურთხეველში ერთი ქოცო და ერთიც წარწერიანი ქვა დევს. წარწერა ასომთავრულის და ნუსხურის შერევითაა შედგენილი და წაკითხვა ვერ მოვახერხე. ტაძარი ნაგებია უხეშად დამუშავებული დიდი, სამკუთხა ფორმის ნატეხი ქვით და აქვს ორი კარი — დასავლეთისა და ჩრდილოეთისა. ამ უკანასკნელით იგი, თურმე, გალავნით შემოზღუდულ მეჯინიბეთუხუცესის ეზო-კარს უკავშირდებოდა. ასეთ სურათს, არ ვიცი, რომელ საბუთზე დაყრდნობით, ერთ-ერთი ასაკოვანი მექანარაშვილი გვიხატავს. მისგან სხვა საინტერესო ამბავსაც ვისმენთ:

მექანარაშვილების შორეული წინაპარი, თურმე, სიმონ I-ის მესაკრავე ანუ მექანარე (იგივე მექნარე) ყოფილა და მეფეს თავის გვერდით დაუსახლებია თვალადში. თავად მეფეთა ნასახლევი წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან სამხრეთით 150-200 ნაბიჯზე ყოფილა, მაგრამ ახლა მისგან ქვათა მცირე გროვაღაა შემორჩენილი და ისიც ჯაგებგადავლილი. ნასახლევს უკან, თურმე, ბოლო დრომდე ყოფილა წურბელებით სავსე მცირე ჭაობი, რომლითაც ბევრი სარგებლობდა. სოფელში ეჭვს გამოთქვამენ, რომ სვიმონ მეფეს თვალადი საზაფხულო რეზიდენციად მარტოოდენ კარგი გარემოსა და ჩინებული ჰაერისთვის კი არ ჰქონდა ამორჩეული, არამედ სამკურნალო თვალსაზრისითაც. თუ გავითვალისწინებთ, რომ სიმონ I, ხმლის მარჯვედ ქნევასთან ერთად, ღვინოსთან და თრიაქთანაც გაშინაურებული იყო და ალბათ, არტერიული წნევაც აწუხებდა, თვალადელი მოსახლეობის გამოთქმული ეჭვი სინამდვილეს დიდად არ უნდა ცილდებოდეს.

ნასახლევიდან ხელმარცხნივ, გუდალეთიდან ჩამომავალ გზაზე, ერთმანეთის მოყოლებით ძალიან საინტერესო დასახელების ორი ადგილია —„სანაღარო“ და „მოსალოცი“. როგორც სოფელში აგვიხსნეს, ეს სახელწოდებებიც სიმონ მეფის დროსაა დამკვიდრებული. ომში გამარჯვებული მეფე რეზიდენციას რომ მოუახლოვდებოდა ხოლმე, მისი მენაღარ-მექანარენი მაშინვე დასცხებდნენ დაფ-ნაღარას და სოფელ-ჯალაბობაც მისალოცად გამოეფინებოდა გზაზე.

თვალადის ეს და სხვა ამბები ჩვენზე უკეთ, რა თქმა უნდა, ამ სოფლის დიდმა შვილებმა ნიკო ცხვედაძემ და გიორგი შატბერაშვილმა იცოდნენ.



ძლევის „წმ. გიორგი“ და წარმართული ლოდები

დიდი ხნის წინათ 85 წლის ქალბატონმა წარმოშობით თვალადელმა ანა კავთიაშვილმა ჩემთან საუბარში გაიხსენა ის ორსართულიანი შენობა, რომელიც ადრე ნიკო ცხვედაძეს — ამ დიდ ქართველ განმანათლებელს ეკუთვნოდა და მერე შიგ 4-წლიანი სკოლა განთავსდა. ამ სახლში ცალკე საზაფხულო ოთახი ჰქონია თურმე, ცხვედაძის უახლოეს მეგობარს იაკობ გოგებაშვილს, აქ დაუწერია მას „სიტყვის კონა“ და „იავნანამ რა ჰქმნა“. ქალბატონ ანას თქმით, ცხვედაძეების სახლი სოფელში დიდი სიკეთით, მეტადრე კი ბავშვებისადმი მზრუნველობით გამოირჩეოდა, გზაზე ისე არ გაივლიდა ყმაწვილი, რომ შინ არ შეეპატიჟებინათ და ნუგბარებით არ გამასპინძლებოდნენო.

სოფლისა და ქვეყნის მეორე სასახელო შვილი, მწერალი გიორგი შატბერაშვილი ერთი წლისა ყოფილა, როცა ნიკო ცხვედაძე გარდაცვლილა. მომავალში მის სახლსაც არაერთი სახელოვანი ქართველისთვის უმასპინძლია. ძალიან საინტერესო მოთხრობებისა და „თვალადური ქართულის ჭაშნიკის“ ავტორს კავთის ხეობაზე ხომ თავადაც ბევრი უწერია და მერე ამ საქმეში ლევან გოთუაც ჩაუბამს, რომელმაც აქ მოგზაურობას ძალიან საინტერესო წერილი მიუძღვნა.

არამარტო ამ ორი დიდი ქართველის სახლს და თვალადს, არამედ მთელ არემარეს გადმოსცქერის ლეგენდარული ძლევის ქედი და ზედ მდგარი წმინდა გიორგის სახელობის დარბაზული საყდარი, იგი სოფელს უსანეთაშვილების დიდი მოწადინებით და თანადგომით აღუდგენია. ეს ეკლესია XII-XIII საუკუნეებისა უნდა იყოს და ამდენად, ისევე როგორც ბევრგანაა მსგავსი შემთხვევა, თვალადსა და კავთისხევშიც მისი აგება თამარ მეფეს მიაწერეს. მაგრამ ეს ლეგენდა ეკლესიის აგებით არ იწყება, მას გაცილებით საინტერესო სიუჟეტი უძღვის წინ. საყდრიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით, 100-120 ნაბიჯზე მთის ფერდაზე გვერდიგვერდ და ერთნაირი მიმართებით დევს ორი უშველებელი, სავარძლის ფორმის ლოდი. ისინი მტკვრის მარჯვენა სანაპირო ველებს და მათ შორის ცნობილ სხერტის ჭალას გასცქერიან. ლეგენდა ამბობს, რომ ამ ველებზე გამართულ ომს თვალადის ქედიდან გასცქეროდნენ თამარ მეფე და მისი ამირსპასალარი. ისინი სწორედ ამ თეთრი ქვის სავარძლებში მსხდარან. ომი ქართველთა გამარჯვებით დასრულებულა, რის აღსანიშნავადაც აქ წმინდა გიორგის ეკლესია აუშენებიათ, ხოლო მთისათვის „ძლევის ქედი“ შეურქმევიათ.

ეს ლეგენდა თამარისა და ძლიერი საქართველოს უკვდავსაყოფად შეთხზა ხალხმა, თორემ სინამდვილეში, სხერტის ჭალაში ქართველთა სახელოვანი გამარჯვება გიორგი სააკაძის სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც 1609 წელს 400 კაცით 2000 ყირიმელი თათარი დაამარცხა. ახლა, რაც შეეხება ორ თეთრ ლოდს: ისინი სინამდვილეში წარმართული დროის სამსხვერპლო-სატრაპეზო ქვებია, რომლებზეც შესაწირსა და შეწირულს ალაგებდნენ. არქეოლოგიურმა კვლევებმა სწორედ ასეთი, სავარძლის ფორმის, სამსხვერპლო ლოდი გამოავლინა უფლისციხესთან ახლოს, ყათლანიხევში, სადაც წარმართული დიდი დედის — ნანას ტაძარი მდგარა ძვ-წ-ის XIV საუკუნიდან მოყოლებული. ასეთივე სამსხვერპლო ლოდები შენახულია მცხეთის მუზეუმში. როგორც ჩანს, ძლევის ქედზე ძალიან დიდი ხნის წინ წარმართული საზორავი იყო, რომელიც ქრისტიანობის შემოღებიდან ჯერ ჯვარს უნდა შეეცვალა, მერე კი წმინდა გიორგის საყდარს. ცნობილია, რომ მთავარმოწამის სახელობის ტაძრები ძალიან ხშირად სწორედ ნაწარმართევ ადგილებზე შენდებოდა.

ასე რომ, ლეგენდა ლეგენდად, ისტორიული რეალობა კი სხვას გვეუბნება, თუმცა არც ეს რეალობაა თამარის ლეგენდაზე ნაკლები.

**გელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები

თვალადის „წმ. ნიკოლოზი“ და მისი წარწერიანი ქვა





# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**— რა არის დანაშაულის მცდელობა და ისჯება თუ არა ის?**

— დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

დანაშაულის მცდელობა ისჯება.

ამასთან, პირს არ დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი.

* * *

**— ჩემს შვილს ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენისათვის შეეფარდა როგორც თავისუფლების აღკვეთა, ისე ჯარიმის გადახდა. რამდენად კანონიერია ეს?**

— კანონიერია. პირს შეიძლება ძირითად სასჯელთან ერთად შეეფარდოს დამატებითი სასჯელიც — მოცემულ შემთხვევაში ჯარიმის გადახდა.

* * *

**— ჩემს ახლობელს მისჯილი აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა.**

ითვალისწინებს თუ არა კანონი მის მიმართ რაიმე შეღავათს სასჯელის შეცვლასთან დაკავშირებით?

— სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.

* * *

**— შეიძლება თუ არა შეწყალების აქტით მსჯავრდებულს დანიშნული სასჯელი უფრო მსუბუქი სასჯელით შეეცვალოს?**

— შეიძლება.

შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

* * *

**— რომელი დანაშაულის ჩადენისათვის შეიძლება დაისაჯონ 12 წლის ასაკს მიღწეული პირები?**

— ეს დანაშაულებია:

1) განზრახ მკვლელობა (მუხლი 108);

2) გაზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 109);

3) გაუპატიურება (მუხლი 137);

4) ძარცვა (178-ე მუხლის II და III ნაწილები);

5) ყაჩაღობა (მუხლი 179);

6) 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება (მუხლი 238).

* * *

**— ჩემს ძმას შეუფარდა სასამართლომ საპატიმრო სასჯელი. ამასთან, დამატებითი სასჯელის სახით დააკისრა ჯარიმის გადახდა და ჩამოართვა თანამდებობის დაკავების უფლება სამი წლის ვადით. რამდენად კანონიერია ორი დამატებითი სასჯელის შეფარდება?**

— კანონიერია.

სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ერთოდროულად შესაძლებელია რამდენიმე დამატებითი სასჯელის დანიშვნა.



* * *

**— რას ნიშნავს სასჯელის სახე — საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა?**

— საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის თავისუფალ უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

* * *

**— რა ვადით ინიშნება გამასწორებელი სამუშაო და როგორ უნდა იქნას ის მოხდილი?**

— გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდილი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე.

აქვე გეტყვით, რომ თუ პირი არ მუშაობს, მას სასჯელის სახით გამასწორებელი სამუშაო არ შეეფარდება.

* * *

**— როდის ინიშნება პირობითი მსჯავრი?**

— სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით:

1. თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად;

2. თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაული, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია;

3. თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახ ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს დანაშაულს ან თანამშრომლობს გამოძიებასთან, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

4. თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი იყო ორი ან მეტი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია;

5. თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

* * *

**— რას გვეტყვით სასჯელის სახეზე — იურიდიული პირის საქმიანობის უფლების ჩამოთრმევა?**

— საქმიანობის უფლების ჩამოთრმევა იურიდუილი პირის სასჯელის ერთ-ერთი სახეა.

საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იურიდიული პირისათვის უვადოდ ან ერთიდან 10 წლამდე ვადით საქმიანობის ერთი ან რამდენიმე სახის აკრძალვას.

საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება გავრცელდეს საქმიანობაზე, რომლის განხორციელებისას ან რომლის განხორციელებასთან დაკავშირებით იქნა ჩადენილი დანაშაული.

* * *

**— ისჯება თუ არა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება?**

— ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება გაუფრთხილებლობით არ ისჯება.

— ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუუნარობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია, — ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

* * *

**— ახლოვდება არჩევნები. მაინტერესებს, ისჯება თუ არა ამომრჩევლის მოსყიდვა და როგორ?**

— ამომრჩევლის მოსყიდვა ნიშნავს შემდეგს: არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ამომრჩევლისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა, უფასო მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისაგან თავის შეკავების მიზნით, გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე (მუხლი 164 – 1).

# facebook

# xalxis azriT

ივანიშვილი საკურთხეველში მიიწვია უწმინდესმა და ამის ჩვენებას ან თქმას რომელი ვაზელინიანი ჟურნალისტი გაბედავდა? დათო კიკალეიშვილი კესარიას ხმით და მინაბული თვალებით აგერ უკვე ერთი თვეა იგესლება, კაცმა ქონება იშოვა და მაგას იტყოდა? ეს გონება მოწამლულები ვერ ხვდებიან, რომ საააკაშვილი ვაბანკზე მიდის და 100%—ანი წაგებაა აქვს. კიკალეიშვილო ხალხის რისხვა არ აგცდება, მაგრამ შენი ბრალი არ არის, შენ ხომ საკუთარი ნებით შეიცვალე ორიენტაცია, ძალიან საცოდავი ხარ.

ვიდრე ახლად შექმილ ხატს “საქართველოს იმედი” საპატრიარქოდან სამებაში გადააბრძანებდნენ, უწმინდესმა ბიძინას და ეკას მოალოცვინა. ჩვენი პატრიარქი ბრძენია. ამ შეხვედრით უთქმელადაც ბევრია ნათქვამი. ღმერთმა დალოცოს ერის სულიერი მამა, მისმა ლოცვამ გააძლიეროს ბიძინას ოჯახი საქართველოს სასიკეთოდ.

ძალიან კარგია რომ თანხები აიღეს აბა როგორ უნდა მოემზადონ არჩევნებისთვის, ოფისების დაქირავება, ხალხთან შეხვედრები. დამკვირვებლების მომზადება. ზოგიერთ ვაი ოპოზიციას გული უსკდება რომ მთელ რაიონებს მოედება ივანიშვილის სახელი და იმიტომ არიან ამ დღეში . უფულოდ პარტიამ როგორ უნდა იარსებოს . თვითონ დადონ ინფორმაცია საიდან ფინანსდებიან.

“ბიძინას მინუს 6 მილიარდი, რა დარჩა?” — მე მგონი დარჩა ფსიქიკურად გაწონასწორებული, მაღალი ღირებულებების მიმდევარი, კეთილშობილი ადამიანი, რასაც მგონი ვერ იტყვი სხვებზე. ისე მილიარდები გქონდეს და ასეთი თავმდაბალი და უბრალო იყო, იშვიათია მგონი...

რაო, საკუთარ დაბადების დღესაც იტყუება...”ღიმილიანი საქართველო” ხომ? აბა ერთი კარგად წავიკითხოთ ეს სტატია და მოვუსმინოთ იუბილარს: “ჩვენ ვამზადებთ დანტისტებს, გამოვყოფთ თანხებს. გავაკეთოთ საპრეზიდენტო პროგრამა, დავარქვათ “ღიმილიანი საქართველო”, დავიწყოთ ამ სასადილოში მყოფი ადამიანებისგან, მერე გადავიდეთ სოფლებში და საქართველოში ყველა ხანდაზმულ ადამიანს გავუწიოთ სტომატოლოგიური მომსახურება.”- ეს არის მრიგი ილუზიური პღ, საქმეს აკეთებს სხვები და ეს იწერს ქულებს...დონორი ორგანიზაციაც წერია...უნდა დასრულდეს კარიესიანი კბილების ეპოქა, ყველას ჰოლივუდის ღიმილი!!!! ჰა, ჰა, ჰა...... მერე იმ კბილებით ბევრ ჭამას მოგთხოვენ, არ შეცდეეეეეეეეე

პრეზიდენტის ბრძანებით ყოველ უკბილო მოქალაქეს დაურიგდება ათლარიანი ვაუჩერი, რომელიც შეგიძლიათ გაანაღდოთ ან გადაცვალოთ თანხის შესაბამისი რაოდენობის საღეჭ რეზინზე. “დიროლი” - ჯანსაღი და ქათქათა კბილების გარანტი!:))

5 ლარიან ერს ვულოცავ მიშა წმიდანის ამ ქვეყნად 44 წლის წინ მოვლინების დღეს... გეშველათ, მიშა წმიდანი რომ არა ტუალეტის ქაღალდის ფული არ გექნებოდათ... გიცავდეთ მიშას მადლი... გფარავდეთ მიშას ნუფხავი... გწყალობდეთ დიდი ნაციონალიზმი აქაც და იქაც...

ე ერთს მივხვდი ამათი გაუთავებელი კრიტიკით-ნამდვილად არის ბიძინა ის ძალა,რომლისაც ამათ რეალურად ეშინიათ და იმ დონეზე,რომ მისი რეპუტაციის შელახვას ყველა გზით ცდილობენ...მიზანი კი ამომრჩეველია...გამოდის რომ არჩევნების ეშინიათ..მშვენიერია..მომწონს ეს მე..მივესალმები ყველას ვინც არჩევნების გზით მოახდენს’’ რევოლუციას’’საქართველოში...

ლუკაშენკოსაც ჰქონია ასეთი პროგრამა - გაღიმებული ბელორუსია! და ის სურათი ხომ ნახეთ, პუტინი რომ ბორმანქანით ემსახურება რუს მოქალაქეს!

ეხლა გავეცანი რეზო ჭეიშვილის ინტერვიუს და მივხვდი, რომ ქართველები, ყველა სიკეთესთან ერთად, უმადურები კი არა კუჭმადურები არიან... ანუ კუჭზე ორიენტირებულები და დიდი მადის მქონენი.... რეზოს, ბუბას და მათნაირ ხალხს კუჭის ამოვსება მიშასგან გადაგდებული ინდაურებით უნდათ და დიდი მადა ბიძინას ფულზე აქვთ.... სირცხვილია თქვე მართლა კუჭმადურებო, რა მაგალითს აძლევთ ახალგაზრდებს ....



# „ქართული ოცნება“ ეკუთვნის ყველას!



ყველას, ვინც განიცდის საქართველოში არსებულ მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ვინც ადეკვატურად აფასებს გამომწვევ მიზეზებს და აცნობიერებს ვითარების შემდგომი გაუარესების პერსპექტივას, ვინც გამოსავალს ხელისუფლების სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნებით შეცვლაში ხედავს.

ქართული ,,ოცნების სახელმწიფო“ იქნება ქვეყანა, სადაც მართვის სისტემა დაეფუძნება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების განუხრელ დაცვას.

აღდგება ბალანსი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის, რაც გამორიცხავს ძალაუფლების თავმოყრას ერთი პოლიტიკური ძალის ხელში და ავტორიტარულ მმართველობას.

ნებისმიერი საკონსტიტუციო ცვლილება ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონი მიიღება მხოლოდ საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და კონსენსუსის პირობებში.

ხელისუფლების საქმიანობის მაქსიმალური გამჭირვალეობა როგორც ბიუჯეტის, ისე ეროვნული უშიშროების პოლიტიკის განსაზღვრისას, უზრუნველყოფს ხელისუფლების ერთადერთი წყაროს, საქართველოს ხალხის ინტერესების დაცვას.

მედია გათავისუფლდება სახელმწიფო კონტროლისაგან და თავად იქცევა ხელისუფლების კონტროლის მექანიზმად, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებას მრავალმხრივი, მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე არჩევანის საშუალებას მისცემს.

სასამართლო დაცული იქნება ნებისმიერი გარე გავლენისგან. მართლმსაჯულების აღსრულება დაეფუძნება ერთადერთ პრინციპს – კანონის უზენაესობას.

ქვეყნის გამთლიანება ჩვენი ოსი და აფხაზი თანამემამულეების ქართული სახელმწიფოსადმი ნდობის აღდგენით დაიწყება. გვწამს, რომ ამ პრინციპებისადმი საზოგადოების თითოეული წევრის ერთგულება, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური აღმსარებლობის და პოლიტიკური მრწამსისა, ,,ქართული ოცნების“ ასრულებამდე ოცნების საქართველოს. საზოგადოებრივი მოძრაობა ,,ქართული ოცნების“ მიზანია უზრუნველყოს საზოგადოების გავლენა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე და მაქსიმალურად ჩააბას იგი ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების განსაზღვრასა და განხილვაში.

## „ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება!“

ბიძინა ივანიშვილი

საზოგადოებრივი მოძრაობა ,,ქართული ოცნება“ გამოცდილ სპეციალისტებთან ერთად განსაზღვრავს და მათი დახმარებით შეიმუშავებს კონკრეტულ სამოქალაქო გეგმას სამართლის, ადამიანის უფლებების, მართლმსაჯულების, ეკონომიკური პოლიტიკის, სოფლის მეურნეობის, ეკოლოგიის, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, საგარეო პოლიტიკის, კონფლიქტების მოგვარების, რეგიონალური პოლიტიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ეროვნული უმცირესობების, უსაფრთხოების, ახალგაზრდობისა და სპორტის აქტუალურ საკითხებზე. საზოგადოებრივ მოძრაობასთან არსებული თემატური ჯგუფები შეისწავლიან ცალკეულ დარგებში არსებულ ვითარებას და შეიმუშავებენ განვითარების ეფექტიან მოდელებს. ჯგუფების წევრები კონსულტაციებს გამართავენ კონკრეტული სფეროების ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან.

ჩამოყალიბდება რეგიონალური სტრუქტურები, რომელთა მთავარი მიზანი იქნება საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია სამართლიანი საარჩევუნო გარემოს შესაქმნელად, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სახელმწიფო მმართველობაში ხალხის ნდობით აღჭურვილი პოლიტიკური ძალების მოსვლას.



### საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა სარეგისტრაციო ბლანკი

სახელი ----------------------------------------------------------

გვარი -----------------------------------------------------------

მამის სახელი ----------------------------------------------------

დაბადების თარიღი -----------------------------------------------

მისამართი (პირადობის მოწმობის მიხედვით) ----------------

--------------------------------------------------------------------------

(რაიონი, ქუჩა)

მისამართი (ფაქტობრივი) -----------------------------------------

ტელეფონი (მობილური) ------------------------------------------

ტელეფონი (სახლის) ---------------------------------------------

ელ.ფოსტა -------------------------------------------------------

თანახმა ვარ გავხდე საზოგადოებრივი მოძრაობა ,,ქართული ოცნების“ მხარდამჭერი

ხელმოწერა -----------------------------------------------------

**Tbi l isi, erek l e II Sesaxvevi #3**

**te l .: +995 32 260 47 67; +995 32 260 44 17; +995 32 260 44 07**

**www.georgiandream.ge; info@georgiandream.ge**